

33632 հոդված

302 00 0000



# ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ



ՅԵԽՈՎԱՅԻ ՀՅՈՒՄԵԱՈՎ

ՅՈՒՅԵՎՈՎՈՎ  
ՅԱՐԱՎՈՎՈՎ



“ ԵՎԵՎՈՎՈՎՈՎ  
19. ՏՑՈՒՄՈՒՄ - 69 ”

ვარლამ როდონიას ნაჩვევანი „პირველი ფრთხები“  
ეხება ცნობილი ქართველი ავიაკონსტრუქტორის ბე-  
სარიონ ქებურიას ცხოვრებასა და მოღვაწეობას.  
წიგნში ნაჩვენებია ბესარიონ ქებურიას დამსახურება  
ხალხისა და სამშობლოს ჭინაშე.

„მგზავრი ცხენიდან ჩამოხტა, სწრაფად აიღო ქვა, ხალიჩა-  
 ზე დადო, თვითონაც ზედ მოიკალათა და უთხრა:

— აბა, ხალიჩავ, გაფრინდი!

ყაყაჩოსფრად ალექსილი პატარა ბესიჯო თვალებგაფართო-  
 ებული შესციცინებს დედას:

— მერე, დედი, მერე?

ეკატერინე მკერდში იყრავს საყვარელ ბიჭიკოს, ბუთხლზა  
 ლოყებს სიყვარულით უკოცნის და მოღულუნე ტკბილი ხმით  
 განაგრძობს:

„ხალიჩა ნელა ავიდა მაღლა და ჰაერში გასრიალდა. როდე-  
 საც ქმებს გვერდით ჩაუარა, უცნობმა მათ გადმოსძახა:

— მშვიდობით! თქვენი ხალიჩა და წისქვილის ქვა თან  
 მიმაქვს, ახლა აღარაფერი გექნებათ გასაყოფი.“

— უჰ, შენი გულისა, ერთი აქ მომცა ის ხალიჩა და...

— რაო, სიცოცხლევ, შენც მოგინდა ჯადოსნური ხალიჩით  
 გაფრენა?

— რატომაც არა? ავფრინდებოდი სულ მაღლა, იმდენ  
 სოფელსა და ქვეყანას ვნახავდი, რო...

— მერე, მე აქ დამტოვებდი? დედიჯოს არ წაიყვანდი  
 თან?

— წაიყვანდი, მაშ... შენც წაგიყვანდი და მამიკოსაც. ძია  
 ბეხუსაც წავიყვანდი, მთელ სოფელს წავიყვანდი...

— მერე, დაეტევა კი შენს ხალიჩაზე მთელი სოფელი? —  
 იღიმება ეკა.

— როგორ არ დაეტევა! არ დაეტევა და... დიდ, ძალიან  
დიდ ხალიჩას ვიყიდი.

— მფრინავი ხალიჩა არ იყიდება, შვილო! ასეთი ხალიჩე-  
ბით მხოლოდ ზღაპრებში დაფრინავენ. ადამიანს ფრენა სად  
შეუძლია... ამქვეყნად მხოლოდ ჩიტები და ფრინველები და-  
ფრინავენ.

— მეც რომ მინდა დედიკო გაფრენა? — ჯიუტად აქნევს  
ოქროსქოჩირიან თავს პატარა ბესიკო.

— ჰო, დედა გენაცვალოს, გაიზრდები, დავუკაცდები და  
გამიფრინდები... აბა, საწყალი მამაშენივით მთელ სიცოცხლეს  
ჩხოროწყუსა და გარახის ორლობებში აღმა-დაღმა სიარულს  
ხომ არ შეალევ. გამიფრინდები და ქვეყნის სასახელო კაცი  
გამოხვალ, დედის სიხარულო...

1870 წლის 12 თებერვალს ქუთაისის გუბერნიის სოფელ  
ჩხოროწყუში ღარიბი გლეხის საველი ქებურიას ოჯახში დაი-  
ბადა ვაჟი. მას ბესარიონი დაარქვეს. ბესიკოც, თავისი ტო-  
ლების მსგავსად, ლაბდად და უდარდელად იზრდებოდა: მინ-  
დორში სირბილი, ლახტობანა, მშვილდისარი და ლელო ბურ-  
თი... ცოცხალი, მარდი ყმაწვილი ყველას უყვარდა.

დამთავრდა ბალლობის ტკბილი ხანა, დედის ზღაპრები,  
მეგრული ნანინა... საველი ქებურია, მართალია, ხელმოკლეო-  
ბას უჩიოდა, მაგრამ შვილის სწავლა-განათლებაზე ზრუნვა  
მაინც ცხოვრების ურყევ მიზნად დაისახა. პატარა ბესიკო ჯერ  
ჩხოროწყუს ორკლასიან სასწავლებელში მიაბარეს, შემდეგ  
კი კიშიის სკოლაში გადაიყვანეს.

მოხუცი საველი ყოველ მეორე-მესამე დღეს მხრებზე ხურ-  
ჯინმოკიდებული კიშიის გზას დაადგებოდა. მეზობლები და  
მახლობელ-ნაცნობები პატივისცემით ხვდებოდნენ მოსიყვა-  
რულე მშობელს, კავლის ჩეროში, ტკბილ ღვინოზე ეპატი-  
უებოდნენ შორით ნამგზავრს. ბოლოს ისე შეეჩივნენ კიში-  
ელები დათქმულ დღესა და საათზე საველის გამოჩენას, რომ,  
თუ ცოტა შეაგვიანდებოდა, მაშინვე შეშფოთებული კითხუ-  
ლობდნენ: „ხო შვილობაა, ნეტაი, ქებურიებისას, საველი  
არ გამოჩენილა და ფარსაგი რაიმე არ იყოს“.

ძალზე უხარებდა გულს ბესიკოს მოსიყვარულე მამას  
ხშირ-ხშირი სტუმრობა: ლოყაწითელი ვაშლები, მეტრული  
სულუგუნი, დედის გამომცხვარი ხაჭაპურები... უქმედლებები  
თვითონ ბესარიონი ეწვეოდა ხოლმე მშობლებს. მაშინ კი  
ნამდვილი დღესასწაული იდგა ქებულრიებისას. გახარებული  
საველი მეზობლებს გადმოიპატიუებდა, ეკატერინე სუფრას  
დაუტრიალდებოდა და იყო გათენებამდე ერთი დალოცვა-  
სადღეგრძელოები. კარის მეზობლებს სწორედ რომ ეამაყე-  
ბოდათ ბესიკოს წარჩინება. იმ დროს არცოუ ისე ხშირი იყო  
ნასწავლი ახალგაზრდობა, მთელ სოფელში ორ-სამ მოსახლეს  
თუ ეყოლებოდა სასწავლებლად „გამეტებული“ შვილი. გლეხ-  
კაცი მუშახელის შემომატებასა და უღლის გამშევს უფ-  
რო ირჩევდა, ვიდრე ვაჟიშვილის ოჯახიდან მოწყვეტას და  
მისთვის ანა-ბანას სწავლებას. მერედა, რამდენი ხარჯი სჭირ-  
დებოდა რიგიანი სწავლა-განათლების მიღებას. საჭყალ  
გლეხს, დიდი სურვილიც რომ ჰქონდა, აბა, სად შეეძლო ასე-  
თი ხარჯის გაღება. საველი ქებულია ჯიუტი კაცი იყო, შრო-  
მით წელში რომ გამწყდარიყო, განხრახლულს მაინც არ გადავი-  
დოდა. ხშირად იტყოდა ხოლმე: უსწავლელობამ მე რა ხეირი  
დამაყარა, რომ ჩემმა შვილმა გაიხაროსო. ლუკმას მოვიკლებ  
და ჩემს ბესარიონს მაინც ვასწავლი, ხალხში გამოვა, თვალს  
გაახელს, კაცური კაცი დადგებაო.

შშობლებს ვალში არც შვილი რჩებოდა. ისეთი მონდომე-  
ბით სწავლობდა, რომ სულ მალე თითით საჩვენებელი მოს-  
წავლე გახდა. მაგრამ ერთში კი ემდუროდნენ მასწავლებლე-  
ბი — ვერა და ვერ შეეთვისა საღვთო სჯულის გაკვეთილებს.  
პირველ ხანებში უგულისყუროდ ისმენდა „მამაო ჩვენოსა“ და  
„დავითნს“, მერე კი სულ მიატოვა გაკვეთილზე დასწრება. მა-  
შინ საველი ქებულია დაიბარეს „მხარნაქცევი“ შვილის ამბის  
საცნობებლად.

სკოლის დირექტორთან გამოძახებული საველი ლამის მეა-  
თასედ იხდიდა ბოდიშს თავისი ვაჟიშვილის უგვანი ქცევისათ-  
ვის, ევედრებოდა, არ გაერიცხათ სასწავლებლიდან.

შინისაჟენ მიმავალი მამა-შვილი ერთხანს პირს არიდებდა  
ერთმანეთს. ბოლოს მაინც ველაზ გალძლო საველს გულმა:  
— რად მღუპავ, შვილო, ან თავს რისთვის იღუპავ. ხომ

სედავ, წელებზე ფეხს ვიდგამთ, შრომით ოთხად ვართ მონ-  
რილი მეც და დედაშენიც, გვინდა როგორმე სწავლა მიგარებუ-  
ბინოთ, ხალხში გამოგიყვანოთ, შენ კი რაღაც სისულელებს  
აჰყოლიხარ და ლამის არის მთელი შრომა წყალში ჩაგვიყა-  
რო. ნუთუ არ გინდა, ამ გაჭირვებიდან ამოხვიდე და ქვეყანაზე  
თავაწეულმა იარო. ნუ, შვილო, ნუ იზამ ისეთ საქმეს, რომ  
მტერი გააცინო და მოყვარე აატირო, გაიგონე მამაშენის კე-  
თილი რჩევა...

საველს სიტყვა გაუწყდა. ლამის ატირდეს ეს დროული კა-  
ცი. ბესიკოს მეტი აღარ შეუძლია.

— მაპატიე, მამი, ღმერთმანი, მეტს აღარ გავიმეორებ...

შეთანხმდნენ, დედისთვის არ გაემხილათ მომხდარი ამ-  
ბავი.

დარბაისელი საველი ქებურიას თხოვნამ გაჭრა თუ იმან,  
რომ პატარა ბესარიონი მთელ სასწავლებელში ერთ-ერთ უძ-  
ლიერეს მოსწავლედ ითვლებოდა, დირექტორმა შეუნდო ყმა-  
წვილს „შეცოდება“ და გააფრთხილა, შემდგომში განსაკუთ-  
რებული ყურადღებით მოპყიდებოდა საღვთო სჯულის გაკ-  
ვეთილებს.

ამ შემთხვევიდან ორიოდე კვირასაც არ გაევლო, რომ სა-  
ოცარი ამბის მომსწრენი გახდნენ სოფელ კიშიის სასწავლებ-  
ლის აღსაზრდელები. ერთხელ, შესვენებისას, სკოლის ეზოში  
ურიამული და ალიაქოთი ატყდა.

— ბესიკო გადმოხტა, ბესიკო გადმოხტა, — ყურისწამლე-  
ბად გაპკიოდნენ ბავშვები. ხმაურზე მასწავლებლებიც გამოც-  
ვივდნენ და უცნაური სანახაობა წარმოუდგათ თვალწინ. ბე-  
სოს მქლავების გასწვრივ ფართო ფანერის ნაჭრები მიემაგრე-  
ბინა და სკოლის სახურავიდან გადმომხტარიყო. მართალია,  
ანცი ყმაწვილი დამტვრევას გადარჩა, მაგრამ პედაგოგთა რის-  
ხვა მაინც ვერ აიცდინა. ყოფაქცევაში ნიშანი ჩამოუქლეს და  
კინაღამ სასწავლებლიდანაც გარიცხეს.

დრო მიდიოდა... ბესომ წარჩინებით დაამთავრა კიშიის სას-  
წავლებელი, მშობლიურ ჩხოროწყუს დაუბრუნდა და ოჯახურ  
საქმეში მამას ამოუდგა გვერდით. მაგრამ ჭაბუქს სოფელში  
გული აღარ უდგებოდა, რაკი ერთხელ იგემა ცოდნის სიტყბო-  
სიმწარე, სურდა უფრო ფართო განათლება მიეღო. საველი კი

შარტივი, გლეხკაცური საზომით ზომავდა მომავალი ცხოვრების სავალს: — ცოტა ნასწავლი კია, სახლი აქვს და კარი, ან გამოინახება მაგისი შესაფერი სამუშაო, სხვა თუ არაფერი, კანცელარიის მოანგარიშეობას მაინც შეძლებს, ჩემსავით მიწის ჩიქქნაში არ ამოხდება სული. ეჭ, ბარემ კარგი იყო ქალაქში წასულიყო სასწავლებლად, მაგრამ ბეჩოსა... ვისა აქვს მაგისი სახსარი, სიღარიბეს სად გაეჭცევი...

შუა ზაფხული იდგა. ივლისის მცხუნვარე ხვატით სულშეგუბებული ეკა დიდი კაცლის ჩეროს შეფარებოდა და ბესარიონის საგარეო ფარჩის ხალათს უკერავდა. ხელსაქმით გართულმა მანდილოსანმა ეზოში ჩამოსული უცხო სტუმარი მხოლოდ მაშინ შენიშნა, როდესაც ნალიასთან მიბმული ნაგაზი აყეფდა და კისერზე ჩაბმული ჯაჭვი გამეტებით ააუღარუნა.

ეკამ თვალი მოიჩრდილა, ჭიშკარს გახედა. როცა იცნო მოსული, საკერავი შეახვია, სამოსი შეისწორა და ძვირფასი სტუმრის მისაგებებლად აჩქარებული ნაბიჯით გაემართა:

— ღმერთო კი მომყალი, ბატონო კოწია, ერთბაშად ვერ გიცანით, უცხო სტუმრად მიგიჩნიეთ. მობრძანდით, თქვენი ჭირიმე, საველი ვენახშია გასული, ახლავე მოვა.

დაფაცურდა, ათუსფუსდა ეკა, მერე სახლის აივანზე წამოწოლილ ვაჟიშვილს შეუძახა:

— ბესიკო, ბესიკო, შვილო, აქეთ ჩამოდი, ვინ გვესტუმრა... ბესომ კიბეზე ჩამოირბინა და სასურველ სტუმარს ლიმილით შეეგება.

ჭუთაისელი ვაჭარი კოწია შელია ქებურიების ახლო ნათესავი იყო. მისი ჩამოსვლა მუდამ უხარიდათ ამ სტუმართმოყვარე ოჯახში. კოწიას, გარდა ზრდილი სიტყვა-პასუხისა, კეთილი და მოსიყვარულე გულიც ჰქონდა.

როდესაც კაცლის ჩრდილქვეშ გულუხვად გაშლილი სუფრის გარშემო მსხდომი სტუმარ-მასპინძლები საკმაოდ შეზარხოშდნენ და მამაპაპური საღლეგრძელოებით მთელი საგვარეულო ჩამოათვეს, კოწიამ ბესოს დაადგა თვალი.

— ჩემო საველ, — ტკბილად მიმართა მან მასპინძელს, — რას უპირებ შენს ვაჟკაცს, სულ სოფელში უნდა გაატაროს თავისი ცხოვრება?

— აბა, რა ვიცი, ბატონო კოწია, — მორიდებით მიუგოსავეთ...  
ლიმ, — ცოტა სწავლა ქე აქვს, მარა აქ რაში უნდა გამოიყენოს? მაგას ქალაქში წასვლა და სწავლის გაგრძელება სურს, მაგრამ ჩვენ ვინ მოგვცა მაგისი აღლავი...

— თუ ასე გულით გსურს ქალაქში ცხოვრება, ჩემთან წამოდი, ბიძიკო, — ახლა ბესიკოს მიუბრუნდა სტუმარი, — დახლში ჩაგაყენებ, სარფიან ვაჭრად გაქცევ, ცოტა ფულს დააგროვებ და მერე თვითონვე იცი შენი საქმისა, შეიძლება სწავლის გაგრძელებაც შეძლო...

ბესოს თვალები გაუბრწყინდა, საველი ხომ მთლად ცას ეწია სიხარულით, ლამის ხელები დაუკოცნა მოკეთეს. ხუმრობა საქმე ხომ არ არის, ქალაქში ცხოვრება და ისიც ვაჭრის სარფიანი ხელობა.

— შენ იცი და შენმა ვაუკაცობამ, ბატონო კოწია, ეს ერთადერთი ბიჭი გამაჩნია, მაგია ჩემი იმედი და სალოცავი, თუ გზას გაუკაფავ და ცხოვრებაში გამოიყვან, შენი გადაუხდელი ვალი გვექნება მთელ ოჯახს. შენი ჭირიმე, შენ იცი და შენმა კაი კაცობამ, — ერთხელ კიდევ გაიმეორა გულაჩუყებულმა. საველიმ და პირამდე სავსე ჯიხვის ყანწებით ჭაბუკი ბედის-მაძიებლის საღლეგრძელო გამოცალეს.

დახლი და ვაჭრობა ბესარიონს გულში ღიღად არ ეპიტნავებოდა, მაგრამ არას იმჩნევდა და მამას კვერს უკრავდა:

— წავალ ქალაქში, აბა, კოწია ბიძიასთან რა გამიჭირდება.

მაშინვე მოილაპარაკეს და გადაწყვიტეს, რომ მეორე ღილითვე კოწია ბესიკოს ქუთიასში წაიყვანდა და საქმეში ჩააყენებდა.

ქუთაისში, ყოფილ ბალახვნის ქუჩაზე მტრედისფრად შეფერქილი, კოხტა სავაჭროა. აბრის წარწერა გამვლელთ აცნობს, რომ აქ თავად კოწია შელის ფარითლეულის სავაჭრო გაუმართავს. დახლში ჩამდგარი ფერმქრთალი ახალგაზრდა ნაღვლიანი თვალებით გაჰყურებს დათეშიძეების მაღალ კორას, უგულოდ ტრიალებს თოფებად დალაგებულ ქსოვილებს. შორის და მთელი დღე ისე გაივლის, ერთ-ორ სიტყვას თუ წამოღერდავს. თუმცა ბესიკოს აზრი და გონიერა საკმაოდ დაშორებულია დუქნის ციებ-ცხელებისაგან, მაგრამ მის მუყა-

ითობასა და საქმისაღმი ერთგულებას ვერავინ უარყოფს. გან—  
საქუთრებით ანგარიში ეხერხება ჭაბუკს — მთელი დღისა—  
ვაჭრს ორ-სამ წუთში ისე უშეცდომოდ გამოითვლის, რომ კო—  
წია აღტაცებას ვერ მალავს:

— ნამდვილად ვაჭრად დაბადებულხარ, ჩემო ბესიკო, ცო—  
ტაც მაცალე და შენგან ისეთ საქმოსანს გამოვიყვან, ყველა  
შეგნატროდეს...

— არა, კოწია ბიძია, დახლი და არშინი ჩემი საქმე არაა.  
სწავლის გაფრაქტელებას რომ მოვახერხებდე, მაშინ მე ვიცი, რა—  
საქმეს. მოვკიდო ხელი.

შეცბუნებული კოწია ერთხანს გაკვირვებული მისჩერე-  
ბოდა ჭაბუკს. მას ვერ წარმოედგინა, რა უნდა ყოფილიყო  
აღამიანისათვის ფულზე, სიმდიდრეზე უფრო საოცნებო. ბო-  
ლოს, რაკი ვეღარაფერი გაარკვია, ხელი ჩაიქნია.

თავისუფალ საათებში ბესო წიგნებსა და ახალ უურნალ-  
გაზეთებს კითხულობდა. განსაქუთრებით ტექნიკური ლიტე-  
რატურა პინტერესებდა. ნოქრობაში აღებული ხელფასის უმე-  
ტეს. ნაწილს მშობლებს უგზავნიდა, დანარჩენი თანხით კი რუ-  
სეთიდან უურნალ-გაზეთები გამოიწერა. ხარბად აღევნებდა  
თვალყურს საზღვარგარეთსა და რუსეთში ავიაციის შექმნის  
პირველ ნაბიჯებს.

იმ დროს საქვეყნოდ იყო ცნობილი დიდი რუსი გამომგო-  
ნებლის ალექსანდრე თედორეს ძე მოჟაისკის სახელი.

მოჟაისკიმ მთელი სიცოცხლე საზღვაო სამსახურში გაატარა,  
მაგრამ მუდამ ოცნებობდა, შეექმნა აპარატი, რომლითაც ადა-  
მიანი ჰაერში ფრენას შეძლებდა. მალე მას ოცნების განხორცი-  
ელების შესაძლებლობაც მიეცა. 1860-იან წლებში იგი შე-  
უდგა თავისი ჩანაფიქრის განხორციელებას. ჩაატარა უამრავი  
ცდა, დეტალურად დაამუშავა „ნავისებური ფრინველის“  
კონსტრუქციის საკითხები და მალე გააკეთა ასეთი აპარატის  
მოდელი. მართალია, მოჟაისკის მოდელით გაკეთებულმა  
თვითმფრინავმა პრაქტიკულად დაამტკიცა ჰაერში საგნის  
ფრენის შესაძლებლობა, მაგრამ აპარატის შესამოწმებლად.  
დანიშნულმა კომისიამ მოლოდინი არ გაუმართლა. კომისი-  
ამ, რომლის უმრავლესობა უცხოელებისაგან შედგებოდა,  
არამცთუ დახმარება გაუწია რუს გამომგონებელს, პირიქით,

შეეცადა ჩაეკლა მასში ამ პროექტის განხორციელების რწმენა.  
მოუაისკიმ გული მაინც არ გაიტეხა, საჭირო თანხა შეაფრთვა  
ვა და შეუდგა თვითმფრინავის დამზადებას. ეს იყო მონო-  
პლანის ტიპის თვითმფრინავი. 1882 წლის 20 ივნისს მოუაის-  
კის თვითმფრინავმა წარმატებით ჩატარა გამოცდა — მძლავ-  
რად გაშალა ფრთხები, ას საუენამდე მანძილზე გაფრინდა და  
ისევ წყნარად დაშვა დედამიწაზე. და ეს მოხდა ოცდაერთი  
წლით ადრე, ვიდრე საზღვარგარეთ ჰაერში აფრინდებოდნენ  
ძმები რაიტები. თუმცა მოუაისკის გაბედულ წამოწყებას მე-  
ფის მოხელეების მხრიდან მხარდაჭერა არ ეწერა, დიდმა რუს-  
შა გამომგონებელმა მაინც სამართლიანად დაიმსახურა „მსოფ-  
ლიოში პირველი თვითმფრინავის შემქმნელის“ სახელი.

ქვირა დღეა. ქალაქის ვიწრო ქუჩები და შუალები ჩარდახია-  
ნი ურმებით გაჭედილა. ახლომახლო სოფლებიდან ჩამოსული  
ჭრელთავსაფრიანი დედაკაცები ხმამაღალი გადაძახილით ეხმა-  
ურებიან ერთურთს. ლოყებლაჟლაჟა, წითელხალათიანი ბი-  
ჭუნები კოფოზე წამოსკუპულან და ხაბადა შესცერიან ქუ-  
ჩის ორომტრიალს. ოჯახის უფროსი მამაკაცები ნაცნობ-  
ახლობლების კარს აკითხავენ — როგორმე დროზე უნდათ  
დააბინაონ ქალაქში გასაყიდად ჩამოტანილი ჭირნახული, რომ  
მერე მაზანდა შეიტყონ და მუშტარი მოძებნონ.

ქართულად თავდახურული კოპწია მანდილოსნები მედი-  
დურად დაბრძანდებიან ბულვარის კიდეზე, ზოგჯერ ეტლით  
რომელიმე ცნობილი ჩინოვნიკი ჩაიქროლებს თავისი ოჯახით  
და მაშინ ბულვარზე მოსეირნეთ ახალი სალაპარაკო და სა-  
ჩურჩულო უჩნდებათ.

სავაჭროებს ფართოდ მოულიავებიათ სტუმართმოყვარე კა-  
რი. დახლი პირდაპირ ქუჩის კიდეზე გადმოუშლიათ და ზედ  
გადმოულაგებიათ მთელი თავიანთი სიმღიდრე:

ფარჩა, აბრეშუმი, ოქროსა და ვერცხლის ნაკეთობანი,  
ჩიტის ფრთხებივით მოხატული მაშიები, ნელსაცხებლები და  
უცხო ხილი...

ნაირფერი ფართლეულით აჭრელებულა კოწია შელიას სა-

ვაჭროც. უხარია პატრონს — ყველაზე მეტი მუშტარი მის ფუ-  
ქანს აწყდება, ხელდაცლილი სოფლელები ჭირნახულში მდებ-  
ბულ გროშებს აუცილებელი საჭიროებისათვის თუ იმეტებ-  
ენ. გულლია ლიმილით ეგებება კოწია მუშტრებს, მარითათია-  
ნად ტრიალებს დახლში. ბესიკოც აქ არის, ისიც შველის, ეხმა-  
რება პატრონს, მაგრამ სახე მაინც ჩამოსტირის. კოწიას არ  
მოსწონს შეგირდის მოღუშული პირისახე:

— რაო, ბესიკო, უქმე დღეს გული აღარ გიღგება საქმეზე  
განა, შე ეშმაკო, ალბათ ვინმე კუდრაჭა გოგოცუნა გელის  
ბულვართან. ასეა ხომ, მიგიხვდი?

— ცუდად მიმხვდით, კოწია ბიძია, მართალია, სავაჭროში  
გული აღარ მიღგება, მაგრამ გოგოს გულისთვის კი არა, სწავ-  
ლა მინდა, აღარ შემოძლია ასე გაძლება; თუ საჩემო საქმეს  
ვერ დავადეჭი, დარდი გადამიტანს.

კოწიაც ატყობდა, რომ ბესოს მომავალი სულ სხვა გზით  
უნდა წარმართულიყო.

— მაინც რას აპირებ, ბიჭო?

— ღამეხმარეთ, ჩემო ბიძია, ფოთში რკინიგზაზე მინდა  
ვამუშაო. რამდენიმე ქუთაისელი ბიჭიც აპირებს წასვლას და,  
თუ იქ გამაგზავნით, ცოტას მშენებლობაზე წავიმუშავებ, მერე  
კი სწავლას გავაგრძელებ. ამაზე უკეთეს სამსახურს ვერ გამი-  
წევთ. თუ მე ვერ შევძელი სამაგიეროს გადახდა, ბუნება გიზ-  
ღავთ. სიკეთისათვის, — გრიძნობით დაამატა ჭაბუკმა და მეტი  
მოელვარებისაგან ხმა აუკანებალდა.

— მე არა ვარ, ბიჭო, წინააღმდეგი, მაგრამ მამაშენს რა  
პასუხი გავცე. ხომ დავპირდი, შენ შვილს ვაჭრად გამოვზრდი-  
თქო. აბა, რას მეტყვის საველი, როგორ შეხედავს ამ ამბავს?!

— ოღონდ თქვენ მომეხმარეთ და მამაჩემის შემორი-  
გება ჩემს კისერზე იყოს. ვიცი, მშობლები ჩემს სურვილს არა-  
სოდეს წინ არ აღუდგებიან. ოღონდ თქვენ დამეხმარეთ...

კოწია დარწმუნდა, რომ ბესოს განზრახვაზე ხელს ვერ  
ააღებინებდა. გულში მოსწონდა კიდეც ყმაწვილის თავგამო-  
დებული მისწრაფება. შეპირდა, რაც ჩემზეა დამოუიდებული,  
ყოველივეს გავაკეთებო და თავისი პატიოსასი სიტყვის ბედ

იმ დღის ნავაჭრი მთლიანად ფოთში გასამგზავრებელი ხარჯებისათვის გადადო.

ამ ამბიდან ერთი კვირის შემდეგ კოწია და ბესარიონი უკვე ფოთისაკენ მიემგზავრებოდნენ. მწვანე მუხლუხივით გაჭიმული მატარებელი ზღაზვნით მიწევდა წინ.

— კოწია ბიძია, რას იტყოდით, ამ მოჯაყვაყე ვაგონების ნაცვლად ფრთებგაშლილი უცხო ფრინველი რომ მიგვაქროლებდეს ფოთისაკენ.

— რომელ უცხო ფრინველზე ლაპარაკობ, ჩემო კარგო?

— როგორ, კოწია ბიძია, ნუთუ არაფერი გმენიათ საპარო ბურთებზე და მფრინავ აპარატებზე?

— კარგი ერთი, თუ ღმერთი გწამს, — სერიოზულად გაოცდა კოწია შელია. მერე კი გამხიარულებული ვაჭარი ხუმრობის გუნებაზე დადგა:

— მერე, ბიჭო, ღმერთს რომ გადავაწყდეთ საღმე ემაგ შენი ფრინველით, რა ვუთხრათ, საველი ქებურიამ ვახშმად დაგპატიუა და მიტომ შეგაწუხეთ-თქო?

— იცინეთ, კოწია ბიძია, და აი, ნახავთ, თუ მეც არ გავაკეთო ასეთი აპარატი...

— ღმერთმა ხელი მოგიმართოს, ჩემო ბიძიკო, — გულით დალოცა კოწიამ, — მასეთი სასახელო კაცი თუ გამოხვალ, მტერისაც კი გაეხარდება. ოღონდ არ დაგვაიწყდეს, ჩემო ბესიკო, ერთხელ მეც უნდა შემსვა შენს ბედაურზე, ხი, ხი, ხი... — სიცილისაგან ჩაბჟორდა კოწია.

ფოთში კოწიამ თავის ახლო მეგობარს, ალექსი უვანიას მიაკითხა; გააცნო ყმაწვილი და სთხოვა, მისთვის როგორმე დახმარება აღმოეჩინა. უპირველესად ბინაზე უნდა ეზრუნათ. ალექსიმ ბესოს თავის სახლში ერთი საკმაოდ მოზრდილი, ნათელი ოთახი დაუთმო. მეორე დღეს კი, დილაადრიანად, რკინიგზის უფროსისაკენ გასწიეს. ალექსიმ ბესარიონ ქებურია ინუინერს წარუდგინა და სთხოვა, ყმაწვილი სამუშაოზე მიეღო. ინუინერს ბევრი ხვეწნა არ დასჭირვებია.

ბესო მეტად ბედნიერად გრძნობდა თავს. დიდი ინტერესით ეცნობოდა სხვადასხვა სახის აპარატს, დანადგარებს, მექანიზმებს, ძრავებს... სულ მაღვე ისე გაიწაფა, რომ თვითონვე

ახერხებდა პატარი-პატარა მექანიზმების გამოჩარხვას, სექტე-  
ბისა და ნახაზების შედგენაში ხომ ბადალი არ ჰყავდა.

აურაცხელი ახალი და შთამბეჭდავი განცდა აქვს, მისწრა-  
ფება, მაგრამ მაინც გული სტკივა. უკვე საქმაო ღრო გავიდა,  
მშობლებისაგან კი არაფერი ისმის. ეტყობა, საბოლოოდ შე-  
მოსწყრა საველი, ვაჭრის მომხიბვლელი კარიერა რეინიგზის  
მუშის სახელზე რომ გაცვალა. დედას მაინც როგორდა გაუძ-  
ლო გულმა. ერთხელ არ მოიკითხა. სხვას რომ თავი დავანებოთ,  
ალექსი უვანიასი ერიდება, როდემდე უნდა იყოს ამ კაცის  
კარზე. მისი ხელფასით კი ცალკე ცხოვრებაზე ფიქრიც არ  
შეიძლება.

ეჭ, რაც არის არის, კიდევ ცოტა ხანი და თვითონვე გას-  
წევს ჩხოროწყუსაკენ. იცის ბესომ, როგორ შემოირიგოს შე-  
მომწყრალი მშობელი, როგორ ნათელ ფერებში დაუხა-  
ტოს თავისი ბეღნიერი მომავალი.

ამ ფიქრებში იყო გართული ბესარიონი, რომ დერეფანში  
ნაცნობი ფეხის ხმა და მასპინძლის შეძახილი შემოესმა. იგი  
სასწრაფოდ წამოიჭრა საწილიდან, იქვე, სკამის საზღრუეზე  
გადაკიდებულ ხალათს გადასწვდა, მაგრამ გადაცმა ვერ მოას-  
წრო. ოთახის კარი ფართოდ გაიღო და ზურგზე ხურჯინმოკი-  
დებული, ბალლივით დამორცხვებული საველი უხერხულად  
შეჩერდა ზღურბლთან.

— მამა, — დაიყვირა ბესომ და გახარებული გადაეხვია.

— დამაცალე, ბიჭო, ხურჯინი მაინც ჩამოვიღო, — დაბნე-  
ული ტრიალებდა საველი. საველიმ მუცელგამობერილი ხურ-  
ჯინი ოთახის კუთხეში მიდო და კვლავ გადაეხვია შვილს. კარ-  
გა ხანს იყვნენ ასე და ალბათ კიდევ დიდხანს ვერ გაძლებოდ-  
ნენ ალერსით, რომ ალექსი უვანია არ წამოსდგომოდათ თავს:

— დანახვისთანავე ვიცანი, მამაშენი რომ იყო, — მხიარუ-  
ლად მიუბრუნდა იგი ბესარიონს, — კაი ვაჟკაცი ხარ და კაი  
მშობელიც გყავს.

— კი მაგრამ, თქვე ოჯახაშენებულებო! — მერე ორთავეს  
შისამართით გაიხუმრა, — ასე თუ იყავით შეყვარებულები,  
როგორდა გაძლიოთ უერთმანეთოდ? არა უშავს, საველ ჩემო,  
ზოგჯერ ჭაბუკის დანახული უკეთა ჩანს, ვიდრე ჩვენი, მო-  
ხუცების... ვინ იცის, ისეთი სასახლო კაცი გამოვიდეს, ვა-

ჭარი და ჩინოვნიკი ორთავ შემონატროდეს. მაგას გულშე შრომასთან ერთად ისე ძალუმად ჩავარდნია წიგნის ტრადიცია  
ნამდვილად დიდი ნასწავლი კაცი დადგება. დაიმახსოვრე ჩე-  
მი ნათქვამი...

საველიმ ხურჯინიდან სათუთად ამოალაგა ეკას გამომცხვა-  
რი ჭვიშტარი, ღვეზელი, რძიანი სულუგუნები, შებრაწული ვა-  
რია და დათაფლული ჯანჯუხები. ყველაფერს დედის ხელის  
ნაზი სურნელება გამოჰყოლოდა.

— არ ამცილდა, ბიჭო, ამ ხურჯინის ტარება, — მიესიყ-  
ვარულა შვილს საველი, — ჭერ იყო და კიწის ორლობეები  
ამატალახებინე, ახლა ქალაქის ქუჩები უნდა მათელინო ასე  
მორთულ-მოკაზმულს? რატომ შემოსწყერი, შვილო, კოწიას  
სავაჭროს? ფული გექნებოდა და სახლი, მეტი რა გინდოდა?

— კარგი ერთი, მამაჩემო, რა ს. ხელია, ერთი მითხარი,  
ვაჭრის სახელი, მარტო ფულისათვის ხომ არ უნდა იცხოვროს  
ადამიანმა. მე სხვა საზომით ვზომავ ცხოვრებას. არშინი და  
დახლი რა ჩემი საქმეა. სანამ ჩემს მიზანს არ მივაღწევ, იცო-  
დე, ვერ მოგისვენებ. კოწიამ დიდი სიკეთე მიქნა, მაგის ვალს,  
ალბათ, ვერასოდეს გავისტუმრებ, მაგრამ მე ჩემი ვზა მაქვს...

— კარგი, შვილო, როგორც შენმა აზრმა და გონებამ გა-  
გიჭრას, ისე მოაწყვე შენი მომავალი. მე ჩემი ცხოვრება უცვე  
მოვჭამე. შენი ბედნიერებითლა ვსულდგმულობთ მეც და დედა-  
შენიც. ვინ იცის, შეიძლება შენმა ჭკუამ აჯობოს ჩვენს ნა-  
ფიქრალს. რაც შეგვიძლია ხელს შეგიშყობთ, ყურადღებას  
არ მოგაკლებთ და სხვა შენ იცი...

საველიმ რამდენიმე დღე დაპყო ფოთში, ბესოს უშუალო  
ხელმძღვანელი ინუინერი სლივიცი ინახულა და მისგან შვი-  
ლის ქება რომ მოისმინა, კმაყოფილი და ნასიამოვნები გაე-  
შურა შინისაკენ. სლივიცის მეტად მოსწონდა ახალგაზრდა  
გონებამახვილი ჭაბუკი, ეხმარებოდა მას და გარდა ტექნიკუ-  
რი ლიტერატურისა, მხატვრულ ლიტერატურასაც აწვდიდა.

ამასთანავე ბესო მონდომებით ეუფლებოდა რუსულსა და  
უცხო ენებს.

დადგა 1898 წელი. რუსეთის ბევრ ქალაქში რკინიგზის  
მაგისტრალის გაყვანა აუცილებელი გახდა. კაღრები კი საქმა-  
რისი არ ჰყავდათ. საჭირო იყო იგი ამიერკავკასიის ახალგაზრ-

და ტექნიკოსებითაც შეევსოთ. ამ საკითხზე პეტერბურგიდან  
საგანგებოდ ჩამოსულ ხელმძღვანელ პირებს პირველ უკუმშემყვა  
ბესარიონ ქებურიას კანდიდატურა შესთავაზეს. ინუინერ სლი-  
ვიცქის ბრწყინვალე დახასიათებამ საბოლოოდ გადაწყვიტა  
ბესოს ბეჭი. იგი პეტერბურგში გამოიძახეს, სადაც ექსტერ-  
ნად შესანიშნავად ჩააბარა გამოცდები რკინიგზის უფროსი  
ტექნიკოსის წოდებაზე.

სამსახურში გაწესების მოლოდინში ბესომ პეტერბურგში  
რამდენიმე თვე დაჰყო. იმ დროს იქ ბევრი გამოჩენილი ქარ-  
თველი ცხოვრობდა. ბესო მალე დაუახლოედა მათ. ხშირად  
ესწრებოდა თანამემამულეთა ლიტერატურულ საღამოებსა და  
წარმოდგენებს. აქ გაიცნო ქართული ხელოვნების დიდი მო-  
ამაგე და შესანიშნავი კომპოზიტორი მელიტონ ბალანჩივაძე.  
მალე მათ შორის მეტად მეგობრული ურთიერთობა დამყარდა.

ბესარიონი ხარბად აღევნებდა თვალს საზღვარგარეთსა და  
რუსეთში მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების გზებს.  
იგი დაესწრო პეტერბურგში გამართულ ექიმთა და ბუნების-  
მეტყველთა X ყრილობას.

დიდი რუსი მეცნიერის ნ. ე. უკოვსკის გამოსვლამ აღაფრ-  
თოვანა ქართველი ახალგაზრდა. იგი საბოლოოდ დავადიდა სა-  
ავიაციო სენიორ. მ. ბალანჩივაძის მეცადინეობითა და დახმარე-  
ბით ბესარიონი ორენბურგ-ტაშკენტის რკინიგზის ხაზზე და-  
ნიშნეს უფროს ტექნიკოსად:

ორენბურგში ჩასვლისთანავე ბესარიონს რკინიგზის მშე-  
ნებლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უბანი ჩააბარეს. მართა-  
ლია, ახალგაზრდა სპეციალისტს ჯერ კიდევ არ გააჩნდა საჭირო  
პრაქტიკა, მაგრამ საჭმის სიყვარულს და ახალგაზრდულ ენერ-  
გიას თავისი გაძქონდა. თუმცა რთული და მძიმე სამუშაო აწ-  
ვა კისერზე, ეს ვერ უშლიდა ხელს, ცოდნის გაფართოებაზე  
ეზრუნა. მშობლებისადმი გამოგზავნილ მის ერთ-ერთ წერილ-  
ში ასეთ სტრიქონებს ვკითხულობთ: „ლკვე რამდენიმე თვეა,  
სამუშაოზე მოვეწყვე, თქვენ, ალბათ, ფიქრობთ, გავმდიდრდი,  
მე კი ერთი ხეირიანი კოსტუმიც ვერ მიყიდია. მთელი ჩემი  
შემოსავალი საზღვარგარეთული ლიტერატურის, ტექნიკუ-  
რი უურნალებისა და ენციკლოპედიების შეძენას უნდება. რას  
იზამთ, მამაჩემო, შეიძლება ამჯობინებდით, თქვენს შვილს

რამდენიმე ხელი საზღვარგარეთული ტანსაცმელი შეეძინა / რა  
ქალაქებარეთ მდიდრულად მორთული ვილა ჰქონოდა, მაგრამ,  
გეფიცებით, მე ასე უფრო ბედნიერად და კმაყოფილად  
ვგრძნობ თავს. ცხოვრებაში მთავარია, მტკიცებდ მისიწრაფოდე  
იმ მიზნისაკენ, რომლისთვისაც მოწოდებული ხარ. ჩემი დღე-  
ვანდელი საქმიანობა ამ დიდი ოცნების ზღურბლთან ტრია-  
ლია მხოლოდ. ალბათ, მალე ამ მიზნის განხორციელებასაც  
შევაღწევ“.

ბესო დილიდან დაღამებამდე ჩაჰკირკიტებდა ტექნიკურ  
ხელსაწყოებს, მექანიზმებს, ეცნობოდა უუკოვსკისა და ციოლ-  
კოვსკის შრომებს, ოცნებობდა ჰერში ასაფრენი აპარატის  
გამოგონებაზე. ინტერესით ხწავლობდა რუსი ავიატორების  
მოღვაწეობას. მისმა ნოვატორულმა ნიჭმა კი ჯერჯერობით  
რკინიგზის მშენებლობის რაციონალიზაციის საქმეში იჩინა  
თავი და ზოგიერთი მისი ახალი გამოგონება დაინერგა კიდეც  
წარმოებაში. ხელმძღვანელობა დიდად კმაყოფილი იყო  
ახალგაზრდა სპეციალისტისა, რომელმაც ბრწყინვალე ნიჭითა  
და შრომისმოყვარეობით საყოველთაო ავტორიტეტი და  
პატივისცემა დაიმსახურა. მალე ბესოს, როგორც ნოვა-  
ტორსა და რაციონალიზატორს, ხელფასიც გაუდიდეს და  
მას საშუალება მიეცა, მშობლებისთვისაც გაეგზავნა ცოტაო-  
დენი ფული.

ორენბურგში ბესარიონმა პირნათლად შეასრულა სამსახუ-  
რებრივი ვალი და აი, დადგა ღრო სამშობლოში გამომგზავრე-  
ბისა. სწორედ მაშინ იგრძნო ჭაბუქმა, რა უსაზღვროდ ძლიე-  
რია მშობლიური მიწის ძალა, რა უხილვე ძალით იზიდავს იგი  
თავის პირმშოს, როგორ ეწევა თავისკენ თუნდაც ქვეყნის და-  
სალიერიდან. ამდენი წელი უშფოთველად გაატარა ამ ექსპე-  
დიციაში, ახლა კი უცრიად რომ ეთქვათ, კიდევ ერთ თვეს  
მოგიწევს აქ დარჩენაო, ალბათ ჭკუიდან შეიშლებოდა. ახლა  
იგრძნო, რა ჩუმი ლოდინით ელოდა ამ დღეს, როგორ ედე-  
ბოდა მის არსებას სამშობლოს ხილვის სურვილი.

გულისტკივილით აცილებლნენ ორენბურგელი მეგობრები  
ბესარიონს; მათ ხომ საკმაო ხანი იმუშავეს ერთად, საერთო  
ჭირი და ლხინი გამოიარეს, შეიყვარეს და შეისისხლხორცეს  
ერთურთი. გამომგზავრების წინა დღით კი ქართული ლხინი

ვააჩალეს და ძვირფას მეგობარს სამშობლოსაკენ გზა დაულო /  
ცეკვაზე გადასახლება

ორენბურგიდან დაბრუნების შემდეგ ბესარიონი ქ. თბილისში ცხოვრობს, ნაქირავებ ბინაში, გოგოლის ქუჩაზე. მისი ფანჯრების პირდაპირ შიუკაშვილების შეძლებული ოჯახია. მათი ლამაზი ქალიშვილი ხშირად უღიმის ფანჯრიდან. ჯერ ნაცნობობა გაიბა, შემდეგ შეხვედრები და თეთრი ლამეები.

მოულოდნელად დაიკარგნენ ახალგაზრდები. სოფიოს გორში ბებია ჰყავდა და მოხუცის კეთილი ბუნების იმედით მას მიაყითხეს. დედას ვინ გაუბედავდა იმის თქმს, ქალიშვილი „საწყალ“ ტექნიკოსზე გაათხოვეო. თავისი გოგონასათვის ერთი უკვე „დალაგებული“ და მდიდარი ვაჭარი ჰყავდა შეგულებული. ბებიამ ძლიერ გადაარჩინა შეყვარებული წყვილი. დედამ ჯერ შამფური უთავაზა ბედნიერ ქალიშვილს მხრებზე, შემდეგ კი ახალ ჯვარდაწერილებს — სოფიო შიუკაშვილს და ბესარიონ ქებურიას — ცხოვრების გზა დაულოცა.

\* \* \*

1905 წელს ბესარიონ ქებურია როგორც გამოცდილი და საქმის ღრმა მცირდნე სპეციალისტი, ბორჯომისა და ყარსის რკინიგზის ხაზზე უფროს ტექნიკოსად დანიშნეს. მან აქაც ისახელა თავი და თორმეტამდე რაციონალიზატორული გამოგონების ავტორი გახდა, რამაც ხუთმაგად შეამცირა რკინიგზის მშენებლობის ხარჯები. იმ ღრთს საქართველოში ჯერ კიდევ არ იყო გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა ბიურო. მან პირველმა ჩამოაყალიბა გამომგონებელთა ბიურო, რომელმაც განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულა სარკინიგზო მშენებლობაში.

მართალია, რკინიგზაზე მუშაობა ბესარიონის პირდაპირი მოწოდება არ გახლდათ, მაგრამ ამ საქმიანობამ მაინც გარჯვეულად განავითარა მისი შემოქმედებითი ნიჭი.

ჯერ კიდევ 1903 წელს მსოფლიო განაცვითრა ამერიკელი ავიატორების, ძმები რაიტების პირველმა საცდელმა გაფრენამ. საკუთარი კონსტრუქციის აპარატით 30 წუთში დაჰფარეს

30 კილომეტრი მანძილი. რაიტების გაფრენამ დიდი გავლენა  
მოახდინა ახალგაზრდა ბესარიონ ქებურიაზე. ბესარიონ, ქებურია  
რია დარწმუნდა, რომ მფრინავი აპარატის შექმნა და თვალშე-  
ვდენელი სივრცეების დაპყრობა მოკვდავთა ძალ-ღონეს არ  
აღემატებოდა.

და თუ საავიაციო ტექნიკაში თავიანთი სიტყვა თქვეს  
რუსმა თუ ამერიკელმა კონსტრუქტორებმა, რატომ არ შეიძ-  
ლება მისი განხორციელება აქ, საჭართველოში საკუთარი ძა-  
ლებით და საშუალებით? საჭიროა მხოლოდ მონდომება,  
დაუღალავი შრომა და შეუდრეველი ნებისყოფა.

როდესაც ბესომ თავისი მოსაზრება ახლო მეგობრებსა და  
ამხანაგებს გაანდო, მათ უიმედოდ ჩაიქნიეს ხელი: ეს ხომ  
ოცნებაა, ზღაპარი... ძმაო, უმჯობესია თავი მიანებო ამ ფუჭ-  
ოცნებას, არა შეჯდა მწყერი ხესაო, ხომ გაგიგონია,  
ასე დაგვემართება ჩვენც. რაც ჩვენ მამა-პაპათ არ უფიქრიათ  
და არ უცდიათ, ნურც ჩვენ ავიკვიატებთ, მტერს ნუ გავაცი-  
ნებთო.

ბესო ძლიერ დააღონა და თანაც განაცვიფრა ჰსეტმაგულ-  
გრილობამ. ცხოვრება ხომ წინ მიდის, ტექნიკა ვითარდება.  
ახალ-ახალი მიღწევები აოცებენ მსოფლიოს. ბესომ შორს და-  
იჭირა თავი „ვაი მოკეთებისაგან“ და საკუთარი ძალებით შე-  
უდგა ტექნიკის რთულ გოლგოთას.

დაიწყო უძილო, შემოქმედებითი ძიებით ალსავსე ლამეები:  
ნახაზს ნახაზი ცვლიდა, მოდელს-მოდელი, უაშრავი მაკეტი და  
გეგმა დახვავდა ბესარიონ ქებურიას მაგიდაზე. მაგრამ სახ-  
სრის, საზოგადოების ყურადღებისა და შესაფერი სპეცია-  
ლური განათლების გარეშე ოცნება მოცნებად რჩე-  
ბოდა. რაღვან უსახსრობის გამო ძვირფას მასალაზე ოცნე-  
ბაც ზედმეტი იყო, ბესოს სხვა იაფ მასალაზე უნდა ეფიქრა.  
ბევრი ძიების შემდეგ მისი არჩევანი ბამბუკზე შეჩერდა. მა-  
სალა ხელმისაწვდომი იყო და თანაც მსუბუქი, კონსტრუქცია  
მარტივი და მოხერხებული. და აი, ხანგრძლივი, შეუპოვარი  
შრომა ბესარიონში წარმატებით დააგვირგვინა, შეძლო შეექ-  
მნა საჭართველოში პირველი საფრენი პლანერი, ბამბუკი  
მარტივი აპარატი.



1908 წლის მაისის მზიანი დილაა. დიდუბის ეკლესიის გურიაში დაახლოებით იმ ადგილას, საღაც ამჟამად პანთეონია, ზღვა ხალხს მოუყრია თავი: ღელავენ, მოუსვენრობენ, ერთმანეთს ხშირ-ხშირად გადახედავენ და ჯერ განუცდელი გრძნობით აღტაცებულნი თვალმოუშორებლივ გასცერიან მინდორს.

— როგორ, ნუთუ მართლა შეძლებს ეს სასაცილო „ბამბუქის ეტაჟერეა“ დედამიწას მოსწყდეს და კის ლაჟვარდში გაინავარდოს. დიდი გულადი კაცი უნდა იყოს, ომ ამ ახონ-ჩინილი სათამაშოთი გაისეირნოს, ნეტავი თავი ხომ არ მოსძულებია?.. — დაახლოებით ამგვარ ფიქრებს შეეპყრო მაშინ ყველას გონება. ზოგნი ხმამაღლაც გამოსთქვამდნენ გულის-ნადებს: წავიდეთ, ძმაო, გავეცალოთ აქაურბას, რაიმე უბე-დურებას არ გადავეყაროთო. მართალია, სხვების გასაგონად ასე გაიძახოდნენ, მაგრამ ფეხს მაინც არავინ იცვლიდა. ყველა განუზომელ ცნობისმოყვარეობას შეეპყრო — სურდა საკუ-თარი თვალით ეხილა „ბამბუქის ეტაჟერების“ ცაში აფრენა.

და აი, დადგა სანატრელი წუთი.

ბამბუქის ნაცრისფერი კალია ჯერ მინდორზე გასრიალდა მოხდენილად, მერე შვეულად აიჭრა ჰაერში.

ბესარიონის ჰაერში აფრენისას ცოტათი გაუარა მღელვარებამ, მაგრამ მთლად მაინც ვერ დაშვიდებულიყო.

„როგორმე ბოლომდე უნდა გავძლო, როგორმე უავარი-ოდ უნდა დავეშვა მიწაზე, თორებ თუ ერთხელ გაუცრუვდათ მოლოდინი, შემდეგ ძნელადია იწამებს ვინმე ამ დიდი საქმის წარმატებას“... — ფიქრობდა ბესარიონი და საჭეს გულდაგულ მინდობილი, თითქოს შერწყმოდა, შესისხლხორცებოდა მანქანას. „დროა დავეშვა, უკვე სახითათოა დაყოვნება“, — გა-შელვა აზრმა და საჭეს ძალუმად ჩაეჭიდა. უცნაურმა ფრინ-ველმა კიდევ ერთი წრე მოხაზა და ნელ-ნელა იწყო მიწაზე დაშვება. როდესაც პლანერი დედამიწას შეეხო, ხალხმა ერთხ-მად იხუვდა და ყიუინით შემოერტყა გარს. ამასობაში ფრინ-ველის „ქეჩო“ მაღლა აიწია და საშუალო ტანის ქერაომიანი ვაჟაცი გამოჩნდა, მაგრამ მიწაზე ფეხის დადგმა ვინ დააცალა, ხალხმა ხელში აიტაცა და ვაშას ძახილით რამდენჯერმე მაღლა შეისროლა. მერე კი აღტაცებულმა ქართველმა მა-

მულიშვილებმა არნახული შეხვედრა გაუმართეს ჰერის პრო-  
ველ ქართველ დამპყრობელს.

მეორე დღეს დედაქალაქის პრესაშ დიდი მოწონებით აღ-  
ნიშნა საზოგადოებისათვის ჯერ კიდევ უცნობი ქართველი,  
მფრინავის პირველი წარმატება. გამოჩნდნენ მეცენატება, რომლებიც  
მოითხოვდნენ, ბესარიონს შესაფერი საავიაციო  
განათლება მიეღო.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თბილისში 1908 წელს პლანე-  
რით დაფრინავდა აგრეთვე ცნობილი ქართველი პლანერისტი  
და შემდგომში სახელმოხვეჭილი სამხედრო მფრინავი ალექსი  
ვლადიმერის ძე შიუკაშვილი.

1909 წელს ბ. ქებურიას ყურამდე აღწევს სენსაციური  
ცნობა ლამანშე ფრანგი ავიატორის ინუინერ ლუი ბლერი-  
ოს გაფრენაზე.

ავიაციის ფრანგული სკოლა, 1908—1909 წლებში საფუ-  
ველი რომ ჩაუყარეს ავიაკონსტრუქტორებმა: დელიაგრანტ-  
მა, ლუი ბლერიომ, სანტედიუმონმა და ლატამა, მსოფლიოს  
განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში იდგა. მათ მიერ შექ-  
მნილმა თვითმფრინავებმა თავისი კონსტრუქციით შორს გა-  
უსწრეს ძმები რაიტების გამოგონებას. ხოლო ლუი ბლერიომ  
ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ აგო საკუთარი კონსტრუქცი-  
ის აეროპლანი და 1909 წლის 25 ივლისს საჩვენებელი გაფ-  
რენა ჩაატარა. მან ნახევარ საათში დაფარა ოცდაცამეტი კი-  
ლომეტრი საფრანგეთის ქალაქ კალედან დუვრამდის. ბლერი-  
ოს გაფრენის ამბავი მთელი სისწრაფით მოედო მსოფლიოს  
და თვით უკიდურესი სკეპტიკოსებიც კი დაარწმუნა, რომ ტექ-  
ნიკისა და მეცნიერების ამ ბრწყინვალე მიღწევას ახლო მომა-  
ვალში დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ექნებოდა.

ბესარიონმა გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა,  
გამგზავრებულიყო პარიზში, პირადად გასცნობოდა სახელ-  
განთქმულ ფრანგ ავიატორს, შეესწავლა მისი აპარატი და სა-  
ფუძვლიანად დაუფლებოდა ფრენის ოსტატობას.

საფრანგეთში გამგზავრებამდე, 1909 წლის აგვისტოში,  
ბესარიონი პეტერბურგს ეწვია. მას სურდა დიდი რუსი მეცნი-  
ერი ნიკოლოზ ეგორის ძე უუკოვსკი მოენახულებინა, გასცნ-  
ბოდა მას და რჩევა ეკითხა.

...ლრმა ფიქრებში ჩაძირული ბესარიონი წყნარი ნაბიჯით  
მიჰყვებოდა ნევის პროსპექტს. ბუნების თვალწარმტაციის მიზან  
ლამაზით მოხიბლულს არც კი შეუნიშნავს, ისე აღმოჩნდა  
მხცოვანი მეცნიერის სახლის პარმალთან. ცოტა შეყოყმანდა,  
ერთი პირობა უკან გაბრუნებაც კი დააპირა: „ვის იცის, რო-  
გორ შეხვდება ჩემს განზრახვას. შეიძლება მისაყვედლროს, კი-  
დეც, ყოველივე სიკეთის გაღმოლებას მხოლოდ უცხოელები-  
საგან რომ ვცდილობთ, იქნებ სჭობს, სულაც არ შევაწუხო...  
სადარბაზო შესასვლელთან შედგა. ზარის ღილაკის დასაჭრად  
აწეული ხელი ყოყმანით უკანვე ჩამოუშვა, უხერხულად მი-  
იხედ-მოიხედა. არავინ ჩანდა. ბოლოს მაინც გაბედა და და-  
რეკა — რაც მოხდება, მოხდეს, ჩემს განზრახვაზე ხელს მა-  
ინც ვერ ამაღლებინებსო.

თმადათოვლილი, სათნო სახის მოხუცი შემოეგება სტუ-  
მარს. როდესაც ვინაობა გაიგო, კიდევ უფრო გაიხარა:

— მობრძანდით, მობრძანდით, მიხარია თქვენი სტუმრობა,  
არ, თურმე როგორი თაობა გვეზრდება — მამაცი, შელპოვარი...  
ბესარიონი აღტაცებისა და სიმორცხვისაგან წამოენთო, ალა-  
ლი ღიმილით შესცინა მოხუცს:

— მართალი. მოგახსენოთ, არ მეგონა, თუ ასეთ ჭებას  
დავიმსახურებდი თქვენგან. ჩემი გატაცება...

— აბა, აბა, — თითოთ დაემუქრა. მასპინძელი, — გატაცე-  
ბა რას მიქვია. გატაცება კი არა, თქვენი არჩევანი ცხოვრების  
ღიღი და კეთილშობილური მიზანია... ახლა კი საბოლოოდ  
წათამამდა ბესარიონი, გადაწყვიტა გაენდო ნ. უუკოვსკისათ-  
ვის თავისი გეგმები და რჩევაც ეკითხა.

— განზრახული მაქვს საფრანგეთში გავემგზავრო და ავია-  
ტორი ლურ ბლერიოს სკოლაში მოვეწყო, თქვენ რას მირჩევთ,  
ნიკოლოზ ეგორის ძევ?!

— ჩინებულია, მოწონების მეტი რა მეთქმის! თუ გარე-  
შეთაგან არ ვისწავლეთ, მხოლოდ საკუთარი თოხარიკით შორს  
ვერ წაგალთ. ცოდნის წყაროს იქ უნდა დავეწაფოთ, სადაც  
უფრო გულუხვად გაღმოსჩეიფს, წინააღმდეგობებმა არ უნდა  
შეგვაყროთოს.

თან ურჩია, პირველ რიგში ფრენის თეორიისა და ტექნი-  
კის შესწავლისათვის მოეკიდა ხელი, ლრმად გასცნობოდა აპა-

რატის კონსტრუქციას, რათა შემდგომში უფრო გააჭვილება  
ბოდა მისი დამორჩილება. მამობრივად არიგებდა, თუმცა  
და წუხდა კიდეც, რომ რუსეთში ჯერ სუსტად იყო განვითა-  
რებული სამამულო ავიაცია, არ იყო ავიასკოლები და ცოდნის  
წყურვილით შეპყრობილ ახალგაზრდებს უცხო ქვეყნებში  
უხდებოდათ გამგზავრება. ბოლოს ისიც დასძინა — თუ დახმა-  
რება დაგჭირდეს, ნუ მომერიდები, მეგობრად მიგულეო.

წიცოლობზე ეგორის ჟესთან შეხვედრამ ძალა შემატა ქებუ-  
რიას. ის აღტაცებული იყო მხცოვანი მეცნიერის ჩაცმულო-  
ბით, გარეგნობით, სიღარბადსლითა და ცეცხლოვანი ბუნებით,  
შეუდარებლად საამო და ტკბილი მეტყველებით. შინისკენ მი-  
მავალ ბესარიონს თავისდაუნებურსდ ილიას სიტყვები მოა-  
გონდა: „დიდბუნებოვანი კაცი იმით არის შესამჩნევი, რომ  
რომელი მხრიდანაც არ უნდა მიუდგე, ლამაზი სანახავია“.

პეტერბურგში ყოფნისას ბესარიონმა კომპოზიტორი მე-  
ლიტონ ბალანჩინი ინახულა, გაანდო თავისი გეგმები სა-  
ფრანგეთში გამგზავრებისა და იქ საფრენოსნო განათლების  
მიღების თაობაზე, თან ნიკოლოზ ეგორის ძის აზრიც გააცნო.  
ქართველი მუსიკოსი მეტად გაახარა თანამემამულის სანაქე-  
ბო განზრახვამ.

— აფერუმ შენს ვაუკაცობას, ჩემო ბესარიონ! ნეტავი  
მრავლად გვეზრდებოდეს შენისთანა მამულიშვილები, მაშინ  
ჩვენი პატარა ქვეყანაც იტყვის თავის სათქმელს...

მელიტონმა საწერი მაგიდის უჭრა გამოაღო, იქიდან ერთი  
შეკვრა ქალალდის ფული ამოიღო და ბესარიონს გაუწოდა.

— ალალი გულით მოძღვნილია და უარი არ მითხრა, ღმერ-  
თმა მოგახმაროს... შენ ოღონდ ისწავლე, საქმეს დაეცფლე,  
ჩვენი სამშობლო ასახელე.

ბესარიონმა შორს დაიჭირა მელიტონის საჩუქარი, სულ  
ერთიან წამოენთო:

— როგორ გეკადრებათ, როგორ შეიძლება... არა... ვერ  
ავიღებ, — იმეორებდა დაბნეული.

— აიღე, ძმაო, აიღე! ეს ფული ხომ საქვეყნო საქმეს მოხ-  
მარდება.

ბესარიონს თავპატიჟი აღარ გამოუდვია, ფული დიდი მაღ-  
ლობით ჩამოართვა და აღუთქვა, რომ ყოველმხრივ შეეცდებო-  
და, მისი ნდობა გაემართლებინა.

ვინაიდან საკუთარი კონსტრუქციის ბამბუკის პლანერით გაფრენამ ბესარიონს კარგი სახელი მოუხვეჭა, მისმა წამოწყებამ მოწინავე ქართველი საზოგადოების ყურადღება მიიპყრო. უმრავლესობა დარწმუნდა, რომ ავიაციის განვითარება საქართველოში აუცილებელი და კანონმდომიერი მოვლენა იყო და ყოველმხრივ უნდა ცდილიყვნენ ხელი შეეწყოთ, გზა გაეკაფათ ამ სიახლით დაინტერესებული ახალგაზრდობისათვის, ეზრუნათ მათ მომავალზე.

საქართველოში უკვე კარგა ხანია არსებობდა საზოგადოებრიობის ხარჯზე ნიჭიერ ჭაბუკთა უცხოეთში მივლინების ტრადიცია. ამჯერადაც, გაითვალისწინეს ბესარიონ ქებურიას ნიჭი, შეუნელებელი მისწრაფება საავიაციო საქმისადმი და ქართველი საზოგადოების ერთმა ნაწილმა გადაწყვიტა, როგორმე გამოენახა საშუალებები და ქებურია საფრანგეთის საფრენოსნო სკოლაში მიევლინებინა. ამ კეთილი საქმის თაოსნებმა შეაგროვეს საჭირო თანხა, ნაწილიც ბესარიონმა ოჯახის დანაზოგებიდან წაუმატა და სულ მალე მზად იყო საოცნებო ქვეყანაში გასამგზავრებლად.

წასვლის წინ ბესარიონმა მშობლებიც მოინახულა. საველის და ეკას მაინც დამაინც დიდად არ გაკვირვებია შვილის გადაწყვეტილება. გამოსამშვიდობებლად მოსულ ნათესავებში ამაყად ჩამდგარი საველი ხუმრობით იმეორებდა:

— არ ვიცოდი და თურმე ლმერთყაცად დაბადებულა ჩემი ბესარიონი. მაგი უფლის საბრძანებელში შეკრას არ მოერიდა და „ფრანციაში“ გამგზავრება რას მიქვია, აწი რაღათი გაგვაკვირვებს.

არ უკვირდათო, ერთია, მაგრამ მაინც ძლიერ განიცდიდნენ ერთადერთი ვაჟიშვილის დიდი ხნით მოცილებას.— მოხუცები ვართ, ვინ იცის, რა გვემართება, ვინ უნდა მოგვხედოს და გვიპატრონოსო. ბესარიონმა ტკბილი ალერსით და დაპირებით დაამშვიდა მშობლები.

ბესარიონის საფრანგეთში გასამგზავრებლად თითქმის ყველაფერი მზად იყო. მაგრამ როდესაც წასვლის წინა დღეს მან თბილისის გადატრიალ ლედინსკის მიაკითხა უცხოეთის

პასპორტის მისაღებად, ამ უკანასკნელმა პირადობის ჭამულის  
ნაცვლად ციგი უარი შეაგება: არეული დროა და საზღვაოგა-  
რეთის პასპორტის გაცემა, სამწუხაროდ, არ შეგვიძლია. ხო-  
ლო როდესაც მისი სიტყვებით გულგახეთქილი ახალგაზრდა  
კინაღამ ჩაიკეცა, უფრო რბილად დაუმატა: კაცმა რომ თქვას,  
რაში გამოგვადგება თქვენი უცხოეთს გამგზავრება და სწავ-  
ლა. საქართველოში ავიაცია არასოდეს არ შეიქმნება, ფუჭი  
ოცნებაა და ახალგაზრდობასაც ცუდ მაგალითს მივცემთ. უმ-  
ჯობესია, თავი დაანებოთ ფრენას და რაიმე სასარგებლო საქ-  
მეს მოჰკიდოთ ხელი. მეც დაგეხმარებით. აი, თუნდაც საეკლე-  
სიო საზოგადოებაში მოგაწყობთ, რითი არის კუდი?!

ბესარიონი დიდხანს ემუდარა გაჯიქებულ გუბერნატორს,  
მაგრამ ლედინსკისთან არც ხვეწნამ გაჭრა, არც მუდარამ.  
დაძმარებული ბესარიონი ნირწმნდარი გამოვიდა ყოვლის-  
შემძლე მმართველის ოთახიდან.

მეორე დღეს საზოგადოებამ შეიტყო მომავალი მფრინავის  
აუდინციის შედეგი და პეტერბურგში გააგზავნა წარმომადგე-  
ნელი, რომელმაც საავიაციო ფედერაციას აცნობა თბილისის  
გუბერნატორის უსამართლო განაჩენი. გარდა ამისა, საქართვე-  
ლოს თითქმის ყოველი კუთხიდან წერილებით, თხოვნით,  
ზოგჯერ მუქარითაც მოსვენებას არ აძლევდნენ გუბერნატორს,  
ქებურიასთვის საზღვარგარეთ გამგზავრების ნება დაერთო.  
ქართველ მამულიშვილთა ასეთმა მძაფრმა მხარდაჭერამ ლე-  
დინსკი დაარწმუნა, რომ თუ ქებურიას საფრანგეთში გამგზავ-  
რების ვიზს არ მისცემდა, მთელი ქართველი ხალხის უკმაყო-  
ფილებას გამოიწვევდა, ეს კი მისი რეპლტაციისათვის საზიანო  
იყო. უმიზნო ჯიუტობას ისევ გონიერმა განსჯამ აჯობა და  
ფარხმალდაყრილმა გუბერნატორმა ბესარიონი კვლავ გამოი-  
ძახა. იგი ამჯერადაც მოკრძალებული, რდნავ დარცხვენილი  
წარდგა ლედინსკის წინაშე, თუმცა კაბინეტში შესვლისთა-  
ნავე იგრძნო, რომ ყინული საგრძნობლად გამლხვალიყო. გა-  
ნაწყენებული გუბერნატორი ერთხანს ამრეზილი შეჰყურებდა  
სტუმარს, მაგრამ ბოლოს სიჩუმე თვითონვე დაარღვია.

— რაო, ქებურიავ, მთელი საზოგადოება ამიჯანყე, ხომ?  
რა გაეწყობა, ყაბულსა ვარ, რაღვან ასე გსურს და არ ისვე-

ნებ, წაბრძანდი, იხეტიალუ ევროპაში. ვნახოთ, რას ისტორიული  
და რა შავარდენიც ჩამოფრინდები.

სიხარულისაგან ატაცებული ბესარიონი კი არ გამოვიდა,  
გამოფრინდა გუბერნატორის ოთახიდან და ჭერ კიდევ შელან-  
შეუშროობელი სანუკვარი პასპორტი სათუთად შეინახა გულის  
ჯიბეში.

დადგა ნანატრი წუთი. გულშემატკივრებით, ნათესავ-მე-  
გობრებითა და ახლობლებით გარშემორტყმული ბესარიონი  
გულმხურვალედ ემშვიდობება მშობლიურ მიწა-წყალს.  
თბილისის საღვურის ბაქანზე ქშენით შემოიჭრა ორთქლის  
ქულებში გახვეული სამგზავრო მატარებელი. ბესარიონშა ერ-  
თხელ კიდევ გახედა საყვარელ ქალაქს, მწუხრის ბინდდაკრუ-  
ლი მთაწმინდისა და მამადავითის სანახებს და აჩქარებული  
ნაბიჯით გაემართა ვაგონისაკენ. ცოლშვილთან ხვევნა-კოცნისა  
და ნათესავებთან დამშვიდობების შემდეგ მეგობრებმა ციმციშ  
ასწიეს ბესარიონი და ასე ხელში იყვანილი შეიყვანეს პირვე-  
ლი კლასის ვაგონში.

— ბესო, ჩასვლისთანავე მოგვწერე ყოველივე!

— აბა, შენ იცი, ბესარიონ, უჩვენე ფრანგებს შენი ვაჟ-  
კაცობა!

ორთქლმავლის თვლების მონოტონურ გუგუნში დიდხანს  
ჩაესმოდა შორ გზაზე მიმავალ სასიქადულო მამულიშვილს  
მეგობრების გამამხნევებელი სიტყვები.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მსოფლიო ავიაციის განვითა-  
რებაში დიდი როლი შეასრულა საფრანგეთის სხვადასხვა ქა-  
ლაქებში არსებულმა ავიასკოლებმა და კლუბებმა. განსაკუთ-  
რებული ავტორიტეტით სარგებლობდა პარიზის აეროკლუბი,  
რომელიც 1908 წელს დაარსდა და ბევრი სახელმოხვეჭილი  
შფრინავი და ავიაკონსტრუქტორი აღზარდა. ამ სკოლის პირ-  
ველი კურსდამთავრებულები იყვნენ შემდგომში საყოველ-  
თაოდ ცნობილი ავიატორები: ლუი ბლერიო, ანრი და მორის  
ფარმანები, ოლივერ და ვილბურ რაიტები, ჰუბერ ლატაში...  
მრავალი მათგანი თავის ქვეყანაში საავიაციო საქმის წამომწ-  
ყები გახდა.

დღითი დღე იზრდებოდა პარიზის ავიასკოლაში ჩარიცვებულ  
მსურველთა რიცხვი და თუ მისი პირველი გამოშვება 16 ქაცს შეადგენდა, მეორე წელს ეს რიცხვი 200-მდე გაიზარდა.  
აქ სასწავლებლად ჩამოდიოდნენ მსოფლიოს სხვადასხვა კუ-  
თხიდან. და ოუმცა ცოდნის მისაღებად საკმაოდ მოზრდილი  
თანხა უნდა გაეღოთ, აბიტურიენტთა რიცხვი მაინც ყოველ  
წელს მატულობდა.

საინტერესოა, რომ სხვადასხვა ეროვნების მოსწავლეთა  
შორის რაოდენობის მხრივ რუსებს მეორე ადგილი ეჭირათ.  
მაგ., ბლერიოს ავიასკოლაში ფრანგი იყო 172, რუსი — 27,  
ინგლისელი — 19, პოლანდიელი — 7, ამერიკელი — 4, გერმა-  
ნელი — 4, იტალიელი — 3 და ა. შ.

ხოლო ქართველთა შორის ბესარიონ ქებურია იყო ერთად-  
ერთი, რომელმაც ბლერიოს სკოლაში შეისწავლა საავიაციო  
საქმე.

პარიზის აეროკლუბში მოსწავლეები ავიაციის თეორიულ  
კურსს გაღიოდნენ, ხოლო პრაქტიკულ ცოდნას პილოტთა  
სპეციალურ სკოლებში იღებდნენ. ასეთი იყო, მაგალითად,  
ძმები ვუაზენებისა და ანტუანის სკოლა ქ. მურმელონში,  
ანრი ფარმანისა და ლუი ბლერიოს სკოლა პარიზში.

ფრანგმა ავიატორმა ბლერიომ, ფარმანმა, ზომერმა და  
სხვებმა საკუთარი კონსტრუქციის აპარატი ააგეს და ერთგვა-  
რი მონოპოლიის უფლებით სარგებლობდნენ.

ბესარიონ ქებურია საფრანგეთში ჩასვლის პირველი დღე-  
ებიდანვე იწყებს ფრანგული კონსტრუქციის საფრენი აპარა-  
ტის გულდასმით შესწავლას. საგანგებოდ გაემზავრა მურ-  
მელონში ვუაზენებისა და ანტუანის თვითმფრინავის გასაცნო-  
ბად, პირადად შეხვდა და ესაუბრა ფრანგ ავიაკონსტრუქტო-  
რებს. როგორც შემდეგ თვითონ აღნიშნავდა, მათი აპარატები  
რაიტების მიერ გამოგონილი საფრენი აპარატის მცირეოდენ  
ნაირსახეობას წარმოადგენდა, მხოლოდ ლუი ბლერიოს  
აპარატი იყო სავსებით განსხვავებული დანარჩენებისა-  
გან როგორც თავისი ორიგინალური კონსტრუქციით, გამ-  
ძლე და მოხერხებული ძრავით, ისე სიმსუბუქითა და სილა-  
მაზით.

პარიზის აეროკლუბში მისაღები გამოცდებია. ბესტრიონი  
მოსაცდელში დგას და შემკრთალი მისჩერებია საგამოცდო  
ოთახის კარს. მოსაცდელში სრული სიწყნარეა, აბიტურიენტ-  
თა აჩქარებული გულისცემა ისმის მხოლოდ. რაც დრო გადის,  
მით უფრო იზრდება მღელგარება. კარს გადაღმა რაღაც გახ-  
მურდა, შემდეგ ნაბიჯების ხმა მოჰყვა, კარი გაიღო და გამომ-  
ცდელი გამოჩნდა.

— შემდეგი... გთხოვთ!

ფეხს არავინ იცვლის. თითოეულის შიშნარევი მზერა ერ-  
თსა და იმავე კითხვას გამოხატავს: — რა ხდება კარს ოქია,  
რატომ არ გამორდიან გამოსაცდელები? არა, ჯერ სხვა გავიდეს,  
მერე მე... ფიქრობს ყოველი მათგანი და ნელ-ნელა შორიდება  
იქაურობას. ბოლოს მარტო ბესარიონილა აღმოჩნდა პროფე-  
სორის პირისპირ.

— თქვენც ხომ არ შეშინდით? — ღიმილით ეკითხება გა-  
მომცდელი, — თქვენი გვარი?

დაკვირვებით შეაქმერდა, სათვალე შეისწორა და ცოტა  
რაფიქრების შემდეგ გაიხსენა:

— აა, ქე-ბურ-ოვი, საქართველოდან, მახსოვს, მახსოვს...  
მოაგონდა რამდენიმე დღის წინათ ბლერიოს მიერ გაცნობი-  
ლი ქართველი ახალგაზრდა.

— მობრძანდით, წავისალბროთ. ვთიქრობ, თქვენთვის  
ყოველივე ნაცნობი და გარკვეულია.

პროფესორის სიტყვებით წათამამებული ბესარიონი აღარ  
შეყოყმანებულა, სწრაფად შეჰყვა გამომცდელს. მასაც სუფთა  
ქალალი და რაღაც სქემები მისცეს. ზოგს უკვე დაემთავრე-  
ბინა ხაზვა და პროფესორის განაჩენს ელოდა.

საგამოცდო კომისიის წევრები განსაკუთრებით გააოცა  
ბესარიონის გაწაფულობამ ფრანგულ ენაში. იგი თითქმის  
თავისუფლად ლაპარაკობდა ამ ენაზე და საგნის ცოდნასთან  
ერთად გამართული ფრანგული მეტყველებითაც მოხიბლა გა-  
მომცდელები.

ბესარიონმა წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები და  
პარიზის აეროკლუბის მსმენელად ჩარიცხეს. იგი დიდი მონ-

დომებით ეუფლებოდა ცოდნას. მღდამ ახსოვდა რუსული აფა-  
აციის მამის ნ. ე. უუკოვსკის დარიგება, რომ საავიაციო ოე-  
ორიის შესწავლის გარეშე შეუძლებელია ფრენის დაუტულება.  
ყოველი კარგი პილოტი უპირველესად საუკეთესო კონსტრუქ-  
ტორი უნდა იყოსო.

სკოლაში ბესარიონი განსაკუთრებით დაუმეგობრდა ფრანგ  
ლეონ ლეტორს. იგი შეძლებული იყახიდან იყო. მამა ერთ-  
ერთ მსხვილ კომპანიაში მუშაობდა და შვილის სწავლა-აღზ-  
რდისათვის ფულს არ იშურებდა.

მეგობრები ერთად ატარებდნენ საღამოებს — ბულონი,  
სენის სანაპირო, ელისეს მინდვრები, ჭაბუკური გატაცებები  
და მაღალი ოცნებები...

— მუსიე ბესარიონ, დღეს თქვენებური ლვინით მინდა  
გაგიმასპინძლდეთ. ვნახოთ, როგორ მოგეწონებათ, — უთხრა  
ერთ დღეს ლეტორმა ბესარიონს და ოჯახში გამართულ პატა-  
რა წვეულებაზე მიიჩატია.

როდესაც ლალივით გამჭვირვალე, სურნელოვანი სასმელი  
იგემა, ბესარიონს მართლა ასე ეგონა — ქართულ კარდანახულ-  
სა ვსვამო, მაგრამ ჭურჭლის იარლიყმა გასცა მასპინძელი.

— ღმერთმანი, ვერ ვიფიქრებდი ფრანგული ბორიდო ასე  
ძალიან თუ ჰვავდა ჩვენებურ ღვინოს.

ლეტორების ოჯახში ხშირად იქრიბებოდნენ ჟაკ გობრონი,  
ლუი პოლანი, ლეონ მოლონი, ლუი ვაგნერი, ლუი ჟიბერი და  
სხვები. მათ საზოგადოებაში ბესარიონი თავს მეტად თავისუფ-  
ლად გრძნობდა. ახალგაზრდებს ერთი დიდი მიზანი და არჩე-  
ული პროფესიისადმი ღრმა სიყვარული აკავშირებდათ. სწო-  
რედ ამ მაღალმა გრძნობამ და შეუნელებელმა მისწრაფებამ  
გაუკავა გზა ტექნიკის იმ დიდ საოცრებას, რომელსაც ავია-  
ცია ეწოდება.

აეროკლუბში ფრენოსნობის თეორიული კურსის წარმატე-  
ბით თვისების შემდეგ ბესარიონ ქებურია სახელგანთქმული  
ფრანგი მფრინავის ლუი ბლერიოს პილოტთა სკოლაში ჩარი-  
ცხეს. ბლერიოს სკოლაში პრაქტიკული ფრენის შესწავლა  
ყველასთვის როდი იყო ხელმისაწვდომი. მოსწავლეს სწავლის  
ჭირად სკოლის სალაროში წინდაწინ უნდა შეეტანა 2500 ფრან-  
კი და ამდენივე თანხა გადაეხადა აპარატის მოსალოდნელი და-  
ზიანების ასანაზღაურებლად.



ლუი ბლერიო და ბესარიონ ქებურია, 1910 წ. პარიზი.

სწავლის ასეთი მაღალი გადასახადი განსაკუთრებით შეიძლება ტეიტოად დაწვა ბესარიონ ქებურიას მოკრძალებულ აჯანყებულ უპირველესად სწავლის ქირის შეგროვებაზე უნდა ეზრუნა. სამშობლოდან მატერიალური მხარდაჭერის ლოდინი ამაო იყო. ცოტაოდენი თანხა მომჰირნე ცხოვრებით ჰქონდა შემონახული, ნაწილი სახლიდან მიიღო, ნაწილი კი ახლო მეგობრების — მფრინავ კუზმინსკის, ლეონ ლეტორისა და ლეონ მოლონისაგან ისესხა და სწავლის წინასწარი გადასახადი მთლიანად გაისტომრა.

ბლერიოს სასწავლებელში გატარებული წელი ყველაზე შემოქმედებით, მძაფრი შთაბეჭდილებებით დატვირთულ დროდ დარჩა ბესარიონის ცხოვრებაში. განსაკუთრებით კარგი მოგონებები შემორჩა მას სკოლის ხელმძღვანელ ლური ბლერიოზე. ქებურიას პირად არქივში ინახება მოგონებანი გამოჩენილ ფრანგ ავიატორზე:

„ჩემმა მასწავლებელმა ლური ბლერიომ მირჩია, შემეძინა მისი კონსტრუქციით აგებული „ანზანის“ ძრავიანი აეროპლანი. მართალია, ასეთი დიდი თანხის გაღება ჩემთვის თითქმის შეუძლებელი იყო, მაგრამ აეროპლანი პრატიკის ამაღლებაში დიდად დამეხმარებოდა. სასწავლო-საჩვენებელ ფრენებს ბლერიოს საკუთარ აპარატზე ვატარებდი. სკოლის ყველა მოსწავლე კრთოდა საფრენი აპარატის წინაშე. ერთი მცდარი კურსი, ოდნავ წაბორძიფება და დიდალი ფლერი იყო საჭირო დაშვებული შეცდომის გამოსასწორებლად. მოსწავლეს თვითონ უნდა დაფიქრა აეროპლანის შესაკეთებელი ხარჯები, დირექცია და ხელმძღვანელობა, როგორც იტყვიან, „ხელს იბანდა“ ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან.“ ამ გარემოებით გამოწვეული სიფხიზლისა და შეუპოვარი მეცადინეობის წყალობით ბესარიონის არასოდეს დაუზიანებია აპარატი. აი, რას წერს იგი ამაზე: „მიუხედავად მთელი რიგი სიძნელეებისა, მე შევძებელი ისე შემესწავლა ფრენა, რომ ერთხელაც არ დამეზიანებინა აპარატი. თუმცა ამ წარმატებას მივაწერ არა მარტო ჩემს ყურადღებას ან რაიმე განსაკუთრებულ ნიჭისა და ტალანტს, არამედ აეროპლანის გაუმჯობესებულ კონსტრუქციას“. ცხადია, გაუმჯობესებული კონსტრუქცია აქ არაფერ შუაშია. დანარჩენი მოსწავლეებიც იმავე კონსტრუქციის აპარატით სარგებლობ-

დნენ, მაგრამ საკმაოდ ხშირი იყო ავარიის შემთხვევები. მა-  
გალითად, ფრანგმა ანტი უილერომ ორჯერ გამოიყვანა აუტომატუ-  
ლანი მწყობრიდან და მისი შეკეთება საკმაოდ დიდი თანხა და-  
უჯდა. ავარიის შემთხვევა ჰქონდათ აგრეთვე ემილ დიუვალს,  
ლუი ბრეგეს, ლეონ მორანს, უორე ლეგანიეს, ანტი მარსელს,  
ბერტიმ დივსონს, არდლი მაკს, მარტენ კრავეს, პეტერბურგელ  
კუზმინსკის და სხვებს. კუზმინსკიმ ერთ-ერთი სასწავლო ფრე-  
ნისას მთლიანად დაამტვრია აპარატი, რომლის აღდგენას 17  
ათასი ფრანკი სჭირდებოდა. ასეთ შემთხვევაში მოსწავლეს  
აუცილებელი გარიცხვა ელოდა სკოლიდან. კუზმინსკი ამჯე-  
რად მაის ავტორიტეტმა (იგი პეტერბურგის სენატორის შვი-  
ლი იყო) და სასწრაფოდ დაფარულმა თანხამ იხსნა. ამრიგად,  
ბლერიოს სკოლის მოსწავლეთა უმრავლესობა ხშირად განიც-  
დიდა მარცხს ფრენის დროს, რაც მარტო გამოუცდელობასა  
და ფრენის ტექნიკის არცოდნას არ უნდა დავაბრალოთ. უეჭ-  
ველია, „ანზანი“ არ იყო უნიკალური ღირსების ძრავა. ამი-  
ტომაც ბესარიონის ხშირი „გადარჩენა“ უპირველესად ღრმა  
პასუხისმგებლობასა და საქმისადმი სიყვარულს უნდა მიე-  
წეროს. იგი უდიდესი სიფრთხილით ეპყრობოდა აპარატის  
თვითეულ დეტალს, დაწვრილებით სწავლობდა მის დაშლა-  
აწყობას.

საავიაციო საქმის წარმატებით ათვისების საწინდრად ბე-  
სარიონი უპირველესად კარგ ფიზიკურ მონაცემებს და ჯანსაღ  
სხეულს მიიჩნევდა. თავის მოგონებებში ერთგან წერს: „ჩემი  
აზრით, მარტო სიყვარული და ინტერესი როდი კმარა, რომ  
კარგი ავიატორი ვახდე. ამისათვის საჭიროა ორგანიზმის  
სრულიად ჯანსაღი მდგომარეობა. ჩემს სიხარულს საზღვარი  
არ ჰქონდა, როდესაც ეჭიმებმა გამომიცხადეს — სრულიად  
ჯანმრთელი ხარ და ნერვებიც ნორმალური გაქვსო. სხვათა  
შორის, კუზმინსკის ხშირ ავარიებს ეჭიმები მის-სუსტ ნერვულ  
სისტემას მიაწერდნენ“.

როგორც აეროკლუბის გამოსაშვებ გამოცდებზე, ბესარიონ  
ქებურიამ ბლერიოს სასწავლებელშიც კარგი მომზადება და  
ფრენის საუკეთესო ოსტატობა გამოამჟღავნა.

ავიატორის დიპლომის მისაღებად დაინიშნა სახელმწიფო  
გამოცდები, შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელშიც ფრან-  
3. ვ. როდონაია



ბ. ქებურიას პილოტის დიპლომი.

ვი ავიატორების გარდა, ინგლისის, იტალიისა და ამერიკის აეროკლუბის წარმომადგენლებიც შედიოდნენ. მოსწავლეს აეროკლუბის თავზე 150 მეტრის სიმაღლეზე უნდა შეესრულებინა ათწრიანი ფრენა მარჯვენა და მარცხენა ვირაჟებით და შვეული ფრენით, დაშვება კი 100 მეტრის დიამეტრულ წრეში უნდა ჩაეტარებინა. თუ რომელიმე მათგანი აღნიშნულ ფრენას ვერ განახორციელებდა, განმეორებითი გამოცდები მხოლოდ სამი ოვის შემდეგ დაენიშნებოდა.

ბ. ქებურიამ ბრწყინვალედ ჩააბარა ფრენის გამოცდა. დიპლომი მიიღო. ბლერიოს სკოლის კურსდამთავრებულთა ფოტოსურათები ვრცელი ინფორმაციით მეორე დღესვე გამოაქვეყნეს პარიზის გაზეთებმა „ფიგარომ“ და „ილუსტრასიონშა“. ისინი განსაკუთრებული ქებით იხსენიებდნენ პირველი ჭართველი მფრინავის წარმატებებს. ცხადია, საყვარელი მოსწავლის ქებამ მეტად გაახარა ლურ ბლერიო. დიპლომის მიღებისთანავე ბლერიომ ახალბედა მფრინავი საფრანგეთის მა-

შინდელ პრეზიდენტ კლემან არმან ფალიერს წარუდგინა. პრე-  
ზოდენტმა გულთბილად მიიღო სტუმრები.

— მოხიბლული ვარ თქვენი ბრწყინვალე წარმატებით, —  
უთხრა მან ქებურიას, — გილოცავთ ავიატორის საპატიო წო-  
დების მიღებას.

სიხარულით ფრთაშესხმულ ბესარიონს მხოლოდ ერთი  
სურვილილა დარჩენია, რაც შეიძლება მალე დაუბრუნდეს სა-  
ყვარელ სამშობლოს, თავისი ქვეყნის წინსვლისა და აღორძი-  
ნების საქმეს მოახმაროს შეძენილი ცოდნა.

\* \* \*

ბლერიოს სკოლის ქურსდამთავრებულები გამოსათხოვარ  
სუფრას უსხედან პარიზის ერთ-ერთ სანაქებო რესტორანში.  
სასმისს სასმისზე ცლიან და ერთმანეთს სიყვარულით ეხვევი-  
ან, ეთხოვებიან... ღმერთმა უწყის, კვლავ როდესმე განიცდიან  
ერთად ყოფნის ამ სანეტარო წუთებს?..

— მაშ, პირამდე შევავსოთ სასმისები, მეგობრებო! ჩვენს  
მომავალს, ჩვენი ოცნების ფრთაშესხმას გაუმარჯოს! — ოდნავ  
სევდანარევი ხმით მიმართავს ბესარიონი თანამეინახეებს და  
პირველი თვითონ ეწაფება ლალივით მოყიაფე ფრანგულ  
ბორდოს.

ტებილად გაატარეს ის საღამო მეგობრებმა. სკოლის დი-  
რექტორმა ლუი ბლერიომ მამაშვილური სიყვარულით მკერ-  
დში ჩაიკრა თავისი საყვარელი მოწაფე, კეთილი სავალი და-  
ულოცა.

3. ქებურია უკვე მზად იყო საქართველოში გამოსამგზავ-  
რებლად, ერთი დიდი საფიქრალი აყვნებდა მხოლოდ. საფ-  
რენი აპარატის გარეშე სამშობლოში დაბრუნებას რა ფასი  
ჰქონდა? პილოტისათვის ხომ საფრენი აპარატი იგივეა, რაც  
ფრინველისათვის ფრთები. ძლივს მიაღწია მიზანს, ცის ლაუ-  
გარდში ფრენის ხელოვნებას დაუფლა და ახლა უსახსრობის  
გამო უნდა გამოსთხოვებოდა ყოველივეს.

— საფრენი აპარატის გარეშე აქედან გამგზავრება ყოვლად შეუძლებელია, ახლავე უნდა მივწერო შინ, როგორიც მიგროვონ საჭირო თანხა. პარიზში ხელმეორედ ჩამოსვლა არც ისე იოლი საქმეა. გადაწყვიტა, წერილი მიეწერა მეუღლისათვის და აეხსნა საქმის ვითარება. ბესარიონმა კარგად იცოდა, რომ ოჯახისა და ქმრის უანგაროდ მოყვარული სოფიო ყოველი ღონით ეცდებოდა, შეესრულებინა მისი დავალება, თუნდაც ამისათვის უკანასკნელი გროშების გაღებაც დასჭირვებოდა. ამისი იმედით ნისიად გამოიტანა აპარატი, ხოლო მეუღლის პასუხის შეგვიანების გამო ცოტათი განაწყენებულმა ასეთი ბარათი გააგზავნა. შინ: „ძირითასო სოფიო! ვიყიდე ბლერიოს აპარატი. ფული უნდა გადავიხადო 25 ივნისამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვკარგავ პრესტიუს. მიკვირს, ეგზომრატომ დაგავინდა იმ თანხის გამოგზავნა, რომელიც მე ორგერ გთხოვე. ვიმედოვნებ, დააჩქარებ ფულის გამოგზავნას ტელეგრამით. დამიკოცნე ბავშვები. შენი ბესარიონი. 1910 წლის 6 ივნისი.“

ორცეცხლშუა ჩავარდა ქალი — არც ქმრის წყენინება სურდა, არც გასაგზავნად საჭირო თანხა გააჩნდა. ქართველმა საზოგადოებამ სოფიოს თხოვნა — ცოტათი მაინც დახმარებოდნენ ბესარიონ ქებურიას საფრენი აპარატის შეძენაში, ყოველგვარი ყურადღების გარეშე დატოვა. რა ექნა, შეწუხებულმა დახმარებისათვის ისევ ალექსი უვანის მიაკითხა. მან ამჯერადაც მეგობრული ხელი გაუწოდა ქებურიების ოჯახს. სოფიოს სამი ათასი მანეთი გადასცა და თან დასძინა: როდესაც შეძლებოთ, მაშინ დამიბრუნეთო. სოფიომ სხვა ახლო მეგობრებიც გაიხსენა, საკუთარი ქისაც ამოაცარიელა და მეუღლეს შემოთვლილი ხუთი ათასი მანეთი გაუგზავნა.

ბესარიონმა ფულის მიღებისთანავე გადაიხადა აპარატის ღირებულება და თავისუფლად ამოისუნთქა. თითქმის ყოველივე მოგვარებული იყო. დადგა სანეტარო უამი.

გამომგზავრების წინა დღეს ბესარიონ ქებურიამ კიდევ ერთხელ მოინახულა თავისი პარიზელი მეგობრები — ლეტორი და ლეტანე, სალამო ხანს კი ლუი ბლერიოს ეწვია ბინაზე. ბლერიო თბილად შეეგება ბესარიონს.

— მიფრინავ არა, სამშობლოსაკენ, კავკასიელო შევარდენო!



გასწავლეთ ფრენა და, მეტი რაღა დაგრჩენია, უნდა გაფრინდე, — ნახევრად ხუმრობით, ნახევრად გულდაწყვეტით მიშარავთა ბლერიომ ბესარიონს, — აპარატი თუ შეიძინე?

ბესარიონმა უთხრა, რომ ამ დღეებში მიიღო ფული სახლიდან და მისი კონსტრუქციის საკმაოდ კარგი აპარატი იყიდა.

— თუმცა ძრავის სათადარიგო ნაწილების გარეშე ალბათ დიღხანს არ მომიშევს მასზე ფრენა. მე ხომ არც ერთი სათადარიგო ნაწილი არ მიმაქვს თან.

— მაგაზე ნუ დაღონდები, მეგობარო! — დამშვიდა ბლერიომ ნამოწაფარი, — იმდენი საშუალება კი მაქვს, რომ საყვარელ მოსწავლეს აპარატის რამდენიმე სათადარიგო ნაწილი ვაჩუქრო. შემდეგ თავის სახელოსნოში შეიყვანა და ნება დართო, სურვილისამებრ შეერჩია თვითმფრინავის საჭირო ნაწილები. გახარებული ქებურია მორცხვად იღიმებოდა და უხერხულად მისჩერებოდა ამდენ ძვირფას, სანუკვარ ნაწილს. ბოლოს ბლერიო თვით დაეხმარა მოკრძალებულ სტუმარს მათ შერჩევაში და სრულიად უსასყიდლოდ ური ათასი მანეთის სათადარიგო ნაწილები უსაბსოვრა.

— არ ვიცი, როგორ გადავიხადო თქვენი ვალი და პატივისცემა, — უთხრა გამომშვიდობებისას ბესარიონმა ფრანგ ავიატორს.

— არც ისე ძნელია ჩემი ვალის გასტუმრება, ეცადე ყველა შენს თანამემამულეს დაუმტკიცო, რომ საფრანგეთში გატარებულ დროს შენთვის უქმად არ ჩაუვლია, რომ შენი მეგობრის ლუი ბლერიოს სკოლაში ნამდვილ შევარდნებს ზრდიან. თუ მოვალეობას პირნათლად შეასრულებ, ჩემი ვალიც გატუმრებული გაქნება.

ასე ფაქიზი, წრიფელი გრძნობით გამოემშვიდობა ერთმანეთს ეს ორი ავიატორი 1910 წლის აგვისტოს ერთ მშვენიერ სალამის.

პარიზიდან მომავალი ქართველი ავიატორი ვარშავაში შეჩერდა, თავისი აერობლანი მშვიდობიანად ჩამოტვირთა მატარებლიდან და ქალაქის განაპირას, ვლადიმიროვესკის სახლში დაბინავდა. ხანმოკლე შესვენების შემდეგ კი გადაწყვიტა ბირველი საჩვენებელი გაფრენა აქვე ჩაეტარებინა. სამწუხა-

როდ, მის დიდსა და ფრთაშესხმულ ოცნებას მეფის რუსეთის  
იმპერიის საზღვართანვე გადასხეს უპატივცემულობის უზარესობას უწევდა.

\* \* \*

შაბათი დღეა, აგვისტოს მცხუნვარე მზის სხივებით გა-  
ჩახახებული დღე. დიდძალი ხალხით გაჭედილა ის მოედანი;  
სადაც პირველი ქართველი ავიატორი საჩვენებელ გაფრენას  
აწყობს. მაყურებლები თვალებგაფართოებული შეჰყურებენ  
მფრინავსა და მის რკინის ფრინველს. უმრავლესობას სახეზე  
უნდობლობა აღმდევდია—ცოტას სჯერა, რომ ეს უსულო ფრინ-  
ველი მიწას მოსწყდება და მის მამაც მგზავრთან ერთად ჰაერ-  
ში აჭრება, რომ ადამიანის ძალა და ენერგია მას ზღაპრულ,  
ცაში მონავარდე საოცრებად აქცივს.

ბესარიონი საფრენი აპარატის საფეხურზე შედგა, გარსმო-  
ჯარულ ხალხს ღიმილით მიესალმა და მოკრძალებით სოხოვა,  
თვითმფრინავისათვის გზა გაეთავისუფლებინათ. ყველამ უკან  
დაიხია, მოედანი დაცარიელდა და აეროპლანი ჰაერში აიჭრა.  
ათასობით გაოცებული თვალი ზეცისაგენ იყო მიპყრობილი.  
ზოგმა თითქოს შიშით თავზე წაიფარა ხელი. ქებურია ქალაქს  
რამდენჯერმე შემოევლო გარს და 15 წუთის შემდეგ მშვიდო-  
ბიანად დაეშვა მიწაზე.

ხალხი გარს შემოეხვია მფრინავს, ყველას სურს, ხელი ჩა-  
მოართვას, გაესაუბროს, ბრწყინვალე წარმატება მიულოცოს.

ხალხის წრე გამოარღვია ბრწყინვიალომუნდირიანმა ახოვან-  
მა კაცმა და მედიდურად მიუახლოვდა მფრინავს.

— „ალბათ გამარჯვების მოლოცვა სურს“, — ფიქრობს  
აღლვებული ქებურია და გაუბედავად დგამს ნაბიჯებს მის  
შესახვედრად.

მაგრამ მუნდირიანი აიმრიზა. ეს ვარშავის გენერალ-გუ-  
ბერნატორი სკალონია.

— თქვენ, ბატონო ქებუროვ, გაჭარიმებთ ხუთასი მანე-  
თით!

ბესარიონი გაოცებულია, ჰერნია, სმენამ მიღალატაო.

— რისთვის, თქვენო კეთილშობილებავ? — ძლივს ამო-  
ღერლა შეცბუნებულმა.

— ცდებით, მე თქვენი ბრწყინვალება ვარ და არა კეთილს  
შობილება...

„ისე მედიდგულება, თითქოს მისი ხელჭვეითი ვიყლა და გადასასვენებელი მფრინავს თავში, მაგრამ წყენას სძლია და კვლავ მოკრძალებით შეჰქედა:

— რა დანაშაულისათვის მაჯარიმებთ, თქვენო ბრწყინვა-  
ლებაგ?

— ქალაქის თავზე ფრენისათვის! ძრავა რომ გაგჩერებო-  
დათ, ხალხი დაიხოცებოდა. მე არავის ვაპატიებ ქალაქის საფ-  
რთხეში ჩაგდებას... — თანდათან უწევდა ხმას „ხალხზე მზრუნ-  
ველი“ გენერალი.

ვინ იცის, რითი გათავდებოდა სკალონის ბობოქრობა, რომ  
ამ ღრის მაყურებელთა რიგებს ერთი სანდომიანი, მდიდრუ-  
ლად მოსილი მანდილოსანი არ გამოჰყოფოდა და ლაპარაკის  
ეშეში შესულ გენერალს არ მიახლოებოდა. ქალმა დინჯად,  
ამაყად აღმართა ლორნეტიანი ხელი და თქვა:

— მაპატიეთ, გენერალო! გამარჯვებულთ არ ასამართლე-  
ბენ.

„გუბერნატორის ცოლია...“ — აჩურჩულდა ხალხი.

სკალონმა მორჩილად დახარა თავი მეუღლის წინაშე:

— მხოლოდ ქალბატონის ხათრით მიპატიებია. მეორედ  
აღარ! დაგინახოთ ვარშავის თავზე! — თქვა და მყისვე ზურგი  
აქცია ნირწამხდარ ქებურიას.

ასეთი იყო მფრინავის დებიუტი იმპერიის საზღვართან.

ვარშავაში ბესარიონმა კიდევ ორი საჩვენებელი ფრენა  
ჩაატარა, რომლის დროსაც გუბერნატორის მეუღლე თავის  
მფარველობას არ აკლებდა.

ვარშავაში ყოფნისას მან მიიღო პეტერბურგის ავიაკლუბის  
შოწვევა, დატოვა პოლონეთი და პეტერბურგს გაემიგზავრა.

ბესარიონ ქებურიას სამშობლოში დაბრუნებას რუსეთის  
სამეცნიერო-პოპულარულმა უურნალმა „ვესტნიკ ვოზდუხო-  
პლავანიამ“ სპეციალური წერილი მიუძღვნა, საღაც იტყობი-  
ნებოდნენ: „კავკასიის საპარაზო ნაოსნობის წრემ მიიღო ცნობა,  
რომ მისმა ნამდვილმა წევრმა ბ. ს. ქებუროვმა საფრანგეთის  
ერთ-ერთ საავიაციო სკოლაში წარმატებით ჩააბარა გამოცდე-  
ბი და მიიღო პილოტის წოდება. მას უფლება ენიჭება დამოუ-

კიდებლად ჩატაროს გაფრენები. ქებუროვმა შეიძინა საფრენი აპარატი და უკვე გამოემგზავრა სამშობლოში. ამრიგად, ქმატ ტონ ქებუროვს სურს ოქტომბრის თვეში საჩვენებელზე გაფრენები ჩატაროს კავკასიაში. ფრენის ჩატარების ორგანიზაციას კისრულობს კავკასიის საპატიო ნაოსნობის სპორტული კომისია („ვესტნიკ ვოზდლხოპლავანია“, 1910 წლის აგვისტო, № 15).

რუსმა ავიატორებმა გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს თავი-ანთ კოლეგას. მათ შორის იყო ბესარიონის ახლო მეგობარი, ბლერიოს სკოლის კურსდამთავრებული კუზმინსკი. პეტერბურგის პრესა კი იუწყებოდა, რომ დედაქალაქში ჩამოვიდა ცნობილი ქართველი ავიატორი ქებუროვი და რამდენიმე საჩვენებელ ფრენას ჩატარებსო.

ეს ის დრო იყო, როდესაც ქ. ოდესაში თავისი ბრწყინვა-ლე გაფრენებით სახელი მოიხვეჭა რუსმა მფრინავმა მიხეილ ეფიმოვმა, ხოლო მოსკოვში ქებურიას უახლოესმა მეგობრებმა ბ. როსინსკიმ და ს. უტოჩკინმა. უტოჩკინი 1908 წელს თბილისში იყო ველოშეჭიბრებაზე. მის მეტოქედ თბილისის საზოგადოებამ გამოჩენილი მომღერალი და ცირკის მსახიობი ლადო ჯაგსაძე გამოყო. მაშინდელი აფიშები იტყობინებოდნენ, რომ „მარულა დანიშნული იყო ორ წრედ და მისი სიგრძე სამ ვერსს უდრიდა.“ ახალგაზრდა კაგსაძემ ტოლი არ დაუდო ცნობილ სპორტსმენს უტოჩკინს. შემდგომში რუსეთის ველოსაზოგადოებამ პეტერბურგის ველორბოლაზე მსოფლიო ვარსკვლავებთან—იტალიელ პეტიონთან, ინგლისელ ჭიმსთან, ამერიკელ ჰესპალთან, გერმანელ ბადერთან და ოდესელ უტოჩკინთან ერთად ჩვენი თანამემამულე კავსაძეც მიიწვია.

მცირე ხანი დაჭყო ქებურიამ პეტერბურგში, შემდეგ კი მოსკოვს გაემგზავრა. მიუხედავად იმისა, რომ „ანზანის“ ძრავა საკმაოდ მოისუსტებდა, მაინც არ უმტყუნა პატრონის. მოსკოველი მაყურებელი და იქაუჩი პრესა აღტაცებას გამოჰქვამდნენ ქართველი მფრინავის ოსტატური ფრენის გამო.

ბესარიონმა მოისურვა, რომ მოსკოვის შემდეგ ნიუნი-ნოვგოროდის მცხოვრებთათვის მოეწყო სასურველი სანახაობა.

მან წერილი მისწერა თავის პარიზელ მეგობარს, ავიატორ ლეონ ლეტორს და სოხოვა, ერთად ჩაეტარებინათ ფრენი. ნიუ-კუკი ნი-ნოვგოროდში. ლეტორმა სიამოვნებით მიიღო მეგობრის მიწვევა და რამდენიმე დღის შემდეგ ჩამოვიდა რუსეთში. ნიუნი-ნოვგოროდის პრესაშ საგანგებო გვერდი მიუძღვნა ქართველი და ფრანგი მფრინავების მათ ქალაქში ჩასვლას. მაგრამ მეგობრებს ბედია უმტყუნა. 1910 წლის 20 აგვისტოს აფრენის დროს ორივეს აეროპლანს ბორბალი გაუტყდა და 150 ათასმა მაყურებელმა გულდაწყვეტილმა დატოვა მოედანი. ამ მარცხმა ოდნავადაც კი ვერ შეაკრთო ბესარიონი. იგი გულდასმით შეუდგა თვითმფრინავის შეკეთების და ალბათ სასურველ მიზანსაც მიაღწევდა, რომ სამწლხარო ამბავს არ დაებრკოლებინა: ლეონ ლეტორი ავად გახდა და იძულებული შეიქნა სამშობლოში დაბრუნებულიყო.

ბესარიონ ქებურიამ მარც გაღაწყვიტა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, დაემტკიცებინა ნიუნი-ნოვგოროდის მოსახლეობისათვის თავისი შესაძლებლობანი. და აი, 1910 წელს, პირველ სექტემბერს, სახელდახელოდ შეკეთებული აპარატით იგი კვლავ წარდგა ცნობისმოყვარე მაყურებლების წინაშე.

დასაწყისში ყოველივე კარგად წარიმართა. აეროპლანი პირველი გამორჩენისთანავე მოწყდა მიწას, ლამაზად აიჭრა ჰაერში, ქალაქის თავზე სამი წრე შემოხაზა და კვლავ სურდა ფრენის გაგრძელება, მაგრამ... „ანზანს“ „გუნება გაუფუჭდა“, ძრავის ბრუნი 800-ს ძლივს აღწევდა, ჰაერის ნაკადი აქეთიქით ახეთქებდა აპარატს. მფრინავი რაინდულად უმკლავდებოდა ჰაერის ძლიერ ტალღებს — თვითმფრინავმა ნელ-ნელა, რყევით იწყო დაშვება. ახლა საჭეც აღარ ემორჩილებოდა მფრინავს, მაგრამ, როგორც იქნა, მოახერხა მიწაზე დაშვება. დაჯდომისას აპარატი გადატრიალდა, ხოლო ქებურიამ მოასწრო გაღმობრომა. შიშისაგან სუნთქვაშეკრული მაყურებელი თვალმოუშორებლად გაჰყურებდა მინდორს. როდესაც მფრინავი ცოცხალი და უვნებელი დაინახეს, ყველაზ შვებით ამოისუნთქა. მოელი გულით მიულოცეს მშვიდობით გადარჩენა.

უურნალმა „ვესტნიკ ვოზდუხოპლავანიამ“ რამდენიმე არასწორი ცნობა მისცა ქებურიას ამ გაფრენის თაობაზე. იგი წერ-

და, რომ „მფრინავი ქებუროვი საქმაო სიმაღლიდან ჩამოვარდა და და როგორც აპარატი, ისე მფრინავი ძლიერ დაზღვნდნენ“ („ვესტნიკ ვოზდუხოპლავანია“, 1910 წ. აგვისტო, № 15, გვ. 44). თვითონ ბესარიონი გადაჭრით უარყოფს უურნალის საინფორმაციო ცნობას. ცოლისადმი თბილისში გამოგზავნილ ღია ბარათში იგი წერს: „გაზეთები იტყობინებოდნენ, თითქმს მე აეროპლანით ჩამოვარდი და დავშავდი. ყოველივე ეს მონაჭორია. აპარატი მხოლოდ მიწაზე დაფრენის დროს გადატრიალდა, მე კი ცოცხალი და ჯანმრთელი ვარ.“

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ საფრენი აპარატებისა და ძრავათა უვარგისობის გამო მაშინ საქმაოდ ხშირი იყო საჰაერო ავარიები. მათ შესახებ თითქმის სისტემატურად აქვეყნებდნენ ცნობებს იმდროინდელი უურნალ-გაზეთები. იმავე ნომერში, სადაც ქებურიას მარცხე წერდნენ, უურნალი „ვესტნიკ ვოზდუხოპლავანია“ აქვეყნებს რამდენიმე მოკლე საინფორმაციო ცნობას ავიატორთა მარცხიანი გაფრენის თაობაზე. ასე მაგალითად... „სევასტოპოლში ბლერიოს აეროპლანით 8 მეტრის სიმაღლეზე აფრინდა ავიატორი მისიროვი. იგი 10 წამის შემდეგ ჩამოვარდა, აპარატი დაიმსხვრა, ხოლო მფრინავი მსუბუქად დაშიანდა“.

„...ხარკოვში, მარცხს იპოდრომზე, ავიატორი ზაიკინი ფარმანის ბიპლანით ავიდა 50 მეტრზე. პაერში რამდენიმე წუთის დაყოვნების შემდეგ ჩამოვარდა და დაიმტვრა. ავიატორი დაშავდა.“

„...12 აგვისტოს მოსკოვში ხოდინებას აეროდრომზე ბ. ი. როსინსკი მეორეჯერ გაფრინდა. ამჯერად ავიატორს არ გაუმართლა — ბლერიოს აეროპლანი დიდხანს ვერ მოსწყდა მიწას. შემდეგ მინდვრის შუაგულიდან აფრინდა, 3—4 საუენიდან ჩამოვარდა. როსინსკი მსუბუქად დაშავდა“.

ბესარიონ ქებურიამ გადაწყვიტა, ცოტა ხნით კიდევ გადაედო სამშობლოში დაბრუნება და გაეგრძელებინა „საჰაერო ტურნე“. მისი არჩევანი ვოლგისპირეთის მეორე ქალაქ სარატოვზე შეჩერდა. ცუდი ამინდი იდგა, ქროდა დასავლეთის ქარი, მაგრამ ქებურიამ ეს გაფრენა წარმატებით ჩაატარა და იპოდრომზე შეკრებილი უთვალავი მაყურებლისა და სარატოვის გუბერნიის უფროსის გრაფ ს. ტატიშჩევის გულთბი-

ლი მილოცვა დაიმსახურა. გაზეთმა „სარატოვსკი ლისტოვმა“ მაღალი შეფასება მისცა ქებურიას გაფრენას და ქება შესხვა მფრინავის თავგანწირულ შებრძოლებას ცის სტიქიონთან.


„სარატოვსკი ლისტოვის“ რედაქციამ სთხოვა ავიატორს, გაზეთის ფურცლებზე გამოექვეყნებინა თავისი შთაბეჭდილება ამ საინტერესო გაფრენაზე. ქებურია სიამოვნებით დათანხმდა რედაქციის თხოვნას. „რწმენას გამოვთქვამ, — წერდა ქებურია, — საზოგადოება გადაჭარბებად არ ჩამომართევს, თუ ვიტყვი, რომ ვოლგისპირეთის საავიაციო ტურნეში ყველა ქალაქზე უფრო სასიამოვნო. შთაბეჭდილება დატოვა სარატოვმა. მხედველობაში მაქვს არა მარტო ქალაქის სილამაზე და მოქალაქეთა კეთილგანწყობა. უპირველესად მოხიბლული ვარ ხალხის დიდი ინტერესით საავიაციო საქმისაღმი. ავიაციის რთული საკითხებით განსაკუთრებით დაინტერესდა მოსწავლე ახალგაზრდობა. კმაყოფილებით აღვნიშნავ, რომ სტუმართმიყვარეობაში სარატოვმა ყველა ქალაქს გადაჭარბა და თავისებური რეკორდიც კი დაამყარა.

საავიაციო ხელოვნების წარმომადგენელთა მოვალეობაა შესაძლებლობის ფარგლებში უჩვენონ მასებს ოსტატური ფრენა, თუმცა ეს სიცოცხლის დიდ რისკთან არის დაკავშირებული.

აპარატს, რომლითაც კვირას ვიტრინე, თანამედროვე ავიაციაში ყველაზე სუსტი, 25 ცხენისძალიანი „ანზანის“ ტიპის ძრავა აქვს და მას სუსტი ქარის დროსაც არ ძალის ფრენა.

როდესაც ჰაერში 20 მეტრის სიმაღლეზე ავედი, ძლიერმა ქარმა აპარატის გვერდითი წონასწორობა დაარღვია. მე არ დავიბენი და წონასწორობა აღვადგინე, მაგრამ „ანზანის“ სისუსტის გამო აპარატმა ვარდნა იწყო. დაშვების მეტი აღარაფერი დამრჩენოდა, მაგრამ ქალაქის თავზე ეს არ შეიძლებოდა. არ მეგონა, თუ იპოდრომს მივაღწევდი, მაგრამ, საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დამთავრდა.

შეიძლება მციოთხონ, რატომ ქალაქის თავზე და იპოდრომის ირგვლივ არ ვიფრინე? მე იძულებული ვიყავი, პირდაპირი ხაზით მეფრინა, რათა მოხვევას წონასწორობიდან არ გამოვეყვანე. მეცნიერული თვალსაზრისით თუ ვიმსჯელებთ, სწორედ ამან გადამარჩინა და ბევრი სასარგებლო ცოდნაც შემძინა.



შ. ქებურია ქ. ყაზანში, გაფრენის წინ.

ამ ფრენის დროს მე ერთხელ კიდევ დავრწმუნდი ჩემი გა-  
შოცლილი ფრანგი კოლეგების რჩევის სისწორეში, რომ ქარი-  
ან ამინდში ფრენა შესაძლებელია მხოლოდ ძლიერი აპარა-  
ტით.“

ნიუნი-ნოვგოროდისა და სარატოვის შემდეგ ბესარიონ ქე-  
ბურიაშ თავისი ბრწყინვალე ტურნე ყაზანსა და ასტრახანში  
გადაიტანა და იქაურ მაყურებელთა ღიღრ სიმპათია დაიმსა-  
ხურა.

ქებურიას კვალდაკვალ ვოლგისპირეთის ქალაქებში საჩვე-  
ნებელ გაფრენებს ატარებდა მისი პარიზელი თანაკურსელი,  
რომი მფრინავი ა. ა. ვასილიევი. ქართველი მფრინავის მსგავ-  
სად მასაც ქარიან ამინდში მოუხდა ფრენა. პრესის ფურცლებ-  
ზე იგი გულწრფელი ქებით იხსენიებს ქებურიას მამაცობის „ქარი მეტისმეტად შძლავრობდა, — წერდა ვასილიევი „სა-  
რატოვსკი ლისტოკში“, — განცვიფრებული ვარ, ასეთ ძლიერ  
ქარში როგორ შეძლო ქებურიოვმა ფრენა“.

რუსეთის აეროკლუბმა გადაწყვიტა, 1910 წლის სექტემ-  
ბერში პეტერბურგში ჩატარებინა ავიაციის პირველი კვა-



რეული. ეს ქრთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი იყო რუსული ავიაციის განვითარების ისტორიაში. კვირეულის მოსამზადებლები ლად შეიქმნა აეროკლუბის საორგანიზაციო კომიტეტი, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ — კ. პ. ბოკლევსკი, ბ. ბ. გოლიცინი, ა. მ. კოვანკო, ვ. ვ. კორნი, ნ. მ. მიტინსკი, ვ. ა. სებკოვსკი, ნ. ფ. ფოგელი, ი. ვ. სტენბოკ-ფოგერი და ი. ა. როსტოვცევი.

კვირეულში მონაწილეობის მისაღებად მიიწვიეს ცნობილი რუსი მფრინავები — ეფიმოვი, კუზმინსკი, სეგნო, ფონკრუმი, ევსიუკოვი, გაკელი, სტაცენკო, ლტოჩკინი, ვასილევი და ჩვენი სახელოვანი თანამემამულე ქებურია. ამათ გარდა კვირეულში მონაწილეობდნენ ავიამოყვარულები — ლებედევი, პორუჩიკები რუდნევი, გორშკოვი, პოდპოლკოვნიკი ულიანინი, კაპიტანი მაციევიჩი და ლეიტენანტი პიოტროვსკი. დღესასწაულში მონაწილეობას იღებდა დირიქტორი „კრეჩეტი“, „გოლუბი“, „დუხინი“, აეროსტატები და საპარტო ბურთები.

კვირეულის გახსნა წილად ხვდა აეროკლუბის პირველ მფრინავს ვ. ა. ლებედევს, რომელსაც სახეიმოდ გადასცეს ანრი ფარმანის თვითმფრინავი.

კვირეული ავიაციის ნამდვილ დღესასწაულად გაუაიქცა, მას ყოველდღე 200 ათასზე მეტი მაყურებელი ესწრებოდა.

ამ დიდ სანახაობაზე არნახული წარმატება ხვდა მსოფლიოში სახელგანთქმულ მფრინავს გ. ნ. ეფიმოვს, რომელმაც ახალი რეკორდი დაამყარა და მიიღო პირველი პრემია 17390 მანეთის რაოდენობით. მეორე პრემია 1360 მანეთი ერგო უტოჩინს, ხოლო მესამე — 268 მანეთი პორუჩიკ გორშკოვს. ეფიმოვის სახელი იმდენად ჭურდა, რომ ის მთავარ ინსტრუქტორად მიიწვიეს საფრანგეთში ანრი ფარმანის საფრანგოსნო სკოლაში. საფრანგეთში მას მეტსახელად „მუსიე ხორშომს“ — ეძახდნენ, რადგანაც რასაც ეფიმოვი ხელს მოჰკიდებდა, ყველაფერი წარმატებით მთავრდებოდა. შემდგომში სამამულო ავიაციის განვითარებაში ეფიმოვმა დიდი როლი ითამაშა. სამწუხაროდ, სახელოვანი მამულიშვილი 1920 წელს თეთრგვარდიელმა გარეწრებმა დახვრიტეს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბ. ქებურია და ი. ვასილიევი ვოლგისპირეთის ქალაქებში ერთად ატარებდნენ საჩვენებელ

გაფრენებს. ვასილიევი დაფრინავდა ბლერიოს აპარატით, რომ შელზედაც „გნომის“ ძრავა იყო დადგმული, ხოლო კერძო განვითარებულის „ანზანის“ სუსტი ძრავა ჰქონდა. „გნომი“ ორჯერ ძლიერი იყო „ანზანზე“, ამიტომ ბ. ქებურია მოელაპარაკა და შეუთანხმდა ვასილიევს პეტერბურგის ავაციის კვირეულის დღეებში მისთვის დაეთმო „გნომის“ ძრავა და შანამდე სარატოვსა და ნიუნი-ნოვგოროდში არ ეფრინა აღნიშნული ძრავათი; რათა მწყობრიდან არ გამოეყვანა იგი. ავიაციის კვირეულზე ვასილიევისათვის განკუთვნილი იყო სხვა ახალი აპარატი.

მიუხედვად ქებურიასთან გაფორმებული ხელშეკრულებისა, ვასილიევმა „გნომის“ აპარატით დაიწყო ფრენა ასტრახანსა და ნიუნი-ნოვგოროდში. და აი, შედეგაც ერთ-ერთა საჩვენებელი გაფრენის დროს ავარია შეემთხვა, თვითონ მსუბუქად დაშავდა, აპარატი კი საგრძნობლად დაზიანდა. „გნომის“ ძრავის გარეშე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა დღესასწაულში მონაწილეობის მიღებაზე. ქებურიას უკმაყოფილება იმდენად დიდი იყო, რომ მან ამის თაობაზე წერილიც კი გამოაქვეყნა გაზეთ „კავკაზიკო აბოზრენიეში.“

თვითონ ვასილიევმა მონაწილეობა მიიღო პეტერბურგის ავიაციის დღესასწაულში და დიდ წარმატებასაც მიაღწია, ხოლო ბესარიონ ქებურიას უსახსრობამ და კოლეგის უგულისყურო დამოყიდებულებამ საშუალება არ მისცა საქუთარი ცოდნა და მომზადება გამოევლინებინა რუსული ავიაციის ამ ფართო დემონსტრაციის დღეებში.

გულნატკენმა ქებურიამ გადაწყვიტა სამშობლოში დაბრუნებულიყო.

ქართველი საზოგადოება გულთბილად შეხვდა სასახელო მამულიშვილს. თბილისში ჩამოსვლისთანავე ადგილობრივმა პრესამ აღფრთოვანებით აღნიშნა პირველი ქართველი ავიატორის სამშობლოში დაბრუნება.

თბილისიდან ბესარიონი მშობლების სანახვად ჩხოროწყვუში გაემგზავრა.

დედას ჭალარა მომატებია, ნაოჭებიც გახშირებია თვალის უკეებთან. დიდი, თაფლისფერი თვალები კი არ შესცელია, ბეღნიერების გამოუთქმელი გრძნობით ანთებულნი აღერსით შეჰყურებენ მონატრებულ შვილს. ვერ გრძნობს დედის გული

წელთა სიმრავლით გამოწვეულ სახეცვლას შვილისას, ჩვენი და ბავშვით ეფერება ტანბრგე ვაჟკაცს.

საველი დროს არ კარგავს, წვეულების თაღარიგს იჭერს. იცის, არ დააყოვნებს სოფლად ბესარიონი.

ლხინი და ქეიფია ქებურიების ოდაში, მეზობლები და ახლობლები გულში იქრავენ სასახელო ვაჟკაცს. სოფელში იმ დროს არამცო საზღვარგარეთ ცოდნის მიღება, უბრალო წერა-კითხვის შესწავლაც დიდ ამბად ითვლებოდა.

მშობლიური ადგილისა და დედ-მამის სიყვარულით გული რომ იჯერა, ბესარიონი ისევ თბილისში დაბრუნდა. მოუთმენ-ლად ელოდა თბილისელი მაყურებლის წინაშე გამოსვლას, აინტერესებდა, როგორ მიიღებდა დედაქალაქი, როგორ შეა-ფასებდა მის საავიაციო მომზადებას.

იპოდრომზე აურაცხელმა ხალხმა მოიყარა თავი. თბილი, მზიანი ამინდი იდგა, სფსტი ქარი ქროდა. ჰაერში აფრენამდე ავიატორმა მაყურებელს მოკლედ აუწერა აეროპლანის აგე-ბულება, ფრენის ძირითადი არსი და შემდეგ სპეციალისაცმელში გამოწყობილმა პარატში აღგილი დაიკავა. ავუგუნდა ძრავა, პროპელერმა წრე შემოხაზა, აეროპლანი მიწაზე მსუბუქად გაფრინდა და ჰაერში აიჭრა. სულ რაღაც 15 მეტრის სიმაღლე-ზე მფრინავმა ძრავას არანორმალური მუშაობა შეატყო. დაშ-ვება იყო საჭირო, მაგრამ მფრინავი გაჯიუტდა — როგორ, პირ-ველი საჩვენებელი ფრენა საკუთარ ქალაქში, თანამემამულე-ებს შორის, ამდენ ცნობისმოყვარე და მოუთმენლად მომლოდი-ნე მეგობართა შორის სამარცხვინოდ, ლაპრულად დაამთავ-როს? არასოდეს! სიკვდილი ურჩევნია ამ სიჩრცვილს. ისევ სი-მაღლე აიღო, წრე შემოხაზა, ერთხელ კიდევ შემოუარა მოე-დანს. ძრავა კი თანდათან სუსტდება, ძლივსლა ისმის ხმა. დაშვე-ბა აუცილებელია. ეშვება კიდეც. აი, სადაცაა დაჭდება, მაგრამ... თვითმფრინავმა წონასწორობა ვერ შეინარჩუნა, ფრთით იპო-დრომის ღობეს წამოედო და მიწას დაენარცხა. შეშინებული ხალხი თვითმფრინავისაკენ გარბის, ყველას ჰეონია საშინელი უბედურება დატრიალდა, მამაც მფრინავს ცოცხალს ვეღარ იხილავენ, წუთიც და, ბესარიონ ქებურია, საფსებით უვნებე-ლი, მარდად ამოხტა კაბინიდან. გახარებულმა მაყურებელმა შვებით ამოძუნთქა.


ასეთი იყო თბილისში დებიუტი ქუდბედნიერი მფრინავისა.  
მას ბედი თვით უკიდურესი გასაჭირის დროსაც კრიტიკულ  
ვებდა.

ზემოთაც მოვიხსენიეთ, რომ მფრინავ ბესარიონ ქებურიას  
მოღვაწეობის წლები ის პერიოდია, როდესაც მსოფლიო ოვი-  
აცია არტახებს ნელ-ნელა იხსნიდა და ჩვილის გაუბედავი ნა-  
ბიჯებით მიიწევდა წინ. თვითმფრინავის ერთ-ერთი მთავარი  
კომპონენტი ხომ ძრავაა, ხოლო მისი გაუმჯობესებისათვის  
ნაკლებ ინიციატივას იჩენდნენ. იმ დროისათვის ცნობილი  
იყო მხოლოდ სამი ფრანგი ავიაკონსტრუქტორის — ანტუ-  
ანის, გნომისა და ანზანის ძრავები. ამათგან ყველაზე ნაკ-  
ლები, 25 ცხენისძალის სიმძლავრისა, იყო ანზანის ძრავა.  
ანზანი საავიაციო საქმის დიდი ენთუზიასტი იყო და ხშირად  
თავის ძრავას უფასოდაც კი გადასცემდა ავიატორებს. მის-  
გან დიდად იყვნენ დავალებული ფრანგი მფრინავები მოლონი,  
ლეგანე და სხვები, რომლებმაც ანზანისაგან რამდენჯერმე  
მიიღეს უსასყიდლოდ ძრავა. „ანზანი“ „ანტუანისა“ და  
„გნომისაგან“ განსხვავებით, იაფფასიანი და ხელმისაწვდომი  
იყო და მას ხშირად იყენებდნენ ბლერიოს მონოპლანზე. ბე-  
სარიონ ქებურიაც, რომელსაც საფრანგეთიდან ბლერიოს აპა-  
რატი ჩამოჰყვა, სიძვირისა და ექინომიური შეუძლებლობის  
გამო წლების მანძილზე მხოლოდ „ანზანის“ ძრავას იყენებდა,  
ზოგმა შეიძლება არც დაიჯეროს, რომ ეს ძრავა ნაკლები სიმ-  
ძლავრისა იყო, ვიდრე თანამედროვე მოტოციკლის ძრავაა.

ამ საჩვენებელი გაფრენების შედეგად ბლერიოს ხის აპა-  
რატი მოძველდა, საჭირო იყო ახლის შეძენა, რაც ბესარიონი-  
სათვის განუხორციელებელი ოცნება იყო — ჭიბე ამის საშუა-  
ლებას არ აძლევდა, მთავრობისაგან რაიმე დახმარებაზე ფიქ-  
რი კი ზედმეტი იყო.

და აი, ქებურიამ გადაწყვიტა, შეექმნა საკუთარი კონსტ-  
რუქციის თვითმფრინავი.

უპირველესად საჭირო იყო კუთილმოწყობილი სახელოს-  
ნოს გამართვა, სადაც შესაძლებელი იქნებოდა აპარატზე მუ-  
შაობა. ამხანაგებისა და მეგობრების დახმარებით ბესარიონმა  
რამდენიმე დღეში მშვენიერი სახელოსნო მოაწყო და კიდევ  
შეუდგა მუშაობას.



ბ. ქებურია საკუთარი კონსტრუქციის თვითმფრინავთან.

დაუღალავ შრომასა და შემოქმედებით ძიებაში იწურებოდა დღეები, თეთრად თენდებოდა ლამეები... კონსტრუქტორს კი დაღლა არ ეტყობოდა. ჭერ ნახაზები დამზადა, შემდეგ კი თამამად შეუდგა საჭირო დეტალებისა და ნაწილების გამოჩარხებას.

ბესარიონის საქმიანობას ყურადღებით ადევნებდა თვალყურს ქალაქის მოწინავე საზოგადოება. გაზეთები იტყობინებოდნენ, ქართველი მფრინავი პირველი ქართული აეროპლანის აგებაზე მუშაობსო.

სწორედ ამ ხანებში მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში შესაძინევად განვითარდა და წინ წავიდა საავიაციო საქმე. ავიაციის განვითარებით განსაკუთრებით დაინტერესდა და თავისი გარკვეული სიტყვაც თქვა რუსულმა საავიაციო სკოლამ.

1910 წელს რუსეთში საზეიმოდ გაიხსნა სევასტოპოლის პირველი საავიაციო სკოლა. რუსებმა თავიანთი წვლილი შეიტანეს თვითმფრინავების კონსტრუქციულ გაუმჯობესებაშიც ამავე წლის აგვისტოშივე გატჩინის სამხედრო ველზე

ბიბლან „როსიათი“, რომელიც აგებული იყო რუსეთის პირველი საფრენოსნო საზოგადოების მიერ, წარმატებით ჩაატარა საჩვენებელი ფრენა ავიატორმა სეგნომ.

მეორე რუსული კონსტრუქციის მონოპლანი „როსია—ბ“ კონსტრუქტორმა ნ. ვ. რებიკოვმა ააგო. „როსია—ბ“ მონაწილეობდა გატჩინის სამხედრო ველზე გამართული რუსი ავიატორების პირველ შეჯიბრში და ბრწყინვალე გამარჯვებაც მოიპოვა.

ღიდი პოპულარობით სარგებლობდა რუსი ინუინრის ი. მ. გადელის მიერ ფიჭვის ხისაგან აგებული ბიპლანი. ამ ბიპლანს 100 ცხენისძალის „არგუსის“ ტიპის ძრავა ედგა. შემდეგი თვითმფრინავი ააგეს მოსკოვის უმაღლესი სასწავლებლის ტექნიკური წრის წევრებმა.

1910 წლის ბოლოს რუსმა კონსტრუქტორებმა ბილიანკინმა, სიკორსკიმ, გრიგორიევიჩმა, კასიანენკომ, კულაშოვმა, ტერეშკომ დაიწყეს თვითმფრინავების ექსპერიმენტული აგება.

საზღვარგარეთ კი ამ ღროისათვის უკვე გარცვეულ წარმატებებს მიაღწიეს.

ავსტრიაში საერთო აღიარება ჰპოვა ინუინერ ეტრიხის კონსტრუქციით აგებულმა თვითმფრინავმა—„ეტრიხ—1910“. ბუდაპეშტში გამართულ ავიაშეჯიბრებაში თვითმფრინავმა პირველი ადგილი დაიკავა. საზღვარგარეთულმა პრესამ მაღალი შეფასება მისცა და საუკეთესო აპარატად აღიარა. თვითმფრინავის წონა 350 კგ იყო და საათში 75—80 კმ სიჩქარეს ანგითარებდა.

ცოტა მოგვიანებით იაპონელი მესაათის შვილმა იაპონიის საზღვაო ფლოტის პორუჩიკმა ნარახარამ ააგო საინტერესო კონსტრუქციის თვითმფრინავი.

1911 წელს იტალიელმა ბალბიმ მსოფლიო განაცვითრა საკუთარი კონსტრუქციით შექმნილი თვითმფრინავის სილამაზითა და სიძლიერით.

მსოფლიოს ამ გამოჩენილ კონსტრუქტორთა თანაბრად იღვწოდა პირველი ქართველი ავიატორი ბესარიონ ქებურიაც.

თვითმფრინავი უკვე მზად იყო, მაგრამ ავტორს არ აქმაყოფილებდა ბლერიოსა და რაიტის ტიპის სტაბილიზატორები.

მსოფლიოში უახლესი ტიპის სტაბილიზატორის პროექტი

შემუშავებული პქონდა ფრანგ ავიატორს ეტევეს. მასზე მუშა  
ობის პროცესში ეტევემ ზედმიწევნით გაითვალისწინა რამტკიცებული  
თვითმფრინავის უარყოფითი მხარეები და ხანგრძლივი შრო-  
მის შედეგად შექმნა ახალი სტაბილიზატორი — „უირუეტი“.  
ფრენის პროცესში „უირუეტი“ პაერის დაწოლის გამო ყოველ-  
თვის ვერტიკალურ მდგომარეობას იღებდა, რაც ავტომატურად  
არეგულირებდა თვითმფრინავის წონასწორობას და ეხმარე-  
ბოდა პილოტს. კაპიტანმა ეტევემ თავისი „უირუეტით“ ქარი-  
ან მდინარეში საფრანგეთის ქალაქ სატორიიდან ისს-ლემულინ-  
ომდე მანძილი 25 წუთში დაფარა.

ქებურიამ ყველასაგან დამოუკიდებლად, დიდი მეცადინე-  
ობით შეძლო გაეკეთებინა ისეთი სტაბილიზატორი, რომლის  
ხარისხი და გამძლეობა ბევრად სჭიდდა იმხანად არსებულ  
თითქმის ყველა სტაბილიზატორს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ბ. ქებურიამ 1910—1911 წლებ-  
ში მსოფლიოში პირველად წამოაყენა პროექტი, რომლის მი-  
ხედვითაც თვითმფრინავის ვერტიკალურად აფრენდასათვის ძრა-  
ვები უნდა განლაგებულიყო ფრთებზე, მარჯვნივ და მარცხნივ.  
როგორც ცნობილია, ბ. ქებურიას გენიალური წინასწარგანჭვ-  
რეტა და იდეა მხოლოდ სამოცანი წლების ბოლოს განხორცი-  
ელდა.

ქართველი ავიაკონსტრუქტორის მიერ აგებულ პირველ  
ქართულ აეროპლანზე 1910 წელს გაზეთ „ზაფავკაზსკაია რეჲ-  
ში“ წერდნენ: „ჩვენმა თანამემამულემ ბ. ქებურიამ დიდი კმა-  
ყოფილებით გამაცნო საკუთარი კონსტრუქციის და თავისი  
ხელით გაკეთებული თვითმფრინავი, რომელსაც ავტომატური  
სტაბილიზატორი აქვს. ავიატორმა გამოიყენა სამშაგი მოქმე-  
დების მექანიზმი (ხელსაწყო), რომელიც მთლიანად პასუხობს  
აეროდინამიურ მოთხოვნილებებს. კონსტრუქტორის მახვილ-  
გონიერება ისაა, რომ სტაბილიზატორი მართვის გარეშე მოქ-  
მედებს, რის გამოც ძლიერი ქარის დროს ან ძრავას მოულოდ-  
ნელი გაჩერებისას, თვითმფრინავს შეუძლია მშვიდად დაე-  
შვას.

სტაბილიზატორის შექმნას საფუძვლად უდევს მისი ბუ-  
ნებრივი მიღრეკილება ვერტიკალური მოძრაობისადმი. ქებუ-

რიას აპარატი ქარს მშვენივრად უძლებს, ფრენის დროს ნაკლებად ქანაობს.

დღემდე არსებულ აპარატებს შორის ეს პირველია, რომელსაც ორი ძრავა აქვს — ერთი ძრავა წინაა, მეორე უკანთვითმფრინავის ტვირთზიდვა 700 კილოგრამია, რაც დაახლოებით 10 მგზავრის წონას უდრის.

ასეთია თვითმფრინავის მოყლე აღწერილობა:

1. აპარატის სიგრძე — 12 მეტრი.
2. სიგრძე — საჭის ჩათვლით — 10 სიგრძივი მეტრი.
3. ფრთების სიგრძე — 3 სიგრძივი მეტრი.
4. ფართობი — 33 კვ მეტრი.
5. წონა ტვირთის გარეშე — 500 კგ, ტვირთის ჩათვლით — 1200 კგ.
6. სასარგებლო ტვირთის წონა — 100 კგ.
7. საერთო დატვირთვა ერთ კვ. მეტრ ფართობზე — 37 კგ.
8. სასარგებლო დატვირთვა ერთ კვ. მეტრზე — 25 კგ.
9. ჰაერზე იერიშის კუთხე — 7,5 გრადუსი.
10. ზღვრული კუთხე დაშვებისას — 45 გრადუსი.
11. მინიმალური რადიუსი ირიბი შემობრუნებისას — 500 მეტრი.
12. სიჩქარე ერთი ძრავათი საათში 100 კილომეტრია, ორი ძრავათი — 150 კმ.

ზემოთ აღნიშნული აღწერიდან ჩანს, რომ მონოპლანს თავის წონასთან შეფარდებით ერთნახევარჯერ მეტი ტვირთი მიაქვს, რაც თანამედროვე ავიამშენებლობაში პირველი შემთხვევაა.

თუ პარალელს გავავლებთ საფრანგეთის საუკეთესო ავიატორის მორანის სისტემასა და ქებურიას მიერ შექმნილ აპარატს შორის, დავრწმუნდებით, რომ ქებურიას აპარატი გაცილებით უკეთესია და მისი ტვირთზიდვა ორჯერ უფრო დიდია, ვიდრე მორანის ტიპის აპარატისა.

ქებურიას კონსტრუქციის აპარატში ავტომატური სტაბილიზატორი ჰაერში საგრძნობლად არეგულირებს წონასწორობას და, ძრავას გაჩერებისას, უვნებლად შეუძლია დაშვება.

ფრენის დროს მგზავრის თვალშინ იშლება დიდი პანორამა.

აპარატის ხელსაწყოები ძლიერ მარტივია და სამშაგად  
მოქმედებს: 1. წინააღმდეგობას უწევს გვერდით აბინძეს,  
2. ხელს უწყობს აპარატის სიმტკიცეს და იცავს მას გვერდით  
გადაბრუნებისაგან, რის გამოც თვითმფრინავი წონასწორო-  
ბიდან არ გამოდის, 3. აწარმოებს ფრთების ავტომატურა! აწე-  
ვას და მინიმუმამდე აადვილებს თვითმფრინავის მართვას.

ქებურიას კონსტრუქციის აპარატის გამოგონებას საფუძ-  
ვლად უდევს საგნების დედამიწაზე მიზიდულობის კანონი  
(გაზეთი „ზაკავკაზიკაია რეჩ“, 1910 წ. № 34).

აპარატი უკვე მზადაა. წინ არის ყველაზე მთავარი და ყვე-  
ლაზე მღელვარე წუთები, ესაა შემოქმედისა და მისი ქმნი-  
ლების საჯარო გამოცდა — თვითმფრინავის საჩვენებელი  
ფრენის ჩატარება. ბესარიონ ქებურიას ეს გამოცდა შეტად  
უბრალო საქმედ მიაჩნდა, მაგრამ სწორედ აქ წააწყდა სერი-  
ოზულ წინააღმდეგობას. ქართველ კონსტრუქტორს ქართული  
მიწის ერთი მტკაველიც კი არ დაუთმეს აპარატის გამოსაც-  
დელად, თავისი ნიჭისა და შესაძლებლობის ხალხისათვის სა-  
ჩვენებლად. იგი იძულებული გახდა თხოვნით მიემართა გრაფ  
კორონცოვისათვის. გრაფმა ერთგვარი „მოწყალება“ მიიღო  
და ქებურიას განცხადებაზე უპასუხა: ჩემს მეუღლეს ვთხოვ,  
ამ საქმეში დახმარება გაგიწიოსო.

კორონცოვ-დაშკოვის მეუღლემ კარგად მიიღო ქართველი  
ავიატორი, ტკბილად ესაუბრა და დახმარებაც აღუთქვა.

გრაფინია კორონცოვამ სთხოვა გენერალ ლაზარევს საჩვე-  
ნებელი ფრენის ჩასატარებლად ქებურიასათვის სადოლე მოე-  
დანი დაეთმო. ლაზარევმა ამავე თხოვნით მიმართა გენერალ  
თამაშევს, რომელსაც ეს მოედანი ექუთვნოდა. თამაშევს  
მსგავსი რამის გაგონებაც არ სურდა. როგორ? მოედანი, სა-  
დაც მისი საჭკეთესო სადოლე ცხენები იწვრონებიან, რაღაც  
თვითნაკეთებ აპარატს გადაათელინოს? არა და არა, ასეთი  
რამ მეორედ არ გამაგონოთო, — ბრძანა გენერალმა და ავიატო-  
რი ცივი უარით გაისტუმრა უკან.

ვინაიდან ადგილობრუვმა ხელისუფლებამ სრულიად უყუ-  
რადღებოდ დატოვა ბესარიონის არაერთგზისი თხოვნა, იგი  
იძულებული შეიქნა ვინმე ვაჭარ გურგენოვისაგან ექირავა მი-  
წის ნაკვეთი. ოლრო-ჩოლრო მოედანს სამი მხრიდან შენობები

ერტყა, ხოლო მეოთხე მხარეს ღრმა თხრილი და ფიცრული ღრმა-  
ბე საზღვრავდა. ღიდი ვაჟკაცი უნდა ყოფილიყო კაცი, რომელიც მა-  
პირობებში ფრენა გაეძედა. გარემოებას ისიც ართულებდა, რომ  
ორი ძრავასათვის განსაზღვრულ პპარატზე ბესარიონს  
მხოლოდ ერთი „ანზანის“ ძრავა ედგა. მართალია, ქართველთა  
საზოგადოება დაპირდა, მეორე ძრავასაც შეგიძენთო, მაგრამ,  
როგორც სხვა მრავალი დაპირება, ესეც მხოლოდ დაპირებად  
დარჩა.

ასე იყო თუ ისე, ბესარიონ ქებურიასათვის ეს იყო საკუ-  
თარი რწმენის, ცოდნის, ძალისა და მომავლის იმედების გა-  
მოცდა, შემოქმედის ტკილ-მწარე სიხარული. თითქმის მთელი  
ღამე თეთრად გაათენა, ვინ იცის, მერამდენეჯერ შეამოწმა  
აპარატი. ყოველივე რიგზე იყო და მაინც თვითეული ნაწილი  
სათითაოდ მოსინჯა, შეათვალიერა, ღაიგულდაგულა...

უთვალავი ხალხი მიაწყდა იმ დღეს სახელდახელოდ გამარ-  
თულ „აეროდრომს“, სადაც ქებურიას მონოპლანის საჭარი-  
გამოცდა უნდა ეხილათ.

შუა მინდორში გამოიტანეს ფრთაგაშლილი უზარმაზარი  
„ფრინველი“. მას თავს. დასტრიალებდნენ ავიატორი და მისი  
თანაშემწე. აი, რას წერს ამის თაობაზე გაზეთი „თემი“:

„ბესარიონ ქებურიამ სძლია ყოველივე დაბრკოლებას,  
მთელი თავისი ქონება ამ საქმეს შეალია, ბევრი მარცხი ნახა  
და ბოლოს დაგვიმტკიცა, თუ რა შეუძლია ქართველ კაცს,  
მუყაითად რომ მოკიდებს ხელს საქმეს:“

დიახ, ყველა ჩვენგანი ხარობდა იმ დღეს, 22 ნოემბერს,  
მაგრამ უფრო მეტი სიხარული ერგო ბ. ქებურიას თანაშემ-  
წეს, მუშა-მექანიკოს ნიკო ხუციშვილს, რომელიც მასთან ერ-  
თად მუშაობდა და მოუთმენლად ელოდა თავისი მასწავლებ-  
ლის ბრწყინვალე გამარჯვების დღეს.

ეს ნატვრაც აკი აუსრულდა...“

უთვალავი ცნობისმოყვანე თვალი სასწაულის მოლოდინ-  
ში სულგანაბული შესცემერის ავიატორისა და მის ქმნილებას,  
სასწაულმაც არ დააყოვნა. ამუშავდა პროპელერი. მფრინავმა  
ადგილი დაიკავა, გაისმა „ანზანის“ მოტორის გუგუნი, მონო-  
პლანი მცირე მანძილზე გასრიალდა და მოსწყდა მიწას. ავი-  
და მაღლა, სულ მაღლა, ექვსასი მეტრის სიმაღლეზე, მოხდე-  
ნილი წრე მოხაზა...



ერთი ლამაზი მანდილოსანი თითების მტვრევით შექმნას  
რებს ცას და ანგარიშმიუცემლად იმეორებს: — ვანრშნოს,  
რომ ჩამოფრინდეს, საკმარისია!

მორინავის მეუღლის შიშის სხვებიც იზიარებენ, შემკრთა-  
ლი მანდილოსნები პეპლებივით აფრიალებენ ნაირფერ ქოლ-  
გებს, მამაკაცები ხმამაღლა უყვირიან მფრინავს. მფრინავი  
აინუნშიც არ აგდებს „მიწის ძახილს“, თავს გადაუვლის ნაძა-  
ლადეს, მტკვარს, საბურთალოს, ავჭალას და უჩინარდება.

ოცდაცამეტი წუთის ფრენის შემდეგ მფრინავი კვლავ მინ-  
დვრის თავზე გამოჩნდა. მინდონი პატარაა, წრეს ვეღარ უვ-  
ლის და შვეულად ეშვება ძირს.

კაბინიდან გამოსული ბესარიონი მიწაზე ფეხის დაკარე-  
ბასაც ვერ ასწრებს, რომ კვლავ ჰაერშია — აღტაცებული მა-  
ყურებლის მკლავების ტალღებზე ირწევა გამარჯვებული.

პირველმა ქართულმა აეროპლანმა გამოცდა ბრწყინვა-  
ლედ ჩააბარა. „ბ. ქებურის აპარატმა ნახევარი საათი დაჲყო  
ჰაერში, ყოველგვარი წესების დაცვით მოხდენილად იფრინა  
მშობლიური ქალაქის თავზე და მშევიდობიანად დაეშვა მიწა-  
ზე“, — იუწყებოდნენ მაშინ გაზეთები.

გაფრენის მეორე დღეს თბილისის საზოგადოებრიობაშ  
გულთბილი შეხვედრა მოუწყო ქებურიას და მან ხალხმრავალ  
აუდიტორიას საინტერესო ლექცია წაუკითხა მსოფლიო და სა-  
მამულო ავიაციის განვითარების თაობაზე.

რაკი შავარდენმა ასე ლაღად, თამამად გაშალა „ძვირად  
შენაძენი“ ფრთები, გადაწყვიტა უფრო გაბეღული კამარა შე-  
კრა და მშობლიური ცის ლაუგარდები კიდით-კიდემდე დაე-  
სერა. თავისი მონოპლანით ქებურიამ გაბეღულად დასერა  
მთელი დასავლეთი საქართველოს საპარა გზა.

პირველად ქუთაისს ეწვია. საზოგადოება მარტოოდენ ქე-  
ბურიას მოხდენილი ფრენის ცეკრით აღარ კმაყოფილდებოდა. მას სურდა დაწვრილებით გასცნობოდა სავიაციო საქმის  
მიღწევებს; გაეგო აეროპლანის კონსტრუქციისა და ფრე-  
ნის ძირითადი პრინციპები. ამიტომაც ქუთაისის მოსწავლე  
ახალგაზრდობამ სოხოვა მოტინავს ლექცია წაეკითხა მათთვის  
საინტერესო საკითხებზე. უნდა აღინიშნოს, რომ საკმაოდ გან-  
სწავლულ, ენამჭევრ ბესარიონს მეტად საინტერესო და მოხ-

დენილი თხრობა ეხერხებოდა. იგი ყოველთვის, ყოველგვარი სასყიდლის გარეშე მზად იყო თავისი ცოდნა გაეზიარებინა მათთვის, ვინც კი მისი სათაყვანო საქმისადმი ინტერესს გამოიჩენდა. მაგრამ, სამწუხაროდ, ყველა სათანადო პატივისცემით როდი ეპყრობოდა მის კეთილ მიზანს. ქუთაისის გუბერნატორმა გენერალმა სლავონინსკიმ და ვიცე-გუბერნატორმა მაკაროვმა ქართველ ავიატორს სასტიკად აუკრძალეს ლექციების წაკითხვა. აი, რას გვიამბობს თავის მოგონებაში მათ განწყობილებაზე ბ. ქებურია: „მეფის ამ დამქაშებს მუდამ რევოლუციის საშიშროებანი ელანდებოდათ, ეშინოდათ, საზღვარგარეთიდან ახლად დაბრუნებულ „ზეციურ“ ლექტორს, არაფერი წამოსცდენოდა ისეთი, რაც მათ რუსიფიკატორულ პოლიტიკას ეწინააღმდეგებოდა. მაგრამ მე შევძელი დამერწმუნებინა მეფის ტახტის ეს ერთგული გოშიები, რომ ჩემს საუბარს არაფერი ჰქონდა საერთო პოლიტიკასთან, რომ ლექცია პოპულარული, მეცნიერული, სასწავლო ხასიათისაა და მის აკრძალვას არავთარი გამართლება არა აქვს. ამის შემდეგ ლექციის წაკითხვის ნება დამრთეს და საზოგადოებაში იგი კმაყოფილებით, დიდი ინტერესით მოისმინა.“

მიუხედავად თვითმფრინავის ძრავის სისუსტისა, ბ. ქებურიამ წარმატებით მოიარა მთელი დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვანი ქალაქები და საზოგადოების გულწრფელი აღტაცება დაიმსახურა. ქებურიას აპარატი მალე არამცურ რუსეთში, საზღვარგარეთაც გახდა ცნობილი. პარიზის ერთერთმა პოპულარულმა გაზეთმა „ფიგარომ“ თავის მკითხველს დაწვრილებით გააცნო ავიაკონსტრუქტორის მონოპლანის აღწერილობა და სტატიის დასასრულობრივი სიამაყით აღნიშნა: „ქართველმა მფრინავმა საავიაციო ცოდნა ბლერიოს სკოლაში მიიღო“.

1911 წლის ივლისში სრულიად რუსეთის აეროკლუბმა განიზრახა ავიატორნე ჩაეტარებინა პეტერბურგიდან მოსკოვამდე. მასში მონაწილეობას მიიღებდნენ ცნობილი რუსი მფრინავები — ს. ი. უტოჩკინი, ა. ა. ვასილიევი, ნ. დ. კოსტინი, გ. ვ. იანკოვსკი, მ. გ. ლერხე, აგაფონოვი და სხვები. ქებურიამ თბილისის თვალიაზნაურთა საკრებულოს თხოვნით მიმართა მისთვის „გნომის“ სისტემის ახალი ძრავა შეეძინათ,

მაგრამ მისი თხოვნა ამჯერადაც დარჩა „ხმად მღალადებლისად უდაბნოსა შინა“. ბესარიონს გულმა არ მოუთმინა და ჰეტეროულობურგს გაემგზავრა, მაგრამ მხოლოდ მაყურებლის როლით დაქმაყოფილდა.

ვფიქრობთ, ინტერესს მოკლებული არ იქნება, თუ რამდენიმე სიტყვით შევჩერდებით ამ საინტერესო გადათვრენის აღწერაზე.

პირველად სტარტი უტოჩინმა აიღო. მას მიჰყვა ვასილიევი, იანკოვსკი, კოსტინი, ლერხე, და სხვები. შეგიბრებაში მონაწილე მფრინავებიდან მხოლოდ აგაფონოვი იჯდა რუსული კონსტრუქციის აპარატზე, დანარჩენები კვლავ საზღვარგარეთული სისტემის აეროპლანებით სარგებლობდნენ.

მანძილი არცთუ ისე მცირე იყო და, მიუხედავად მათი შეუპოვორობისა, ფინიშამდე მცირე ნაწილში თუ მიაღწია.

მფრინავი მასლენკოვი ავარიის შედეგად ტოსნოს მახლობლად ჩამოგარდა, აეროპლანი მშენებრიდან გამოვიდა, ხოლო მფრინავი, საბეღნიეროდ, მსუბუქად დაზიანდა. ავარიის შედეგად შძიმედ დაშავდა მფრინავი სლიუსარენკო, ხოლო მგზავრი შიმანსკი დაიღუპა. მამაც რცს მფრინავს ს. უტოჩინს ნოვგოროდთან პროპელერი გაუტყდა, თვითმფრინავი ხევში ჩაიჩეხა, მფრინავს კი ტვინი შეერყა და ხელი მოსტყდა.

დანარჩენებმა ასე თუ ისე, მოახერხეს მანძილის ნაწილობრივ დაფარვა — ავიატორმა კოსტინმა პეტერბურგიდან მხოლოდ 400 კილომეტრი იფრინა, ლერხე ძირს დაუშვებლად მიფრინდა ქ. ნოვგოროდამდე.

მოსკოვს უვნებლად ჩაფრინდა სახელგანთქმული რუსი მფრინავი ა. ვასილიევი, გ. იანკოვსკიმ მეორე აღგილი დაიკავა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საკუთარი ხელმოკლეობისა და საზოგადოების უგულისყურობის გამო ჩვენს თანამემამულეს შესაძლებლობა არ ჰქონდა მონაწილეობა მიეღო ამ საინტერესო გადაფრენაში. მმართველი წრეები, ქალაქისთავები, მეფის შსახურნი შხამავდნენ მამაც მფრინავს არა მარტო თავიანთი გულცივობით, ჭორებითა და დაცინვითაც. საზოგადოების ერთი ნაწილიც ბრძანდ უზიარებდა ამ „ყოვლისმცოდნეთა“ აზრს, მლიქვნელურად კვერს უკრავდა ქებურიას მისამართით ნასროლ ავყია სიტყვებს. მაგრამ იყვნენ ადამიანები,



რომელთა ფხიზელი თვალიც ყველაფერს ღრმად სწორებოდა, ისინი მტკიცნეულად განიცდიდნენ სასახლო მასულიშპილის ტრაგედიას, თანაგრძნობის ლამაზ ფრაზებსაც არ იშურებდნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, საქმით ხელის გამართვაზე მაინც თავს იკავებდნენ.

ქებურიასა და იმდროინდელ საზოგადოებას შორის არსებული დამოკიდებულება შესანიშნავადაა დახატული გაზეთ „ტიფლისსკი ლისტოკში“ გამოქვეყნებულ ვინმე ნიგორიტსკის წერილში — „ავიატორის ტრალედია“. არ, ეს წერილიც:

„მორალურად განადგურებული, ფიზიკურად დამტვრეული, მიმქრალი მზერით წევს უტოჩქინი ჩვენგან შორს — პეტერბურგში. მისი ხმა ძლივს აღწევს ჩვენამდე... მაგრამ აქ, ობილისში, საკუთარი სახლის ზღურბლთან ჩვენ ვხედავთ მეორე ავიატორის ბ. ქებუროვის ტრალედიას.“

ქებუროვი! ამ გვართან დაკავშირებით მე ვუმზერ გესლიანად მომცინარ სახეებს, მესმის გამქირდავი შეძახილები, ვგრძნობ დამცინავ მზერას და მაინც... ბატონ ქებუროვის სახელს მე გამოვთქვამ თამამად.

ქებუროვის მოწინააღმდეგებში მე ვხედავ ერთსა და იმავე მოტივს მის მიმართ:

ქებუროვი დაეცა რამდენიმეჭერ...

ქებუროვის ფრენა მარცხით მთავრდება, კინალამ თავი შესწირა...

ყველა კბილი ჩაემტვრა, კინალამ კისერი მოიტეხა...

მტკვარში ჩავარდა...

აი, ყოველივე ის, რასაც უკიუინებენ ჩვენს თანამემამულეს მოწინააღმდეგები. მე კი ჩემს თავს უფლებას ვაძლევ ხმამაღლა შევძახო:

— ვაშა, ბატონო ქებუროვ!

სინამდვილეში ზემოთ ჩამოთვლილი „შეცდომები“, რომლებიც განაპირობებენ ხალხის გულგრილ დამოკიდებულებას ქებუროვისაღმი, ყველა ერთად აღებული და თვითეული ცალ-ცალკე, მის ლირსშესანიშნავ ავიატორულ ცენზზე მოწმობენ:

„ის დაეცა რამდენიმეჭერ“, — მაგრამ უკან ხომ არ დაუხევია! თვითეული დაცემა აწრიობდა და ჭედავდა მის ხა-



სიათს, აღაფრონოვანებდა მას დასახული მიზნის მისაღწევადაც შეუძლია.

„კინაღამ თავი შესწირა“, — მაგრამ ეს ხომ „დამნაშავის“ შეუპოვრობისა და განსაცვიფრებელი სიმამაცის დაღასტურებაა.

„ის ვერ გაფრინდა“, — მაგრამ ეს ხომ სიცრუეა! ათასი კაცი აღასტურებს იმას, რომ ქებუროვი საკუთარი კონსტრუქციის აპარატით 35 წუთი იყო ჰაერში.

იგი აფრინდა მიწიდან ისეთ პირობებში, რომ სხვა ავიატორები უდაოდ იტყოდნენ — ფრენაზე უარს ვამბობთო!

როდესაც ქებუროვის კეთილისმსურველებმა სევასტოპოლის ავიასკოლის ერთ-ერთ ცნობილ მოღვაწეს ჩვენი თანამემამულის ზოგიერთი წარუმატებლობის შესახებ უამბეს, რაც ნამდვილად უვარვისი ძრავის მიზეზით იყო გამოწვეული, მან გადაჭრით განაცხადა: ქებუროვს თავისი თავისთვის სიკვდილი მიუსჯიაო.

— ეს როგორ?!

— სრულიად უბრალოდ, ასეთი ცუდი ძრავით ფრენა დაუშვებელია, ეს სიგიურა, სასიკვდილო განაჩენი საკუთარი თავისადმი!

კაცმა მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა საქმეს, რომლითაც ჩვენ უდაოდ ვართ დაინტერესებული. მან მთელი თავისი ქონება, ახალგაზრდობა და ოჯახის ინტერესებიც კი ამ იდეას ანაცვალა, ახლა კი თქვენ მას „დამნაშავეს“ უწოდებთ. მაგრამ გაძლევთ ერთ კითხვას:

— მიეცით თუ არა თქვენ დამნაშავეს თავდაცვის საშუალება? დაეხმარეთ თუ არა პარატის გამართვაში ისე, რომ რისის გარეშე შესაძლებელი ყოფილიყო ფრენა? არა! ჩვენ მხოლოდ ბრალსა ვდებთ; ჩვენი თანამემამულის წარუმატებლობა კი ძრავაშია“ („ტიფლისკი ლისტოკ“, 1911 წელი, 17 აგვისტო).

ნიგოიტისკის სტატიამ მაინც დიდი გამოხმაურება ჰქოვა: ხალხში. გაზეთებში ათავსებდნენ წერილებს, მოწოდებებს, თხოვნას, ხელი შეეწყოთ ამ დიდი ეროვნული საქმისათვის და ქებურისათვის ახალი ძრავა შეეძინათ.

მიუხედავად არაერთგზისი მოწოდებისა და თხოვნისა,

მფრინავისათვის განკუთვნილ ყულაბაში რაღაც უმნიშვნელო  
მანეთები შეგროვდა. ახალი ძრავას შეძენას კი, სულ ცოტა,  
6-7 ათასი მანეთი სჭირდებოდა.

სხვა გამოსავალი არ იყო, ქართველ ავიატორს ან სრული-  
ად უნდა აეღო ხელი საქმეზე, რომელსაც მთელი ახალგაზრ-  
დული ენერგია შეაღია შეაღია, ან კვლავინდებურად მარტოდმარტო  
გასძლოლოდა ყოველივეს.

ისევ „ანზანის“ ანაბარა დარჩა ბესარიონი. მეტი გზა არ  
ჰქონდა, უნდა შეეკეთებინა ძრავა. ძრავა ქებურიამ თბილისის  
რკანიგზის სახელოსნოში მიიტანა, ზოგიერთი ნაწილი შეცვა-  
ლა, ძველი, გაცვეთილი ნაწილების ნაცვლად თვითონვე გა-  
მოჩარხა ახალი და მოკლე დროში „ანზანი“ კვლავ მწყობრში  
ჩააყენა.

ისევ დასავლეთ საქართველო — ქუთაისი, ხონი, სამტრე-  
დია, ფოთი, ახალი სენაკი...

დიდი ინტერესით მოელოდა ფოთის საზოგადოება პირ-  
ველი ქართველი ავიატორის ჩასვლას. სახელდახელოდ მოაწ-  
ყვეს აეროდრომი, ქალაქებსა და სოფლებში დაგზავნეს რეკ-  
ლაშები, აფაშები, სადაც იუწყებოდნენ, რომ მფრინავი ქებუ-  
რია ახალი სენაკიდან ფოთში ჩამოფრინდება და რამდენიმე  
წრის შემოვლის შემდეგ სახელოსნო სასწავლებლის პირდა-  
პირ სილაზე დაჯდებაო. მართლაც, უცნაური სანახაობის მოწ-  
მენი გახდნენ ფოთულები — დანიშნულ დროს პარში გამო-  
ჩნდა მოზრდილი ფრინველი, ქალაქის თავზე რამდენიმე წრე  
შემოაფლო და მოზდენილად დაეშვა სახელოსნო სასწავლებ-  
ლის წინ მიწაზე. ქალაქის მოწინავე საზოგადოებამ გულთბი-  
ლი შეხვედრა მოუწყო ქართველ ავიატორს.

დასავლეთ საქართველოში რამდენიმე დღე დაჰყო ბესა-  
რიონმა. შემდეგ ცოლ-შვილით მშობლებს ეწვია ჩხოროწყუში  
და რამდენიმე ხანი ოჯახურ სიტყბოებაში გაატარა.

1912 წლის 15 სექტემბერია. თბილისის ქუჩებში უჩვეუ-  
ლო გამოცოცხლებაა. ფეხშიშველა, მოკლეშარვლიანი გაზე-  
თის გამყიდველი ბიჭები თავგამეტებით გაჰკივიან:

— ვის უნდა რეკორდული გაფრენის ნახვა!

— ყველანი აეროდრომზე, ნუ დაკლდებით დიდებულ  
სანახაობას!

ეროვნული  
გერბი

ქებურიას ამ ფრენის შესახებ „სახალხო გაზეთის“ ფურც-  
ლებზე ვინმე „კოლხი მეხოტბე“ წერდა:

„ჭეშმარიტად უცხო სანახაობა იყო... შემოდგომის გამო-  
სათხოვარი სიმწვანით აფერადებულ მინდორზე ზღაპრულ ვე-  
ებერთელა ფრინველივით გაქვავებულიყო ფრთა-სპეტაკი მო-  
ნოპლანი ქართველი მფრინავისა და მორჩილებით უცდიდა თა-  
ვისი შემქმნელის თილისმა-სიტყვას, რათა ლალად გაენავარდა  
ცის დაუსრულებელ წიაღში.

რუხი, ღრუბლიანი ცის გუმბათი თითქოს უნდოდ დაჟყუ-  
რებდა მის განზრახვას. აღმოსავლეთიდან ცივი, ძვალსა და  
რბილში გამწევი ქარი მოსისინებდა.

მანქანის გარშემო მოგროვდნენ ტფილისის ქართულ-რუ-  
სული პრესის წარმომადგენლები და მფრინავის ნათესავ-მე-  
გობრები. ყველა რაღაც ფრთხილის მოწიწებით ათვალიერებ-  
და ქართული ნიჭის ნაწარმოებს... ქერა, სანდომიანი სახის  
ბესარიონ ქებურია მოკლედ იძლეოდა საჭირო განმარტე-  
ბას თავისი მანქანის შესახებ. აეროპლანი მონოპლანის ტიპი-  
საა, მაგრამ იმდენად უბრალო და ლამაზი კონსტრუქციისაა,  
როგორიც ჯერ არ იცის ტექნიკამ. გაშლილი ფრთები (შუბლი-  
ანად, სადაც მოტორი დგას) სიგრძით 8888 მილიმეტრს (13  
არშინამდე) უდრის, ხოლო მანქანის სიგრძე (შუბლიდან კუ-  
დამდე) 7777 მილიმეტრს (11 არშინამდე).

მთელი მანქანა იმ ანგარიშითაა გაკეთებული, რომ რაც  
შეიძლება მეტ სიჩქარეს მიაღწიოს. ფრთების ჩინჩხი მეტად  
წვრილი და სუფთაა. სამი საგორავი ბორბლის მაგიერ ორი აქვს  
წინ, ხოლო კუდის დასაყრდნობად თვალის მაგიერ ცალფა მარ-  
ხილი აქვს. მანქანის მშვენებას მისი პატარა და მოხდენილი  
კუდი შეადგენს, რაც ნამდვილი დიდი ფრინველის ილუზიას  
ქმნის ჰაერში. პროპელერი სიგრძით ბლერიოსეულსა ჰგავს,  
მაგრამ თათები უფრო ფართო და ღრმაა, რაც ხელს უწყობს  
მეტი სიჩქარის განვითარებას. მოტორი „ანზანის“ სისტემისაა,  
25 ცხენის ძალისა. პროპელერი წინ უზის მოტორს, რომელიც  
თითქმის თავისუფალია საფარი ჯავშნისაგან. ეს გარემოება  
იმითაა საუპირატესო, რომ მოტორი მეტ ჰაერს იხვევს და ად-

საფორთხე  
ეროვნული

ვილად ცივდება. ასე რომ, მოტორის გავარვარების საფორთხე  
დიდად შემცირებულია. მოტორი, მანქანის ცენტრი და ჩამოჭკვა  
დოში ადგილი თითქმის ზედ შუბლზეა თავმოყრილი, რაც  
აეროპლანის წონასწორობას აძლიერებს. მთელი მანქანა  
მფრინავიანად 14 ფუთს იწონის. იგი (მოტორის გარდა)  
ტფილისში, ქებურისას საკუთარ სახელოსნოშია გაცემუბული.

სანამ ქებურია ამ განმარტებას იძლეოდა, მისი თანაშემ-  
შე, მექანიკოსი კოლა მანქანის გარშემო დაფუსფუსებდა,  
ამზადებდა ზეთს, ბენზინს, ჭიმავდა მავთულებს, ერთი სიტ-  
ყვით, წრფელ თანაზიარობას უწევდა თავის საყვარელ  
უფროსს.

აი, გამართეს ეს უშველებელი, უსულო ფრინველი. გული  
უცნაურმა, ტკბილ-მწარე გრძნობამაც აატოკა. გაიტანეს მინ-  
დვრის შუა გულს. ქარი ძლიერდება... ურჩევენ გამბედავ  
მფრინავს, თავი დაანებოს ასეთ ცუდ ამინდში გაფრენას. ქარის  
ძლიერება 12 მეტრს უდრის ერთ წამში. მაგრამ არა! რამდენ-  
ხანს უცდიდა ამ საზღაპრო ფრინველის გამოჩეკას. უცდიდა  
იგი გულდასმით, დაუინებით მუშაობდა, რომ სასურველად  
დაეგვირვენინებია თავისი „გიური“ განზრახვა და ახლა, რო-  
ცა ჟველაფერი მზადა, ერთბაშად უარი თქვას? არა!

— კოლა! — მოუბრუნდა იგი თანაშემწეს, — მივფრინავ!  
თანაშემწემ პროპელერი აამუშავა... გაისმა ძრავის გუგუ-  
ნი, დაიხვა ბენზინის პირველი ბოლქვი და აძიგძიგდა უსულო  
ფრინველი.

— მოტორი ცელქობს!

ვაისმა მაყურებელთა შეშინებული ჩოჩქოლი, მაგრამ მა-  
ლე გასწორდა ხმაშეუწყვეტელი გუგუნიც. დაიძრა დიდი, თეთ-  
რი. ფრინველი და წაგორდა მწვანეზე. წუთიც... და აფრინდა!

მანქანა ნაძალადევისაკენ გაემართა... ერთ წამს ქარის  
მძლავრი ტალღა მოწყვეტით ეკვეთა მას, მარჯვენა ფრთა გა-  
დაიხარა, აპა, დაიმსხვრევა თუ არა იმედის ნაპერწალი, მაგ-  
რამ არა! მფრინავს გამჭრიახი თვალი აქვს, ელვის უსწრაფეს  
შეუთანაბარა მეორე ფრთა და თოვლივით თეთრმა ფარფატამ  
ლაღად დაპნარა სივრცეში, გადაუარა ნაძალადევს თავს და  
დასავლეთისაკენ იბრუნა პირი. შემოუარა ავჭალას, შემოჰყვა  
მტკვარს, გაინავარდა საბურთალოსაკენ, გადმოუქროლა ქარ-

თულ გიმნაზიას და ისევ ნაძალადევისაკენ გაეშურა... ფრთხოების გაშლით, შეურჩევლად. ჭეშმარიტად დიდებული სურათია, ზეაღმტაცი, მატყვევებელი! ძირს დარჩენილთა სული მასტერის მიიღოს, მქრალდება მძიმე ტანი! მაგრამ ეს რა? მანქანა უცნაურად შეირჩა, ნუთუ?.. ოჰ, არა! ეს გამოცდილი მფრინავის ქამანდია — მარჯვნით გამოქანებულმა უეცრად მარცხნით მოჭხარა და კუდის მძლე დაკვრით უსაზღვრო სივრცეს შეერთო. გადმოუქროლა ისევ დახნულ ჭალას და ავჭალისაკენ გასრიალდა, წავიდა, დაიკარგა... წერტილის ოდენალა ჩანს, მალე ისიც დაიმალა... რა მოხდა?

- შორს წავიდა!
- ეს სიგიურა!
- ქარი ძლიერდება!

ისმის უხმო ჩურჩული. ხუთი აუტანელი წუთი, მძიმე და დაურღვეველი სიჩუმე. მაყურებლები ერთმანეთს შესცემიან. ნუთუ აღარ გამოჩნდება! შორს ლრუბლიდან სივრცეში კვლავ გამოჩნდა ისრის წვერი; გადიდდა, გაიზარდა.

- გვრიტია, გვრიტი!..

თანდათან ახლოვდება ძრავის თანაბარი გუგუნი და შხელი კაკლის ხის პროპელერისა. გაგვისწორდა, 600 მეტრის სიმაღლეზე გადმოგვიარა თავს...

- გამა!..

პატარა ხელების ქნევით უხმობს ჰაეროვან მამას მისი ოქროსთმიანი, 4 წლის ვაჟი. მაგრამ მამას არ ესმის. იგი მთვრალია საკუთარი ნიჭითა და გამარჯვებით, მას აღარ ახსოვს მიწა. იგი გმირია, გმირი — ჰაერის დამძლევი და მბრძანებელი. აჸა, გვრიტმა კიდევ უფრო მაღლა აიწია. ყორანთა დამფრთხალი გუნდი გაკვირვებული ჩხავილით შემოეხვია გარს. რა სასაკილოა მათი უშნო ფრთების პანტური!

— ადამიანო, ადამიანო! კმარა, გეყოფა, გამარჯვების ნექტარი თავბრუს დაგახვევს და...

იგი ისევ განაგრძობს ნავარდს, ახლა უფრო ფრთა-გამართვით, უფრო გაბედულად.

— ვანიშნოთ, რომ ჩამოფრინდეს! — ამბობს ფერმიხდილი ცოლი.

- უკვე ნახევარი საათი გავიდა!

— აი, ის თეორი ბაირალი ამართეთ!

დაინახა. ძირ-ძირ დაწნარა. ჩამოფრენას აპირებს.   
მა დახარა ფრთები და ტყვიასავით შეუილით წამოვიდა. წუთუ ასე მოწყვეტილ დაეშვება? მეტი გზა არ არის, რაღაც აღგი-ლი ძლიერ პატარაა. წუთიც და უსულო ფრინველი მიწაზე გა-გორდა. გულადი ავიატორი კოხტად გაღმოხტა და ხელი შე-ატანა თავის პირმშო მანქანას. საერთო აღტაცება და... განუ-ზომელი დიადი გრძნობა... სული კმაყოფილია. დაგვირგვინდა ქართული ნიჭი!“ („სახალხო გაზეთი“, შაბათი, 1912 წელი);

ქებურიას რეკორდულ გაფრენაზე გაზეთი „ზაკავკაზესკაია რეჩ“ წერდა: „15 სექტემბერს მომხდარ გაფრენას ჩვენ ვუ-წოდეთ რეკორდი იმიტომ, რომ ფრენის სიჩქარით, სიმაღლი-თა და სილამაზით ქებუროვისათვის ჯერ არავის გადაუჭარ-ბებია, მიუხედავად ძრავის სისუსტისა, იგი 1500 მეტრის სი-მაღლეზე აფიდა, რაც ავიაციის მოკლე ისტორიაში დიდ გამარ-ჯვებად უნდა ჩაითვალოს“ („ზაკავკაზესკაია რეჩ“, 1912 წ. „ავიატორ ქებურიას რეკორდული გაფრენა“).

თუ რა დიდი მიღწევა იყო იმ დროს 1500 მეტრის სიმაღ-ლეზე ასვლა და ისიც „ანზანის“ სუსტი ძრავათი, ამაზე მოს-კოვში 1911 წელს ჩატარებული ავიაციის კვირეულის შედე-გებიც მეტყველებენ.

კვირეულში მონაწილეობდნენ სახელგანთქმული. რუსი მფრინავები — მ. ეფიმოვი და ა. ვასილიევი. სიმაღლეზე ფრე-ნაში პირველი აღგილი დაიკავა და 1250 მანეთი ჯილდო მი-იღო მ. ეფიმოვმა, რომელმაც 1198 მეტრის სიმაღლეს მიაღ-წია. მეორე აღგილი წილად ხვდა ბ. ქებურიას ძევლ კოლეგას ა. ვასილიევს. როგორც ვხედავთ, ჩვენმა თანამემამულემ მოს-კოვის ავიაციის კვირეულის მონაწილე. რუსი მფრინავების სა-რეკორდო გაფრენებს ბევრად გადაჭარბა. მაგრამ, სამწუ-ხაროდ, საქართველოს ხელისუფალთა გულგრილობისა და უყურადღებობის გამო მისი სახელი უხმაუროდ მიიჩქმალა. და თუმცა ზოგიერთმა აღგილობრივმა გაზეთმა („სახალხო გა-ზეთი“, „ზაკავკაზესკაია რეჩ“, „თემი“ და სხვა) შესაქებად ხმა აღიმაღლა და რამდენიმე აღტაცებული წერილი გამოაქვეყნა, ამას ავიატორისათვის არავითარი შვება არ მოუტანია.

და მაინც, რა შეეღრება იმ უდიდეს სიყვარულსა და თა-

ნაგრძნობას, რომელიც მან უბრალო ხალხის გულში მოიპოვა.  
თუ რაოდენ საოცრებას წარმოადგენდა ხალხის ფართო  
მასებისათვის ქებურის მფრინავი პარატი, ამაზე საუკეთე-  
სოდ მეტყველებს ქართულ იუმორისტულ უურნალ „ჭინჭარ-  
ში“ გამოქვეყნებული პატარა სცენა, საღაც გურული ენამოს-  
წრებულობითაა გაღმოცემული ქართველი ავიატორის განსა-  
ცვიფრებელი საქმეები:

„გურული სცენა“ (ლაზარე და ბეჟუკა)

- გამარჯობა შენი, ბეჟუკა!
- გაგიმარჯოს ღმერთმა, ლაზარე!
- ბეჟუკავ, ძმავ! რაცხა მოწყენილობა გეტუობა, ხომ  
არაკაცმა გაგაკუჭა ოზურგეთში?
- თუ ჩემი ძამიე ხარ, დამეთხუე, კაყალ გულზე ვარ გა-  
ტკლეცილი, იმისთანა ამბავი გვეიგონე დღეს.

— რა მოხდა არ მეტყვი?

- შენმა მტერმა და ორგულმა გეიგონა, მე რომ გევი-  
გონე დღეს, კაცო! ეს ვინცხა ქებურია ყოფილა ქალაქში, გა-  
ზეთში კითხულობდნენ. მერე იმისთანაი რაცხა გაუკეთებია,  
რომ დაჟდება ზედ და სულ ცაზე დაფრინავს! სახელიც კი  
მითხრეს საფრინავი მაშინის „ხოხოპლანიაო“ თუ რაცხა ჯან-  
დაბა! რავა არ გასკდები ქუჭზე!.. მეგრელი რომ არ იყოს, ვინ  
ჩიოდა რამეს. ამდენხანს მეგრელი რომ ცხენს მეიძარავდა ჩვე-  
ნში ან ფიჩორის პირზე დევიჭერდით და ან რიონის პირზე და-  
ვატიებიებდით. ახლა მოაუდება რაცხა ეშმაკი ხოხოპლანია,  
მოფრინდება შენი ეზოს პირდაპირ: აპლანავს ქალს, ბალანს,  
დიდს, პატარას, ეზო-ლობე-ყორეს, სახლ-ბეღელ-ნალიას, სა-  
ლორე-კარიას, არ დატიებს შენს ბარობაზე არაფერს, ჩასვამს  
ხოხოპლანში და მერე მისღიე ქუდში და უყარე კაკალი („ჭინ-  
ჭარი“, 1912 წელი, 29 სექტემბერი).

1912 წლის დეკემბერში ბ. ქებურია ბლერიოს მიწვევით  
პარიზს გაემგზავრა. ლუი ბლერიო სიხარულით შეეგება ბე-  
სარიონს. მას უკვე გაეგო, თუ როგორ წარმატებებს მიაღწია  
მისმა მოწაფემ თავის სამშობლოში და ახლა სურდა სახელო-  
ვანი ავიატორი საფრანგეთის გულშემატკივართა ფართო სა-  
5. ვ. როდონაია

ზოგადოებისათვის გაეცნო. სწორედ ამ ხანებში ბლერიო ~~პა-~~  
რიზის უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობდა ავიაციის სა-  
კითხებზე. ბესარიონ ქებურიას ღიღად გაეხარდა, რომ შესაძლ-  
ლებლობა მიეცა კვლავ მოესმინა ფრანგული ავიაციის ფუ-  
ძემდებლის საინტერესო და შინაარსიანი ლექციები.

29 დეკემბერს პარიზის აეროკლუბმა, სადაც ორიოდე  
შლის წინ ბესარიონმა მფრინავის დიპლომი მიიღო, შეხვედ-  
რა მოუწყო ყოფილ მოწაფესა და აწ უკვე სახელგანთქმულ  
მფრინავს.

თოთქოს წლები რძისფერი ნისლის თეთრმა ქულებმა გა-  
დაშალა. სწორედ გუშინ იყო, უკანასკნელი ლექცია რომ მო-  
ისმინა და დღესაც ისეთივე მოკრძალებით, მორიდებულად  
შეაღო აუდიტორიის ქარი. აგერ, მერხებს უსხედან მისი  
საყვარელი, ახლო მეგობრები — ლეონ მოლონი, ლუი პოლა-  
ნი... მხოლოდ ძმასავით საყვარელი ლეონ ლეტრის აღგი-  
ლია თავისუფალი. ბესარიონმა პარიზში ჩასვლისთანავე შე-  
იტყო, რომ იგი ერთ-ერთი საცდელი გაფრენის დროს დაღუ-  
ბულიყო. ერთხელ კიდევ მწუხარებით მოიწურა თვალს მო-  
დენილი ცრემლი და თავისი ჩვეული აღგილი დაიკავა. მაგრამ  
კათედრისაკენ ამჯერად გაემართა არა ლუი ბლერიო, არამედ  
ფრანგი მფრინავი ფრანგ ბარა. ლექციის თემაც მეტად უჩვე-  
ულო იყო — ბარა ლაპარაკობდა ბლერიოს სკოლის კურსდამ-  
თავრებულის ბესარიონ ქებურიას საავიაციო მოღვაწეობაზე  
და წარმატებებზე. მის დიდ წვლილზე რუსული ავიაციის წინ-  
სვლისა და განვითარების საქმეში. რუსული ავიაციისა, რად-  
გან ქართულ ავიაციას არა აქვს ისტორია, — თქვა ბარამ, —  
ქართული ავიაციის ისტორია ბატონი ქებუროვის სახელით  
იწყება. ასეთი სასახელო დასაწყისი სასურველი იქნებოდა  
ყველა ქვეყნისა და ყველა ხალხისათვის. ვუსურვებ ჩვენს  
საყვარელ ქებუროვს თავისი შესანიშნავი ნიჭით ერთ-ერთი  
სასახელო ფურცელი ჩაეწეროს მსოფლიო ავიაციის განვითა-  
რების ისტორიაში.

ყველგან გარს ეხვევიან, ულოცავენ, გულში იყრავენ სა-  
ნაქებო მეგობარს.

— ქებუროვ, კათედრასთან! — განგებ დაბოხებული,  
მკაცრი ხმით იძახის ბლერიო.

ბესარიონმა მერხზე დალაგებულ ქაღალდებს ხელი წარ  
მოუსვა და თითქმის სირბილით გაიჭრა ოთახის შუაღულში ჩატარდა  
— კონსპექტების გარეშე, კონსპექტების გარეშე! —  
გვლავ ბობოქრობს ბლერიო.

ბესარიონი მერხზე ტოვებს ქაღალდებს და მოკრძალებით  
უახლოვდება კათედრას.

— მაშ ასე... თქვენ აიღეთ ჩვენი აეროსკოლის დიპლომი  
და გაემგზავრეთ მზიური საქართველოსაკენ... შემდეგ?

— შემდეგ?!

...აგვისტოს სულისშემსუთავი ბუღით ალავარდნილი ვა-  
გონები... ნაცნობი ტრამალები... სამშობლოს განუმეორებელი  
სუნთქვა... ვარშავა... პირველი მარცხი და პირველი გამარჯვე-  
ბა. შრომა, ცდა და ისევ შრომა... რწმენა, შეუდრეველი  
რწმენა საკუთარი საქმისა. ახალი თვითმფრინავის დაბა-  
დება და მრავალგზის ნატანჯი „ანზანი“.

— მე შევძელი დამემტკიცებინა ჩემი თანამემამულები-  
სათვის, რომ ხმლის სიმოკლე ვერას დაგაყლებს, თუ ფეხს  
ცოტა წინ წარსდგამ. მე შევძელი რამდენიმე საჩვენებელი  
გაფრენა წარმატებით, დამეგვირგვინებინა. თვით უმძიმეს, მო-  
ახლოებული კატასტროფის საშინელ წუთებშიც კი არ მტო-  
ვებდა საკუთარი თავისა და საყვარელი საქმისადმი ფანატი-  
კური რწმენა. ალბათ, სწორედ ამან მიხსნა, ამან გადამარ-  
ჩინა მრავალგზის ხიფათს.

ბლერიოს რეკომენდაციით ქართველი ავიატორი ლექციის  
შასაკითხსად პარიზის უნივერსიტეტში მიიწვიეს. ბესარიონმა  
უცხო აუდიტორიის წინაშე საინტერესოდ წაიკითხა ლექცია  
თემაზე: „რუსული ავიაცია და მისი განვითარების გზები“.  
შემდგომ კი, თავის მოგონებებში, პარიზის უნივერსიტეტში  
წაიკითხული ლექციის თაობაზე ასე წერდა: „მეტად უხერხუ-  
ლად მეჩვენა, ვერა და ვერას გზით ვერ ვთქვი, რომ მშობლი-  
ურ თბილისში, იმის შიშით, ცხენები დაფრთხებიანო, სადო-  
ლე მინდორსაც არ მითმობდნენ საჩვენებელი გაფრენის ჩა-  
სატარებლად“.

პოპულარულმა ფრანგულმა გაზეთმა — „ილუსტრასიონშა“,  
მკითხველებს აუწყა გამოჩენილი ქართველი ავიატორის ბესა-  
რიონ ქებურიას პარიზში ყოფნა და გამოაქვეყნა მფრინავის

ფოტოსურათი. თუ რამდენად პოპულარული იყო იმ დოკუმენტები საფრანგეთში ავიაცია, მოწმობს გაზეთ „ფიგაროს“ შიგრძელება მოქადაგებული კონკურსი. „ფიგაროს“ რედაქტორმა სოხოვა თავის მკითხველებს, დაქსახელებინათ რომელ გამოგონებას, ტექნიკის რომელ ახალ მიღწევას ანიჭებდნენ უპირატესობას. მიღებული პასუხებიდან დადგინდა, რომ ფრანგები პრიორიტეტს ანიჭებდნენ შვიდ საოცრებას: 1. აეროპლანს, 2. უმავთულო ტელეგრაფს, 3. აადიოს, 4. ლოკომოტივს, 5. აცრებს სხვადასხვა ავადმყოფობის წინააღმდეგ, 6. დიფტერიის საწინააღმდეგო საშუალებას და 7. დინამომანქანას. შემდეგ მოღილა ტელეფონი, კინემატოგრაფია, ტელეგრაფი, ავტომობილი, ერთეულის კოშკი, ველოსიპედი, მაცივარი, წყალქვეშანავი... ქართველმა ავიატორმა სამშობლოში დაბრუნების შემდეგ თარგმნა „ფიგაროს“ წერილი და გაზეთ „გოლოს კავკაზიში“ გამოაქვეყნა.

იმხანად ფრანგული სისტემის ძრავებს შორის ყველას სჭობდა „გნომი“, რომლის ღირებულებაც 8 ათას მანეთს აღემატებოდა. ბესარიონის მოკრძალებული ჭიბისათვის ეს აჭერადაც წარმოუდგენლად დიდი თანხა იყო და იგი მხოლოდ „ანზანის“ იაფფასიანი ნაწილების შეძენით დაჭმაყოფილდა. ფრანგი მეგობრების დახმარებით ბესარიონმა თვითმფრინავის ზოგიერთი აუცილებელი მექანიზმიც შეიძინა და 1913 წლის იანვარში თბილისისაკენ გამოეშურა.

საფრანგეთში მეორედ ჩასვლამ და ფრანგული ავიაციოლის ახალი მიღწევების გაცნობამ წარუშლელი კვალი დატოვა ბ. ქებურის ცხოვრებაში. ეს ძვირფასი თეორიული ცოდნა მას დაეხმარა უფრო დაესვეწა და აემაღლებინა ფრენის ოსტატობა.

სამშობლოში დაბრუნებულმა ავიატორმა უფრო შეტი გატაცებით, მეტი შეუპოვრობით მოჰკიდა ხელი საყვარელ საქმეს. პარიზიდან ჩამოტანილი ახალი ნაწილებით შეაკეთა მოძველებული „ანზანი“ და შემდგომი ფრენისათვის შეუდგა მზადებას. იმ დროს თბილისში სტუმრად იმყოფებოდნენ გამოჩენილი ფრანგი ავიაკონსტრუქტორები. ისინი ურჩევდნენ მფრინავს, ვიღრე მორიგ საჩვენებელ გაფრენას დანიშნავდა, პარატის სპეციალური გამოცდა ჩაეტარებინა.

ბესარიონშვა შორს დაიჭირა ეს რჩევა.

— ნუ შიშობთ, მეგობრებო! — უთხრა მათ მფრინავება, — მე მიწის მკვიდრთა სიავესა და უგრძნობლობას უფრო მტკივ-ნეულად განვიცდი, ვიდრე მშობლიური ცის უვნებო ჭირვე-ჟულობას. მე და სტიქონი დიდი ხნის მეგობრები ვართ, იგი არასოდეს გამწირავს!

არც ცდებოდა, ამ სიტყვებს რომ ამბობდა. ბ. ქებურიას თვითმფრინავზე. მაშინდელი გაზეთები თითქმის სულ ერთსა და იმავეს იტყობინებოდნენ: „აამუშავეს მოტორი, მაგრამ იგი ძლიერ ცუდად მუშაობს, წამში 900-ზე მეტს არ ბრუნავს და ხშირად შეღვება ხოლმე“, „420 მეტრის სიმაღლიდან ძლიერ ჩქარა წამოვიდა, მაგრამ შუა გზაზე მოტორი გაჩერდა“, „საფრენი ტყვიასავით წამოვიდა ძირს, მისი გადარჩენა შეუძლებელი იყო“, „დიდმა თხრილმა გზა შეუკრა, ყველას ეფონა, რომ უბედურება მოსდა“ და ა. შ. და მიუხედავად ყოველივე ამისა — „ასეთი კოხტა და სწრაფი გაფრენა ჭერ არ გვინახავს“, „მფრინავმა 1200—1500 ალლის სიმაღლეს მიაღწია“, „ყველას ეგონა, რომ ქებურია ბედმა იმსხვერპლა, მაგრამ მამაცი მფრინავი მარდად გადმოხტა თვითმფრინავიდან“, „ყველა სიხარულით ეგებებოდა გამარჯვებულ მფრინავს“.

როდესაც მფრინავი მშვიდობიანად დაეშვა მიწაზე, მასთან ერთი ფრანგი სპეციალისტი მივიდა და უთხრა: „ბატონონ ქებუროვ, თქვენ ან გიყი ხართ, ან მართლა თავი გაგიწირავთ. ჭერ არ მსმენია, რომ რომელიმე სახელგანთქმული მფრინავი ასეთ პირობებში გაფრენილიყოს. თქვენი თავგანწირვა რამდენადმე გაუგებარია ჩემთვის“ („სახალხო გაზეთი“, 1913 წ. № 826).

ბევრისათვის მართლაც გაუგებარი იყო, რისთვის „შეს-ძულებოდა ამ კაი კაცს ეს ლამაზი ქვეყანა“ და ფათერაკების საძებნელად ცას ეჭიდებოდა. მაგრამ თუ გავიხსენებთ, რომ ყველა დიდი გამომგონებელი, შემოქმედი, ყველა დიდი მოღვაწე თვით სიკვდილ-სიცოცხლის რისკთან დაკავშირებული შეუპოვრობით იბრძოდა თავისი საოცნებო იდეალის მისაღწევად, საკუთარი აზრებისა და იდეების სრულსაყოფად, მაშინ ბესარიონ ქებურის „სიგიურ“ და თავგანწირვაც აღვილი ასახსნელი იქნება.

1913 წლის აპრილ-მაის-ივნისში ბ. ქებურიამ რამდენიმე საჩვენებელი გაფრენა ჩატარა თბილისში. ძრავას უვარესობა ბის გამო ზოგი მათგანი მარცხით დამთავრდა, 16 ივლისის გაფრენას კი კინაღამ მართლაც შეუწირა მფრინავის სიცოცხლე. თუმცა ხელისუფლებამ ფრენის ნება დართო, მოედანზე არც ერთი წესრიგის დამცველი არ ჩანდა და მაყურებლები უწესრიგოდ გაფანტულიყვნენ მთელ მინდონზე. ქებურიამ მაინც მოახერხა აფრენა. მოედნის თავზე ოთხი დიდი წრე გააჭერა, მეხუთე წრის შემოვლისას ძრავა გაუჩერდა და განიზრახა ამიერკავკასიის რკინიგზის სახელოსნოსთან დაშვებულიყო, მაგრამ იქ დასაშვები ადგილი არ აღმოჩნდა. ჰაერში ათასნაირად დახლართული მავთულები იყო გაჭიმული, ქვევით კი — რკინიგზის ლიანდაგები.

აეროპლანი ნელ-ნელა ეშვება ძირს. 10 მეტრით რომ მიუახლოვდა მიწას, მფრინავი სწრაფად გადმოხტა კაბინიდან და სილაზე დაეცა, რას გამოც მსუბუქად დაშავდა. მანქანა კი ძლიერ დაზიანდა.

აქაც ბედი! განუშორებული ფორტუნა! გაზეთები აღტაცებით იუწყებოდნენ: „მართალია, ქებურიას აპარატმა მიატოვა ფრენა, მაგრამ თვით მფრინავმა შეისხა ფრთები, 10-15 მეტრის სიმაღლიდან კალიასავით გადმოხტა“.

1913 წლის გაზაფხულზე, როდესაც ძრავას უვარესობის გამო ქებურიამ არაერთგზის განიცადა მარცხი, ამიერკავკასიის გაზეთებმა აღშფოთება გამოთვეს ქართველი მფრინავის მიმართ არააღამიანური დამოკიდებულების გამო.

ამ, რას წერდა ამის თაობაზე ერთი საყმაოდ პოპულარული გაზეთი „თემი“ (1913 წ. № 130) წერილში: „დროა ეს მოვალეობა აღვასრულოთ“.

„რას იტყოდით თქვენ იმისთანა აღამიანზე, რომლის თვალწინ კაცი იღუპებოდეს, ის კი გულხელდაკრეცილი გულგრილად შესცემოდეს საზარელ სურათს, მერე იმ დროს, როდესაც მას შეეძლო ეშველა მისთვის?!

თქვენ უეჭველად მიმართავდით თქვენს ლექსიკონს და გამოძებნიდით ყოველგვარ ამისთანა უდიერობის დამახსიათებელ სიტყვებს. აღარც კი დასჯერდებოდით გეწოდებინათ მისთვის „ბრმა, ყრუ, გულქვა“.

ახლა ჩაუფიქრდით ერთ გარემოებას. ჩვენ ამდენჯერმა გავშდით მოწმე, როგორ ჩამოვარდა თავის მიერ გაკეთებული  
აეროპლანით ჩვენი ერთადერთი მფრინავი ბესარიონ ქე-  
ბურია.

ჩამოვარდა იმიტომ, რომ მას მოტორი — მანქანა არ უვარ-  
გოდა. თორემ ყველანი, ვინც დაესწრენ პირველად გამარ-  
თულ არა საჭარო ფრენას, დარწმუნდნენ, რომ მის აეროპლანს  
მომავალი აქვს, რადგან იმით კარგად იფრინა ბ. ქებურიამ.

ამას წინათაც, როდესაც სასწაულებრივი ამბავი მოხდა, —  
აეროპლანი ხეზე ჩამოეკიდა და თვით ავიატორი კი უვნებლად  
გადარჩა, ყველა დამსწრენი მოწმობდნენ, რომ ბ. ქებურია  
მშვენივრად ფრინავდა, მაგრამ ბოლოს მოტორმა უღალატაო.

მერე ამას ამბობენ მარტო ქართველი დამსწრენი კი არა,  
რომ მათთვის მიკერძვა დაგვეწამებინა, არამედ სხვა ტომის  
ხალხნიც. ამასვე იმეორებენ თვით რუსი პატრიოტე-  
ბის ორგანოს თანამშრომლებიც. ყველა ამას იმიტომ ვამბობ,  
რომ ნათელვყო, რამდენად დამტკიცებულია მიუდგომლად  
ყველასათვის, რომ ბ. ქებურია ღირსია ქებისა, რადგანაც მა-  
მაცი მფრინავია და კარგი აპარატის გამომგონი.

სხვაგან რომ ყოფილიყო საქმე, განათლებულ ქვეყანაში,  
მაშინვე შეუგროვებდნენ თანხას, უყიდიღნენ მოტორს და  
მისცემდნენ ამგვარად საშუალებას თავისი თავიც გამოეჩინა  
და თავისი ხალხიც ესახელებინა.

ჩვენ კი გულგრილად შევცემერით, როდის შევიქმნებით  
მოწმენი მისი დაღუპვისა.

ჩვენ იქამდინაც კი მივედით, რომ ვთქვით: „ნეტა, ერთ  
ვინმე იმისთანა გამოჩნდეს, რომ მიუმსხვრიოს მოტორი, თო-  
რემ ეს კაცი ისეთი მოუსვენარია, რომ რასმე აუტეხავს თა-  
ვის თავსა“.

დიაღ! ჩვენ ვხედავთ, ბ. ქებურია არაფერს ერიდება. მან  
არც თავისი სიცოცხლე დაზოგა, ოჯახიც მიივიწყა, მთელი ქო-  
ნება გადააგო ამ საქმეს. ეს კაცი ფანატიკოსივით თავის წარმ-  
ტაც იდეას ემსახურება. უცნაური სიტყვა იქნება, მაგრამ არ  
შეგვიძლია არა ვთქვათ, ის ამ ქვეყანას არ ეკუთვნის — ის გა-  
ტაცებულია თავისი მიზნით.

მოდი და ამისთანა კაცი ხელს ნუ გაუმართავ!..

მაგრამ ჩვენ გაყუჩებული ვართ...

ორიოდე გრძნობიერმა კაცმა თავის მხრით რამდენიმე  
წვლილი გაიღო მისი საქმისათვის, მაგრამ ეს წვლილი წვე-  
თია ოკეანეში. საჭიროა მეტის გამოლება. მოტორის შესაძნალ  
საკმარისია შვიდი ან რვა ათასი მანეტი და ნუთუ ამის მოგ-  
როვება ასე ძნელი შეიქნა ჩვენში?! ჩვენ მაინც დარწმუნებუ-  
ლი ვართ ჩვენს ხალხში მოიძებნებიან ისეთი პირები, რომელ-  
ნიც გამოიღებენ ამ წვლილს და მით სახელს გაუთქვავენ თა-  
ვის თავს და ჩვენ ხალხსაც. გავვიჩნდა ერთი საყუთარი ავია-  
ტორი, თავის სისტემის აეროპლანის გამომგონი და ნუთუ  
იმას უნდა ველოდოთ, როგორის დიდებულის დაკრძალვით  
მივაცილებთ შეუპოვარ დალუბულ მფრინავს მის უკანასკნელ  
ზინამდე?..

გაზეთი მიმართავს საზოგადოებას: „ცოტა მაინც მოვიცი-  
ლოთ ეს გულგრილობა და იმის მეათასედი მაინც მივაწოდოთ  
თვითეულმა ჩვენგანმა, რაც მფრინავმა დახარჯა საყვარელი  
მიზნისათვის“.

ანალოგიური წერილები მოათავსეს „გოლოს კავკაზამ“,  
„ტიფლისსკი ლისტოკმა“ და სხვა გაზეთებმა.

ასე აღიმაღლეს ხმა ქებურიას დასაცავად სხვა ქართულმა  
გაზეთებმაც. მაგრამ მიუხედავად გაზეთების მიერ ატეხილი  
ხმაურისა, პრაქტიკული დახმარება არსაიდან ჩანდა. ქართ-  
ველმა ავიატორმა კვლავ თავის სახელოსნოს მიაშურა. მალე  
აგუგუნდა, ვინ იცის, მერამდენედ შეკეთებული ძრავა. გაი-  
მართა და შელამაზდა ნაჭრილობევი ფრინველი. როდესაც  
აპარატი კვლავ მწყობრში ჩააყენა, ბესარიონმა გადაწყვიტა,  
საჩვენებელი გაფრენები ამჯერად ბაქოდან დაეწყო.

ახლობლები არ უჩიჩევდნენ ბესარიონს გაცვეთილი „ანზა-  
ნის“ ძრავათი ბაქოში საავიაციო ტურნეს ჩატარებას, მაგრამ  
მას ხომ არც გაბედულებაში და არც სიკერპეში ტოლი არა  
ჰყავდა. რაკი არ დაიშალა, მეგობრებმა იმაზე მაინც დაითან-  
ხმეს, გამოსაცდელი ფრენა თბილისში მოეწყო, საბედნიეროდ,  
ეს გამოცდა წარმატებით დამთავრდა და საგანგებოდ დაკვე-  
თილი მანქანით ქართველმა ავიატორმა თავისი აეროპლანი ბა-  
ქოსკენ გააქანა.

ბაქოს საზოგადოება აღფრთოვანებით შეეგება სახელ-  
განთქმულ ქართველ მფრინავს. გაზეთებმა მოათავსეს მისი

ფოტოსურათები და ბიოგრაფიული ცნობები, უფრო მეტი ეფექტისათვის თითქმის ყველა გაზეთმა გამოაქვეყნა პარაზიტი ღური ბლერიოსთან ერთად გადაღებული ფოტოსურათი.

ქალაქის ცენტრალური, კეთილმოწყობილი პოდრომი უფასოდ დაუთმეს სტუმარს. გაფრენის წინ ბესარიონშია თითქმის ბოდიშით მიმართა დამსტრე საზოგადოებას: ჩემი ძრავა საკმაოდ მოძველებული და გაცვეთილია, შესაძლებელია ამის გამო ლამაზი ფრენა ვერ გაჩვენოთ, მაგრამ ნუ დამძრახავთ, მეზობლურად მაპატიეთო.

ბესარიონის ბოლიში ზედმეტი გამოდგა, მას არამცოუ „საპატიებლად“ გაუხდა საქმე, როგორც შემდგომ თვითონვე წერს მოგონებებში: „თითქმის ჩემს გაფრენაში არც ერთს არ ჰქონია ისეთი წარმატება და მოწონება, როგორც ბაქოს გაფრენის. სულ არ მქონდა ახლადშექეთებული „ანზანის“ იმედი, მაგრამ საოცრად გამიმართლა“.

ბესარიონ ქებურიამ ორი თვე დაპყო ბაქოში. აზერბაიჯანის სხვადასხვა ქალაქში რამდენიმე საჩვენებელი ფრენა ჩატარა, საჭარო ლექციები წაიკითხა ავიაციის განვითარების თაობაზე და ტრიუმფალური საავიაციო ტურნეთი ფრთებშესხმული, მოზღვავებული ენერგიით დაუბრუნდა საქართველოს.

მცირე ხნის შესვენების შემდეგ ბესარიონი ბათუმისაკენ გაეშურა. მეტად სენსაციური გამოდგა აჭარის დედაქალაქში ჩატარებული საჩვენებელი გაფრენა. ქალაქის ბალში გამოხედნეს პატარა მოედანი, საიდანაც დიდი გაჭირვებით შეიძლებოდა აფრენა. სანახაობა 3 საათისათვის იყო დანიშნული, მაგრამ მოულოდნელად წამოსულმა წვიმამ გაფრენა ორი საათით დააგვიანა. ურიცხვი მაყურებლის წინაშე აპარატმა 40-50 საუენი გაიჩინა და ზღვის მიმართულებით ჰაერში აიჭრა. ძრავას უწესრიგობის გამო აპარატმა ვერ შეძლო სათანადო სიმაღლის აღება, ფრთა საგრძნობლდ გადაიხარა მარცხნივ. აუცილებლად საჭირო იყო დაშვება. ქებურიამ ნელ-ნელა იწყო დაშვება, მაგრამ ძრავამ სრულიად შეწყვიტა მუშაობა. აპარატმა ვერ დაიცვა წონასწორობა და ნაპირიდან ერთი კილომეტრის დაცილებით 100 მეტრის სიმაღლიდან ზღვაში ჩავარდა. აპარატი მაშინვე წყლის ზედაპირზე ამოტივტივდა.

სტა-  
ტორის მულტიკულტურული განვითარების სამსახურის მიერ დამტკიცებული სტატუსი

იმარჯვა მფრინავშა, კაბინიდან ამოხტა, თვითმმდევრინავის სტა-  
ბილიზატორს ხელი სტაცა, რომ არ ჩაძიროლიყო, და მაშველი  
ლის გამოჩენამდე ხელი არ გაუშვია.

შემთხვევის ადგილისაკენ სასწრაფოდ გაეშურა ძრავიანი  
ნავი და სწორედ იმ დროს მიუსწრეს, როდესაც აპარატი იძი-  
რუბოდა, ხოლო ილაჯგაწყვეტილი ავიატორი უკანასკნელ ღო-  
ნეს იქრებდა სტაბილიზატორის გადასარჩენად.

მფრინავი უვნებლად გადარჩა, მაგრამ ძლიერ დაზიანდა  
სტაბილიზატორი, კორპუსი, მარცხენა ფრთა და მართვის სა-  
ჭე. ზარალმა 500 მანეთი შეადგინა.

როდესაც ადგილობრივი გაზეთის წარმომადგენლები ეს-  
ტუმრნენ მფრინავს და კატასტროფის მიზეზები ჰქონდეს, მან  
ასე უპასუხა: „აფრენისას მოტორმა წამში 800 ბრუნი განა-  
ვითარა, რაც აფრენისათვის საკმარისი იყო, მაგრამ სიმაღლე-  
ზე ასვლის დროს ბრუნი შემცირდა. ამას ისიც დაემატა, რომ  
გატყდა განმანაწილებელი ბერკეტი. მთავარი კი, რამაც კა-  
ტასტროფა გამოიწვია, იყო მაგნეტო. პარიზის მოტორმშენე-  
ბელ ფირმა „გნომს“ მაგნეტო მოტორის დისკში სამი უბრა-  
ლო პატარა ხრახნით დაემაგრებინა, რომელიც მთლიანად არ  
იყო მოჭერილი. ერთი შეხედვით ვითომ წესრიგში მყოფი,  
მაგრამ სუსტად დამაგრებული მაგნეტო მოძვრა. მსოფლიოს  
ვერც ერთი ავიატორი ვერ დაიზღვევდა თავს მსგავსი შემ-  
თხვევისას, მაგრამ ბედნიერებად უნდა ჩავთვალოთ, რომ ეს  
შემთხვევა ზღვაში მოხდა და არა ხმელეთზე“.

მართალია, გაზეთებმა სწორად გააანალიზეს ბ. ქებურიას  
მარცხიანი დებიუტი ბათუმში, მაგრამ აქა-იქ მაინც გამოჩნდ-  
ნენ ადამიანები, რომლებიც ისედაც შეწუხებულ მფრინავს  
ცეცხლზე ნავთს უსხამდნენ.

ბევრი ილაპარაკეს, იმსჯელეს, იპაექტეს და ბოლოს ერთ-  
ხმად დაასკვნეს: ჩვენი თანამემამულის აქილევსის ქუსლი სწო-  
რედ სუსტი ძრავას საბედისწერო გამართულობაში უნდა ვე-  
ძიოთო. დაასკვნეს და გაისმა ისევ ძველი ჰანგები — ჩვენი  
სირცხვილია, თავის მოჭრა, ხელი უნდა გავუმართოთ, დავეხ-  
მართოთ, მაგრამ დაპირება ისევ დაპირებად დარჩა.

ქებურიამ კი მტკიცედ გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დასჯ-  
დომოდა, აუცილებლად იღედგინა შელახული ავტორიტეტი-

საკმაოდ დაზიანებული აპარატის შეკეთება ხანგრძლივ დროს  
მოითხოვდა, ხოლო ახალი მაგნეტოს შეძენა არამც თუ საქართველო  
თველოში, რუსეთშიაც არ შეიძლებოდა. მეტი გზა არ იყო,  
ახალი მაგნეტო პარიზის „გნომის“ ფირმიდან გამოიწერა, მა-  
ნამდე კი მწყობრიდან გამოსული აპარატის შეკეთებას შე-  
უდგა.

ბესარიონმა ცოლ-შვილი საცხოვრებლად ღროებით თბი-  
ლისიდან ბათუმში გადაიყვანა. ქალაქის მმართველობამ კე-  
თილმოწყობილი ბინა დაუთმო. ასეთმა სტუმართმოყვარულ-  
მა მიღებამ მეტად გაახარა. „საქართველოს არც ერთ ქალაქში  
არ მიმიღია ისეთი მეგობრული დახვედრა და პატივისცემა,  
როგორც ბათუმში“, — იგონებს თავის მემუარებში.

ორ თვემდე დარჩა ქებურია ბათუმში. ამ ხანში პარიზი-  
დან ახალი მაგნეტოც მიიღო. ლუი ბლერიომ „გნომის“ ფირ-  
მიდან საუკეთესო მაგნეტო შეისყიდა და გამოუგზავნა ბესა-  
რიონს. თანაც სწერდა: „მუსი ქებუროვ! სისტემატურად  
ვგებულობ შენი ბრწყინვალე წარმატებისა და ზოგჯერ წა-  
რუმატებლობის ამბავს. გულს ნუ გაიტეხ, გამარჯვება დამარ-  
ცხების გარეშე შეუძლებელია. ალბათ გახსოვს, რომ მე, სა-  
ნამ ლამანშიდან დუვრამდე გაფურინდებოდი, ოცდაშვიდჯერ  
დავეცი. თუ პარიზში მოახერხებ ჩამოსვლას, „გნომის“ ძრავას  
სანახევრო ფასში შეგაძენინებ. კეთილი სურვილებით მოგი-  
კითხეს შენმა მეგობრებმა“.

მაგნეტოს მიღებისთანავე ბესარიონმა აპარატი ორ დღე-  
ში გაამზადა საფრენად. განცდილმა მარცხმა უფრო ფრთხი-  
ლი გახადა — ამჯერად წინასწარ გამოსცადა ახლად გამართუ-  
ლი აპარატი. როცა დარწმუნდა, რომ ყველა წაწილი შესა-  
ნიშნავად მუშაობდა (აეროპლანი ჰაერში 1.000 მეტრის სი-  
მაღლეზე ავიდა), ოფიციალური საჩვენებელი გაფრენის დღე  
დანიშნა.

ასე რომ, პირველი საჩვენებელი გაფრენის დროს გაწი-  
ლებული მფრინავი ხელმეორედ წარდგა ბათუმელი მაყურებ-  
ლის წინაშე. სანაპიროს ბალში კვლავ აურაცხელმა ხალხმა  
მოიყარა თავი, უმეტესობას ახლაც არ ჰქონდა ქებურიას წარ-  
მატების იმედი — მხოლოდ სეირის საყურებლად მოსულიყო.

წყნარი, თბილი დღე იდგა. ზოგიდან მონაბერი სუსტი ნი-

ავი ოდნავ არხევდა ფრინველის ფრთებს. ქებურია მსუბუქად ავიდა კაბინში. აეროპლანი ლამზად გასრიალდა 10-15 მეტრის მანძილზე, შემდეგ კი მსწრაფლ აიჭრა ჰაერში. კურსი წინანდებურად ზღვისაკენ როდი დაიჭირა, სიმაღლე აიღო და ქალაქს. თავზე მოექცა. 500 მეტრის სიმაღლეზე პირველი წრე გააკეთა, შემდეგ დასავლეთისაკენ იბრუნა პირი და მაყურებელთა თვალთაგან გაუჩინარდა. 20 წუთის შემდეგ კვლავ გამოჩნდა, კიდევ შემოხაზა ერთი წრე და სანაპიროს ბალისაკენ გამოემართა. მაყურებლებს ერთხელ კიდევ გადაევლო თავს. ხალხის აღტაცებასა და სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. აეროპლანმა ნელ-ნელა იწყო დაშვება, 10-16 მეტრის სიმაღლეზე მაყურებლებს თავზე გადაუქროლა და მოშორებით ნარჩარად დაჯდა.

ახლა კი შეეძლო ქებურიას ამაყად გაემართა თვალი ბათუმელებისათვის. მან შეასრულა თავისი სიტყვა.

ვაი მას, ვისაც დროებით მარცხთან შეჭიდებისა და დაბრკოლებების გადალახვის უნარი არ გააჩნია. საზოგადოება ყოველთვის გაპატიებს დროებით მარცხს, თუ მას შეუპოვრობისა და სიმამაცის მაგალითს უჩენებ. ქებურიამ მოიგო ხალხის გული, ხელში ატაცებული მფრინავი ხალხმა ზღვის სანაპიროსაკენ გააქანა, სადაც მას კატერი ელოდა. გამარჯვებული მფრინავი მუსიკით, სიმღერითა და ზარ-ზეიმით ზღვაზე გაასეირნეს.

ბ. ქებურიამ მეორე საჩვენებელი გაფრენაც წარმატებით დააგვირგვინა, ჰაერში 55 წუთი დაჭყო და 1000 მეტრის სიმაღლეზე ავიდა. თბილისში გამომტავრებამდე მან კიდევ რამდენიმე საჩვენებელი გაფრენა ჩატარა აჭარაში და ყოველმა მათგანმა დიდი წარმატება მოუტანა.

ბესარიონი ისევ თავის საყვარელ ქალაქშია. თბილისის საზოგადოებრიობა ინტერესით აღევნებს თვალს მფრინავის საქმიანობას, სთხოვენ გაამზილოს მომავლის გეგმები. გეგმა კი მეტად გაბედულია — ავიატორს განზრახული აქვს საკმაოდ რთული, ხანგრძლივი ფრენის ჩატარება მარშრუტით: თბილისი-ქუთაისი სურამის ულელტეხილზე გავლით. ცხადია, თბილისიდან ქუთაისამდის ძირსდაუშვებლად გაფრენა უბრალო საჩვენებელი გაფრენა როდია, ამჯერად მეტად სერიოზული,



საპატიო და თან სახიფათო ამოცანა დადგა ქართველი სახალხო ტორის წინაშე. ამიტომ მთელი გულისყურით შეუდგა იგო თავისი აპარატის მორიგ „მკურნალობას“.

1914 წლის სექტემბერი იდგა. ვის არ ნახავდით იმ დღეს დიდუბის იპოდრომზე: თავად-აზნაურთა საკრებულოს მესვეურებს თუ ჯარის ნაწილების მეთაურთა შემადგენლობას, ქართულ-რუსული პრესის მუშაკებს თუ ადგილობრივი ხელი-სუფლების წარმომადგენლებს, მფრინავის ნათესავ-მეგობრებსა თუ მრავალ ცნობისმოყვარეს.

გაზეთ „ზაკავკაზიეს“ კორესპონდენტი გასაფრენად გამზადებულ ბ. ქებურიას კაბინის მახლობლად ჩასაფრებია და აჩქარებით იშერს მის თითოეულ სიტყვას. „ჩემი აზრით, — ამბობს ქებურია, — მოუხედავად ძრავას სისუსტისა, აპარატი სავსებით მომზადებულია შორეული ფრენისათვის. თვითმფრინავის ყველა ნაწილი კარგად მუშაობს. კუიქრობ, მშვიდობიანად ჩავალწევ ქუთაისს. თუმცა უკან დასახევი გზა აღარც მაქვს“.

მექანიკოსმა ნიკო ხუციშვილმა ერთხელ კიდევ შეამოწმა აპარატის გამართულობა და თვალცრემლიახი გაღაეხვია უფროსს. მერე ბესარიონი ცოლ-შვილსა და ნათესავ-მეგობრებს ემშვიდობება; სოფიო ცრემლს მაღავს, გაღიმებული შესცეკერის თვალებში — ქმარი მაინც კითხულობს მიჩქმალულ ნაღველს — ვინ იცის...

— ვინ იცის... პასუხობს ბესარიონის აფორიაქებული გულიც და ორი მეგობარი გულდამძიმებული სცილდება ერთურთას.

„სირცხვილს მაინც არ ვჭამ, — ფიქრობს ბესარიონი, — ან გამარჯვებული ჩავალწევ ქუთაისში, ან სახელოვნად დავიღუპები...“

თვითმფრინავმა ქურსი დასავლეთისაკენ აიღო. აპარატი 800 მეტრის სიმაღლეზე მიფრინავს. გადაუქროლა მცხეთას, გორს, ქარელს. ვიდრე სურამის უღელტეხილს მიაღწევდა, ერთ საათზე მეტმა ღრომი განვალო. უღელტეხილზე გადასვლისას ქებურიამ უკვე ორიათას მეტრამდე სიმაღლე აიღო.

მაღლიდან ამაყად გაღმომზირალ ბესარიონს შორეულ  
ბავშვობა გაახსენდა — მშობლისური ოდა, უზრმაზარზე კულტურის  
ხე და ნანასაფით მოღულუნე დედის ტკბილქართული: „ხალი-  
ჩა ნელა ავიდა მაღლა და ჰაერში გასრიალდა...“

აეროპლანი მშვიდობიანად უახლოვდება ქუთაისის სანა-  
ხებს. ქალაქის მთელი მოსახლეობა გამოფენილა მოედანზე.  
გუბერნატორი სლავოჩინსკი და ვიცე-გუბერნატორი მაკა-  
როვიც აქ არიან. აეროპლანმა დინჯად შემოუარა მოედანს და  
მერე ნელ-ნელა იწყო დაშვება. აპარატი მიწაზე გასრიალდა...  
მეტი აღარაფერი ახსოვს მფრინავს.

შემდგომში ასე იგონებდა ამ ამბავს: „ქუთაისის მიახლოვე-  
ბისთანავე დავრწმუნდი, რომ უკვე გავიმარჯვე, მოედანზე  
მშვიდად დავეშვი და კაბინიდან გაღმოვედი. მერე კი თითქმის  
აღარაფერი მახსოვს, მხოლოდ კეთილმოწყობილ სასტუმრო  
ოთახში გამომეღვიძა. როგორც შემდეგ გაღმომცეს, ამდენ  
წითათგამოვლილი, კინაღამ ქუთათურების „მსხვერპლი“ გავ-  
მდარევა“. აღურთოვანებულ ხალხს იგი ხელში აუტაცნია  
და კინაღამ გაუგუდავს.

სასტუმროში მცირე ხნის შესვენების შემდეგ ქუთათუ-  
რებმა ბესარიონს საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს. მიტინგზე  
ქალაქის ხელისუფლებმა სლავოჩინსკიმ და მაკაროვმა გული-  
თადად მიულოცეს მფრინავს ამ შორეული რეისის წარმატე-  
ბით განხორციელება.

ქართველი ავიატორის ბრწყინვალე რეისი სურამის უღელ-  
ტეხილის გადალახვით შეტანილი იქნა მოსკოვისა და პე-  
ტერბურგის აეროკლუბის ისტორიაში, ხოლო გაზეთებმა  
ბ. ქებურის „ქართველი ბლერიო“ უწოდეს.

ზემოაღნიშნული გაფრენა თავისი მნიშვნელობით შეიძ-  
ლება შევაღაროთ 1910 წელს იტალიელი მფრინავების გა-  
დაფრენას შვეიცარიიდან იტალიამდე (სიმპლონსკის უღელ-  
ტეხილის გავლით). სიმპლონსკის უღელტეხილის სიმაღლე  
2000 მეტრს აღწევდა. გადაფრენაში მონაწილეობდნენ იმ  
ღრიაის სახელგანთქმული მფრინავები — ლატამი, ლეგანი,  
ობრენი, ვეიმანი, პარიზიკუატენო და შავე. საინტერესო იყო  
შეჯიბრის პირობებიც: ვინც პირველი ჩააღწევდა მიღანამდე,

70 ათასი ფრანგით დაჭილდოვდებოდა. მილანამდე მხოლოდ შავემ მიაღწია და ისიც დიდი გაჭირვებით. დაშვებისას გაუტყდა მართვის საჭე და 20 მეტრის სიმაღლიდან ჩამოვარდა. მამაც მფრინავს, რომელმაც მსოფლიოში პირველმა შეძლო ამაყი ალპების დამორჩილება, ეს გამარჯვება სიცოცხლის ფასად დაუჭდა.

ქუთაისში მცირე ხნის შესვენების შემდეგ ბესარიონმა კურსი ხონისაკენ აიღო. ხონიდან სამტრედიას ეწვია, სამტრედიიდან ახალი სენაკი მოინახულა, ხოლო შემდეგ ფოთის საზოგადოება გაახარა კვლავ სტუმრობით. მერე სოხუმშიც გამართა „თვალის საამო და განსაცვიფრებელი“ სანახობა და. ვინ მოთვლის, კიდევ საქართველოს ცის რომელი კუთხე, რომელი მხარე არ გადასერა. უნდა აღინიშნოს, რომ ხალხის დახმარებასა და მატერიალურ მხარდაჭერას მოკლებული ავიატორი თავისი შემოსავლის უმეტეს ნაწილს ღარიბ და უპატრონო ბავშვთა დასახმარებლად ჩარიცხავდა ხოლმე.

ბ. ქებურია კვლავ მომავლის გეგმებს ადგენდა და ახალ-ახალ წარმატებებზე ოცნებობდა, მაგრამ პირველი იმპერიალისტური ომის სუსტმა მის აუცნებას ფრთები შეაკვეცა.

ერთ დღეს ბ. ქებურია ობილისის ერთ-ერთ სამხედრო ნაწილში გამოიძახეს. რა გაეწყობოდა, მრავალი თანამოძმის მსგავსად მასაც იარაღით ხელში უნდა დაეცვა. მეფის რუსეთის სახელი.

იმ დროს ბათუმში ჯარის ნაწილები იღგა. ქებურია ობილისიდან ბათუმში გაგზავნეს და დანიშნეს თურქეთის ფრონტზე მყოფი რუსეთის სამხედრო საავიაციო ნაწილების ტექნიკური სამსახურის უფროსად. ამ თანამდებობაზე საჭირო იყო ავიაციის დარღვი თითქმის ყველაფრის მცოდნე ადამიანი და თვითონაც მფრინავი. აი, სწორედ აშიტომ დაევალა ბ. ქებურიას, ნიჭიერ ავიატორსა და დიდი გაქანების აღამიანს, ასეთი საპატიო და დიდად საპასუხისმგებლო საქმე.

ბ. ქებურიამ დიდი დახმარება გაუწია ფრონტის საავიაციო შტაბს, რითაც შტაბის სარდლობის მაღლობა დაიმსახურა.

ფრონტი ხშირად მრავალგვარი საკვირველი თავგადასავლებით არის სავსე. ერთხელ ბესარიონი ის-ის იყო ფრონტიდან დაბრუნდა, უფროსს დავალების შესრულების პატაკი ჩა-

აბარა და კარვისაცენ გაემართა, რომ გზად სამხედრო ტანსაც-  
მელში გამოწყობილი ბრგე გაუკაცი გადაუდგა.

— ბესარიონ საველის ძეგ! ჩემო მეგობარო! ნუთუ ველარ-  
მიცანი? — უცნობი ბესარიონს გადაეხვია და მკერდში მაგ-  
რად ჩაიკრა.

თუმცა ბესარიონმა კარგად შეხეღვაც ვერ მოასწრო, ხმა-  
ზე იცნო, ვინც იყო.

— საიდან, როგორ? — ესლა წაილაპარაკა და თვითონაც  
მეგობრულად გადაჭკოცნა დიდი ხნის უნახავი აღამიანი. დიახ!  
სწორედ ის იყო, მისი „მტერ-მოყვარე“ — პარიზის აერო-  
სკოლის მსმენელი, სახელგანოქმული რუსი მფრინავი ა. ა. ვა-  
სილიევი. ისიც არმიაში გაეწვიათ და რუსეთის ავიანაწილე-  
ბის სამხედრო ინსპექტორად დაენიშნათ. ამჯერად კი ავიატო-  
რი საბრძოლო ოპერაციის ჩასატარებლად კავკასიის ფრონტ-  
ზე გაღმოესროლათ.

ერთ თვეს დაჰყო ვასილიევმა თურქეთის ფრონტზე, ავია-  
ნაწილების საბრძოლო შემადგენლობა დაათვალიერა და ერთ-  
ერთ საბრძოლო საღაზვერვო გაფრენაშიც მიიღო მონაწილე-  
ობა. შემდეგ მეგობრები დიდი გულისტკივილით გამოეთხოვ-  
ნენ ერთმანეთს და რუსი ავიატორი კვლავ პეტერბურგს დაბ-  
რუნდა.

ახლა კი დროებით გვერდი ავუხვიოთ ჩვენი გმირის ცხოვ-  
რებას და რამდენიმე სიტყვით გადმოვცეთ ომის ბედუქულ-  
მართობის მიერ გაჩანავებული ერთი ქართველი მამულიშვი-  
ლის ოჯახის ტრაგედია.

პირველ მსოფლიო ომში ძალაუნებურად ბევრ ქართველს  
მოუხდა მონაწილეობა. ქართველ მამულიშვილთა უებრო სი-  
მამაცემ აქაც იჩინა თავი, მათ ბევრი საგმირო ფურცელი ჩაწე-  
რეს ამ ბრძოლების ისტორიაში. მათ შორის მოიხსენიება ბა-  
თუმის მკვიდრის, პორუჩიკ სამსონ აბაშიძის სახელიც. მისმა  
ოცეულმა ბევრჯერ აგემა მტრის ჭარს მწარე დამარცხება,  
ბევრჯერ უკუაქცია ქართული მიწა-წყლის აწიოკების მო-  
სურნე. თვით სამსონი გულადი, შეუპოვარი ვაუკაცი, მუღამ  
ფათერაკების ძიებაში იყო. ბედად თავგანწირულებაც უმართ-

ლებდა და მტრის ნაწილებთან შეტაკებისას ყოველთვის უნდა ნებელი ჩემი რჩებოდა. ამიტომ თუ იყო, რომ თურქებმა გას უთავოდნა ზეხელაღებული გურჯი“ შეარქვეს. ერთხელ, მტრის განლაგების გამოსარკვევად აბაშიძეს მოენეს აყვანა დაავალეს. სამ დღეს ნადირობდა აბაშიძის ოცეული მოენეზე, მაგრამ ვერა და ვერ მოახერხეს საბრძოლო დავალების შესრულება. მათ მიერ წინასწარ შემუშავებული, ღაწყობილი გეგმები რატომიღაც სასურველ მიზანს ვერ აღწევდა. მუდმივი წარმატებებით განებივრებულ პორუჩიკს მოსვენება დაეკარგა: ნუთუ მართლა შეუძლებელია სარდლობის დავალების შესრულება? ნუთუ მრავალნაცად მებრძოლს ახლა უნდა ჩაუვარდეს კოვზი ნაცარში!?

ერთ კუნაპეტ ღამეს, როდესაც ნაწილი შფოთისაგან ღროებით ისვენებდა, სამსონ აბაშიძემ ორი თანამებრძოლის თანხლებით უჩიმრად დატოვა ბანაკი. ისინი ფრთხილად, უხმაუროდ მიიწევდნენ წინ. მეთაურმა ჯარისკაცები მტრის ღრმაზურგში შეიყვანა — ან ახლა უნდა შესრულდეს დავალება, ან ჩავვარდებით და ის იქნება, — გაიფიქრა სამსონშა და თურქთა სანგარში ისკუპა. წუთიც და ძილის ბურანში მყოფ ორ თურქს მოხერხებულად ჩასჩარეს პირში ცხვირსახოცები, მერე ხელები გაუთოვეს და სანგარიდან ამოათრიეს. ამასობაში დანარჩენებსაც გამოეღვიძათ. ატყდა ერთი ყვირილი და აურჩაური. როდესაც გონს მოვიდნენ და სროლა გააჩალეს, მომხდურები უკვე შორს იყვნენ. ამჯერადაც შეუპოვრობა და თავგანწირული სიმამაცე დაეხმარა ქართველ ჯარისკაცს. პირნათლად შეესრულებინა საბრძოლო დავალება.

სამსონმა კარგად იცოდა თურქული ენა, ამიტომ ხშირად აგზავნიდნენ მტრის ზურგის დასაზვერად, მეტად ოსტატურად, წარმატებით აგვირგვინებდა ყოველ ოპერაციას. თურქების საღაზვერვო ორგანოები, კარგად იცნობდნენ აბაშიძეს, მაგრამ ვერავითარი ხერხით ვერ მოახერხეს ხელში ჩაეგდოთ „თავზეხელაღებული გურჯი“. მაგრამ ის, რაც იარაღითა და სანგრძლივი მეცადინეობით ვერ შეძლეს, ყვითელი ლითონის ბრჭყვისალმა მოახერხებინა მტერს.

მამაც მზვერავს სამსონ აბაშიძეს. სარდლობამ კაპიტნის  
ნ. ვ. როდონაია

ჭინი მიანიჭა. ოჯახს მონატრებულმა მეომარმა რამდენიმე დღით თავისუფლება გამოითხოვა, ბათუმში ჩავიდა და ჭუკანი დაბრუნებისას მეუღლე და 6 წლის ბიჭუნა წაიყვანა თან. ფრონტიდან რამდენიმე კილომეტრის მოშორებით იყო მათი ბინა და ამიტომ სამსონს შიში არ ჰქონდა, რომ მისი ცოლ-შვილი რაიმე საფრთხეში ჩავარდებოდა.

ერთ სალამოს მტრის ზურგიდან ახლად დაბრუნებული კაპიტანი თავის ბინაში ბიჭს ეთამაშებოდა, როდესაც რუსულ მუნდირში ჩაცმულმა ორმა უცნობმა ოფიცერმა მიუკავუნა კარს. სამსონმა სტუმრები შინ შეიწვია, მოსვლის მიზეზი ჰკითხა. უცნობმა მოახსენეს, რომ ისინი სარდლობის დავალებით მასთან თურქების მოწინავე ჯარის განლაგების გასაგებად იყვნენ გამოგზავნილები. აბაშიძემ საეჭვოდ მიიჩნია მათი განმარტება, მაგრამ ვიღრე რაიმეს მოისაზრებდა, ოფიცერმა დაასწრეს, რევოლვერის ორი გასროლით სიცოცხლეს გამოასალმეს სამსონ აბაშიძე და მისი მეუღლე, ხოლო ყმაწვილს ხელ-ფეხი შეუკრეს, პირში ჩვარი ჩასჩარეს და ბავშვიანად სასწრაფოდ მიიმაღნენ.

აბაშიძეების ოჯახის ტრაგედია მეორე დილამდე არავის გაუგია. მეორე დღეს კი მთელი ნაწილი გაემართა მკვლელების კვალის საძებნელად, მაგრამ ყველა ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა. ასე დაიღუპა სახელოვანი მამულიშვილი მტრის მიერ მოსყიდული ჯაშუშების მიერ. ვერაფერი შეიტყვეს მისი მემკვიდრის შესახებაც.

ავიატორი ბესარიონ ქებურია ისევ ფრონტზე იმყოფებოდა და წარმატებით ასრულებდა საბრძოლო დავალებებს. ერთ-ერთი მორიგი ოპერაციის დროს ქებურიას მტრისაგან განთავისუფლებულ ტერიტორიაზე თვითმფრინავების დასაჭდომი მინდვრის შერჩევა დაევალა. ქებურია ფრონტის ხაზისაკენ გაემართა. გზაში ერთ-ერთ პოლკს გადააწყდა, რომელიც მტრისაგან გაწმენდილ მინდორზე ისვენებდა. პოლკის მეთაურთან ერთად ბესარიონმა აეროდრომისათვის სასურველი მინდორი გამონახა.

დღის 12 საათი იყო. ნაომარ-ნაჭრილობევ მიწას მზე თავის ცხოველმყოფელ სხივებს აფრქვევდა. ქებურია კარავში ისვენებდა. უცებ განგაში ატყდა და მტრის ჯარის ნაწილებიც

გამოჩნდა. პოლკი ხელჩართულ ბრძოლაში ჩაება და რუსული  
ხიშტის „სიტკბოება“ აგება თურქებს. ბრძოლის ცეცხლით ან გადა-  
თებული ქებურიაც ეჭვეთა მოწინააღმდეგეს და ყველას და-  
უშტკიცა, რომ ცის შევარდენს მიწაზედაც არანაკლები სიძა-  
მაცის უნარი შესწევს. ამასობაში თურქები მჭიდროდ და-  
სახლებულ პუნქტში გამაგრდნენ და თავს იცავდნენ. ბრძოლა  
სამ საათს გაგრძელდა. საბოლოოდ დამარცხებული მტერი  
დიდი ზარალის შემდეგ დანებდა მოწინააღმდეგეს. რუსი და  
ქართველი მებრძოლები თურქთა შეერ მიტოვებული ბინების  
„გაშმენდას“ შეუდგნენ. ერთ-ერთი სახლის დათვალიერებისას  
მეზობელი ოთახიდან ბესარიონს ბავშვის გაბმული ტირილი  
შემოესმა. მან იარაღი მოიმარჯვა და რუსი ოფიცირების თანხ-  
ლებით ოთახის კარი ფრთხილად შეაღო. საოცარი სურათი  
წარმოუდგათ თვალწინ: ტირილისაგან დაოსებული შავთვა-  
ლება, თმახუჭუჭა ბიჭი საწოლში წამომჯდარიყო. ოთახის კე-  
დელს აკრული თურქი ქალი კი შიშისაგან კანკალებდა. ვინა-  
იდან ოფიცირებმა თურქული არ იცოდნენ, ქალს ვერაფერი  
გააგებინეს. ის იყო გამობრუნებას აპირებდნენ, რომ ბავშვმა  
კიდევ უფრო უმატა ტირილს და მათდა მოულოდნელად  
ქართულად წამოიყვირა: „წამიყვანეთ ჩემს დედიკოსთან, წა-  
მიყვანეთ“. ბესარიონი ყურებს არ უჯერებდა. მანამდე ეგონა  
ბიჭი თურქი ქალისაა, შეშინდა და ასე გულამოსკვნით იმი-  
ტომ ტირისო. ახლა კი, როდესაც გულამომჯდარი ყმაწვილი  
ქართულად ალაპარაკდა, მან გაოცებული, მრისხანებისაგან  
ანთებული თვალები თურქ ქალს მიაპყრო. ერთ-ერთი ოფი-  
ცერი თარჯიმნის მოსაყვანად გაიქცა. თარჯიმანს ქალმა უთ-  
ხრა, რომ ბავშვი ორიოდე თვის უკან ორმა, რუსმა და თურქმა,  
ოფიცერმა მომიყვანაო. თურმე მათ ფული მისცეს ქალს და  
დაუბარეს, ყმაწვილს თვალისხინივით გაფრთხილებოდა. უკან  
დახევისას კი ბიჭუნას წაყვანა ვეღარ მოასწრეს.

ბესარიონი გუმანით მიხვდა, რომ ეს ბუთხუზა ბიჭი  
სამსონ აბაშიძის უგზო-უკვლოდ დაყარგული შვილი უნდა ყო-  
ფილიყო. ის იყო გამოსკლას აპირებდა, რათა პოლკის უფრო-  
სისათვის ამ შემთხვევის თაობაზე მოეხსენებინა, რომ ამ  
დროს ბიჭუნა საწოლიდან ჩამოსრიალდა, ტანსაცმელზე ჩა-  
ებლაუჭა და კიდევ უფრო გულამოსკვნით ატირდა.



— მამა, მამიკო! არ დამტოვო აქ, წამიუვანე, შენ წერე  
მიყვანე!

ბესარიონმა უმალ ხელში აიტაცა ნახევრად შიშველი ბავ-  
შვი, გულში სიყვარულით ჩაიკრა და თავისი ნაწილისაკენ  
გაუშურა, მალე ყველამ შეიტყო სამსონ აბაშიძის დაკარგული  
ვაჟიშვილის პოვნის ამბავი. როგორც კი ბიჭუნამ დაისვენა და  
გონს მოვიდა, მაშინვე აღადგინა იმღამინდელი საშინელი სუ-  
რათი, მაგრამ მოგონება შიშსა ჰვერიდა და მებრძოლებიც  
ყოველმხრივ ცდილობდნენ ყმაწვილს ამაზე აღარ ეფიქრა.

ბესარიონმა რამდენიმე დღე დასვენა ბავშვი. — დააბუ-  
რა, მოუარა, მერე კი, როცა დრო იხელთა, მანქანით ბათუმში  
ჩაიყვანა და თავის ცოლს, სოფიოს მიბევარა.

— აი, ჩემო სოფიურ, რა კარგი, ბუთხუზა ბიჭი მოგიყვანე!  
მეოთხე შვილად ჩათვალე, აბა შენ იცი და შენმა ქალობამ.

სოფიო გაოცებული შეაცქერდა მეუღლეს, ვერ გაეგო,  
რას ნიშნავდა მისი სიტყვები. მათ ხომ სამი ვაჟიშვილი ჰყავ-  
დათ, მეოთხე რაღად უნდოდათ?

— რა უცნაური ხარ, ბესარიონ! რას არ მოიფიქრებ ხოლ-  
მე, გოგონა მაინც მოგეყვანა.

მაშინ ბესარიონი დაწვრილებით მოუყვა მეუღლეს ბიჭის  
ამბავს, აუხსნა, რომ ყმაწვილი თურქების ვერაგული შურის-  
ძიების მსხვერპლის სამსონ აბაშიძის შვილი იყო და ბავშვს  
მათ მეტი პატრონი არ გააჩნდა.

. სოფიოს გული აუჩუყდა, თვალზე , მომდგარი ცრემლი  
მოიწმინდა და შავთვალა ბიჭუნა მკერდზე მიიკრა:

— მოდი, შვილო! ნუ ტირი, ნუ, სოფიო გენაცვალოს!.. ამი-  
ერიდან ჩემს ვაჟებში არ გამოგარჩევ, ჩემი მეოთხე ბიჭი იქ-  
ნები!

ბესარიონი კი იღიმებოდა და დაუფარავი სიამაყით უმ-  
ზერდა მეუღლეს. სოფიო მზრუნველობას არ აქლებდა პატა-  
რა ელიზბარს, ვართლაც რომ საკუთარ შვილებზე მეტად ანე-  
ბივრებდა და უფრთხილდებოდა. ელიზბარიც შეეჩვია ახალ  
მშობლებს, მკვირცხლი და ჭიკვიანი ბიჭუნა მთელმა ოჯახმა  
შეიყვარა და შეიტყბო. დრომ და ახლობლების ალერსმა ბიჭს  
გადაავიწყა წარსულის ტკივილი. დრო მიდიოდა. იმპერია-  
ლისტური ომი დასასრულს უახლოვდებოდა. ქებურია ისევ

რუსეთის სამსახურში იყო. მის ორ ჯილდოს ჭიდევ ერთი ცალი გამოიტანა.

მაგრამ არ, დამთავრდა პირველი მსოფლიო ომი. ხალხი გამოფხიზლდა, დაიჩამა, აღსდგა ძირმომპალი წყობილების წინააღმდეგ საბრძოლველად. მალე კრემსერ „ავრორას“ ქუნილმა მსოფლიოს ამცნო ახალი ერის დასაწყისი რუსეთის ცხოვრებაში.

რუსეთი მოისაგან მიყენებულ მძიმე ჭრილობებს იშუშებდა, ბოლშევიკური პარტია დიდი ლენინის მეთაურობით ხალხის კეთილდღეობისათვის იღვწოდა.

ქართველი ავიატორი დიდი ალფროთოვანებითა და იმედებით შეეგება ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას — მადლობა ღმერთს, ახლა მაინც გველირსება სამამულო ავიაციის განვითარების სწორ გზაზე დაყენებათ. მაგრამ ოცნება ნააღრევი გამოდგა. საქართველოში ფეხმოკიდებულ დროებით, მენშევიკურ მთავრობას ავიაციისათვის არა სცხელოდა. ქებურია არა ერთი წინადადებით წარუდგა მენშევიკური მთავრობის წარმომადგენლებს, მაგრამ მენშევიკურ მთავრობას ავიაციაზე ფიქრისათვის სად ეცალა? ვაის გავეყარე, ვუის შევეყარეო, ითიქრა იმედგადაწყვეტილმა ბესარიონმა, ყველაფერზე ხელი ჩაიქნია და 1919 წლის ოქტომბერში ოჯახით თბილისიდან თავის მშობლიურ სოფელ ჩხოროწყუში გადასახლდა.

სოფლის მშვიდმა და უწყინარმა ცხოვრებამ ბესარიონს სიცოცხლისა და შრომის ხალისი დაუბრუნა. მან ხელი მიჰყო ავიაციის თეორიული საკითხების დამუშავებას, თავისუფალ დროს კი ვაჟიშვილებთან ერთად თავის ბაღ-ვენას უვლიდა.

ასე გადიოდა დღეები. ბესარიონი ხან თბილისში იყო, ხან ბათუმში. მაგრამ სადაც არ უნდა ყოფილიყო, არ ასვენებდა ფიქრი და ოცნება ახალი ქართული სამგზავრო თვითმფრინავის აგებაზე.

მალე საქართველოშიც დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. ბესარიონს კვლავ იმედი ჩაესახა. 1922 წლის დასაწყისში მან დატოვა სოფელი და კვლავ გადმოვიდა ქალაქში საცხოვრებლად. თბილისი სულ გამოცვლილი ჩანდა — ყველგან განახ-

ლების, ძიების, შენების რიტმი იგრძნობოდა. მეგობართამხადა  
ჩაგდება ტკბილად მიიღეს განდგომილი ავიატორი, დაზიანებული  
ბასა და მხარდაჭერას შეჰქირდნენ.

ბოლშევიკურმა მთავრობამ ქვეყნის ეკონომიურ-სამეცნი-  
ნეო აღმავლობის განმტკიცების სამუშაოებთან ერთად ავი-  
აციის განვითარების საქმესაც სათანადო ყურადღება მიაქცია.

1921 წლის დამდეგს ლენინის მითითებით შეიქმნა საავია-  
ციო მრეწველობისა და საპარაზო ნაოსნობის განვითარების-  
პროგრამის შემმუშავებელი სპეციალური კომისია. 1923 წლის  
9 თებერვალს კი დაწესდა „სამოქალაქო ავიაციის საბჭო“. იგი  
ცოტა მოგვიანებით სამოქალაქო-საპარაზო ფლოტის მთავარ-  
სამმართველოდ გადაეკეთდა.

ბესარიონი იმ დროისათვის უკვე ხანდაზმული კაცი იყო,  
მაგრამ ძველებურად შეუპოვარი და დაუცხრომელი, ჩვლავ-  
თავდადებით ემსახურებოდა საყვარელ საქმეს.

იმ ხანებში კავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში საპა-  
რაზო ფლოტის არც ერთი საზოგადოება არ არსებობდა. ამ დი-  
დი და ფრიად მნიშვნელოვანი საკითხის მოგვარება თავს იდო  
ჩვენმა სახელოვანმა ავიატორმა და სათანადო წინადადება  
წამოაყენა ამიერკავკასიისა და საქართველოს მთავრობათა წი-  
ნაშე. მათი დასტურის შემდეგ ბ. ქებურია მოსკოვს, სამოქა-  
ლაქო ავიაციის საბჭოში მიემგზავრება. ორგორც შემდგომში  
იგონებდა, ამ საქმის მოგვარებაში ფასდაუდებელი სამსახური  
გაუწიეს სერგო ორგონიკიძემ, ვანო სტახოვმა-

სამოქალაქო ავიაციის საბჭომ მიზანშეწონილად ჩათვალი  
დაექმაყოფილებინა ამიერკავკასიისა და საქართველოს მთავ-  
რობის მოთხოვნა და 1923 წელს საქართველოშიც ჩამოყა-  
ლიბდა „საპარაზო ფლოტის მეგობართა საზოგადოება“. ამ სა-  
ზოგადოების ხელმძღვანელად არჩეული იქნა ბესარიონ ქებუ-  
რია. იგი იყო ამ საზოგადოების არა მარტო დამაარსებელი,  
არამედ სულის ჩამდგმელიც. მისი თაოსნობით რესპუბლიკის-  
რაიონებსა და სოფლებში შექმნეს საპარაზო ფლოტის უჯრე-  
დები, ამ უკანასკნელთა ძალებით კი ჩამოყალიბდა ავიამოდე-  
ლისტთა და ავიამოყვარულთა წრეები. ისინი საპარაზო ტრანს-  
პორტის ორგანიზაციის ფართო პროცეგანდას ეწეოდნენ.

საქმის წარმატებას აბრკოლებდა არასაკმაო საპარაზო გზე-

ბი საქართველოში. საბჭოთა კავშირის სამოქალაქო ფლოტის  
პირველი ტრასა გაიხსნა 1923 წლის აპრილში. მგზავრებრ  
თვითმფრინავით მოსკოვიდან ნიუნი-ნოვგოროდის (ამჟამად  
გორკი) ბაზრობაზე ჩავიდნენ, მანქანას მართვდა ყოფილი სამ-  
ხედრო მფრინავი იაკობ ნიკოლოზის ძე მოსეევი. აი, რას  
მოგვითხრობს იგი ამ ფრენაზე: „მე და ჩემი ამხანაგი პ. ლო-  
ბოვსკი 1923 წელს სამხედრო ფლოტიდან სამოქალაქოში გა-  
დმოგვიყვანეს, სადაც კარგად შეგვასწავლეს სამგზავრო-სატ-  
ვირთო თვითმფრინავების მართვა. მე პირველს მხვდა წილად  
მოსკოვიდან ვოლგის ნაპირამდე მეფრინა. მოსკოვის ცენტრა-  
ლურ აეროდრომზე ათასობით კაცმა მოიყარა თავი, მგზავ-  
რები თუმცა ძლიერ ღელავდნენ, მაგრამ გაბედულად ადიოდ-  
ნენ თვითმფრინავში — თავი გმირებად მიაჩნდათ, რომ ასე-  
თი საოცარი მანქანით ბედავდნენ ფრენას“. მოისეევი მშვი-  
დობინად ჩატრინდა ნიუნი-ნოვგოროდში, სადაც მცხოვრე-  
ბლებმა გულთბბილი შეხვედრა მოუწყვეს. 408 კილომეტრი  
თვითმფრინავმა რამდენიმე საათში დაფარა. „ორიენტაციისა-  
თვის, — გადმოგვცემს მოისეევი, — ვიყენებდი სარკინიგზო  
ხაზს. მაშინ არ იყო არც რაღიოკავშირი და არც მეტეომომ-  
სახურება. ამ ხაზზე ორჯერ ვიფრინე“.

ი. მოისეევი შემდეგ მფრინავ გამომცდელად მუშაობდა.  
მისი სახელი საბჭოთა ავიაციის ისტორიაში ჩაიწერა, როგორც  
სამოქალაქო საპარავო ფლოტის პირველი მფრინავისა და ახა-  
ლი მანქანების საუკეთესო გამომცდელისა. იგი ამჟამადაც  
ცოცხალია, პენსიაზეა და თავისი გამოცდილების შესახებ  
წერს წიგნს, რომელშიც დაწვრილებით იქნება აღწერილი რუ-  
სი ავიატორის მღიდარი, მრავალი წლის საავიაციო გამოც-  
დილება.

შაგრამ აი, საავიაციო საქმე ხალხის სამსახურში ჩადგა და  
საპარავო მიმოსვლა მგზავრთა გადაყვანის ერთ-ერთ პროგრე-  
სულ საშუალებად იქცა. ბ. ქებურიას მთელი ცდა ახლა იქითქენ  
იყო მიმართული, რომ თვითმფრინავი ამიერკავკასიაშიც სა-  
პარავო ტრანსპორტის საშუალებად ექციათ. ეს მეტად რთული  
საქმე იყო, მაგრამ ბესარიონი ჩვეული შემართებით შეეჭიდა  
და მალე სასურველ შედეგსაც მიაღწია. 1923 წლის დასასრულს  
ქებურიას უშუალო ხელმძღვანელობით გაიხსნა საპარავო ტრა-

სა თბილისი-ბაქო, თბილისი-სოხუმი, მოსკოვი-თბილისი, ხოლო ცოტა მოგვიანებით თბილისი-ქუთაისი-ბათუმი.

1923 წელს შეიქმნა უკრაინის სააქციონერო საპარაზო მიმოსვლის საზოგადოება „უკრვოზდუხბჰტის“ სახელშოდებით. 1925 წელს ქართველმა ავიატორმა ამ საზოგადოებას წარუდგინა თავისი წინადაღებანი და მოსაზრებანი ამიერკავკასიაში საპარაზო მიმოსვლის საკითხებზე. „უკრვოზდუხბჰტის“ ხელმძღვანელობამ ეს მოსაზრებანი დიდი კმაყოფილებით მიიღო და ქებურია თავის წარმომადგენლად აირჩია კავკასიაში „ზაგვიას“ და „უკრვოზდუხბჰტის“ გაერთიანების შემდეგ.

ძლივს!.. დადგა სასურველი, წლების მანძილზე ნანატრი ჰანა. ქებურიას დამამცირებელი თხოვნა, ხვეწნა-მუდარა და განუწყვეტელი ბრძოლა აღარ უხდებოდა, ახლა თვით მთავრობასა და ხელისუფლებას სურდა საპარაზო ხაზების განშირება. ამიტომ ქართველი ავიატორის თვითეულ წამოწყებას და ინიციატივას კეთილი ნიადაგი ხვდებოდა. ქებურიამ გადაუდებელ ამოცანად დაისახა შავი ზღვის ქალაქებზე გავლით მოსკოვ-თბილისის დაკავშირება და მოსკოვ-ბაქოს გზის გახსნა თბილისზე გავლით. მან ამ საკითხზე ოფიციალური შუამდგომლობით მიმართა სამოქალაქო ავიაციის კავშირს. იგი წერდა: „საპარაზო ხაზის გაყვანა მოსკოვ-თბილის შორის უმოკლესი მანძილით — კავკასიის მთავარ ქედზე გავლით, სავსებით მიზანშეწონილია. „უკრვოზდუხბჰტი“ ჯერ კიდევ გასულ წელს შეუდგა აღნიშნული ადგილების გეოგრაფიული მდებარეობისა და მეტეოროლოგიური პირობების შესწავლას, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ხაზის გახსნა თანამედროვე პირობებში შეუძლებელია. საზღვარგარეთული მრავალძრავიანი თვითმფრინავები კი საკმაო რაოდენობით არ გაგვაჩნია. ქედზე ჩამოწოლილი გამუდმებული ნისლი ჩვენს თვითმფრინავებს ფრენის საშუალებას არ მისცემს.

ამიტომ პირდაპირი ხაზის დამყარება თბილის-მოსკოვს შორის ჯერჯერობით შეუძლებელია. მიუხედავად ამისა, შესაძლებელია საპარაზო ტრასის გაყვანა მოსკოვი-თბილისი-ბაქოს მიმართულებით კრასნოდარზე გავლით და სოჭი-გაგრა-სოხუმი-ქუთაისის გზით, რაც შეთანხმებულია საქართველოსა და ამიერკავკასიის მთავრობასთან. მე, როგორც



„უკრვოზდუხბუტის“ წარმომადგენელი, ვთხოვ სამოქალაქო  
ავიაციის კავშირს ნება დართოს „უკრვოზდუხბუტის“, საპარავო  
ხაზი გახსნას შავი ზღვის ქალაქების გავლით. გთხოვთ ჩვენი  
შუამდგომლობა განიხილოთ სამოქალაქო ავიაციის პირველ-  
სავე სხდომაზე, რათა დროულად შევუდგეთ აღნიშნული ხა-  
ზის ორგანიზაციას“.

საპარავო ძალების მთავარმა სამმართველომ მიიღო მხედ-  
ველობაში ზოგიერთი სიძნელე, რომლის გადალახვაც მოუხ-  
დებოდა ერთძრავიან თვითმფრინავს და საპარავო ხაზის შე-  
სასწავლად მოსკოვიდან მოავლინა საგანგებო კომისია. მის  
შემადგენლობაში იყვნენ სამოქალაქო ავიაციის მთავარი ინს-  
პექტორი ზარზარი, უფროსი ინსპექტორი პოპოვი, „უკრვო-  
ზდუხბუტის“ წარმომადგენელი კასიანკო, საპარავო ხაზის უფ-  
როსი ტოპე და ქებურია — როგორც „უკრვოზდუხბუტის“  
ამიერკავკასიის წარმომადგენელი.

საბოლოოდ კომისია იმ დასკვნამდე მივიღა, რომ აღნიშ-  
ნული საპარავო ხაზის გახსნა სავსებით მიზანშეწონილი და  
აუცილებელი იყო. ეს ხაზი მოსკოვს მთელი წლის განმავლო-  
ბაში დააკავშირებდა ამიერკავკასიასთან და შავი ზღვის კუ-  
რორტებთან.

ამიერკავკასიასა და უკრაინაში არც ერთი აეროდრომის  
მშენებლობა არ დაწყებულა ქართველი ავიატორის მონაწი-  
ლეობის გარეშე. განსაკუთრებით დიდი სამუშაოები ჩაატარა  
მან აზერბაიჯანში. მისი უშუალო ხელმძღვანელობით აზერ-  
ბაიჯანის რესპუბლიკის ქალაქებში რამდენიმე აეროდრომი  
აშენდა.

სამამულო ავიაციასთან დაკავშირებული თეორიული და  
პრაქტიკული საკითხების გადასაწყვეტად ქებურიას 1927—1930  
წლებში სისტემატურად იძახებდნენ მოსკოვსა და ხარკოვის  
სააკციონერო საპარავო მიმოსვლის საზოგადოებაში. 1928  
წელს ქ. ხარკოვში „უკრვოზდუხბუტის“ სამმართველოში მო-  
ისმინდეს ქებურიას მოხსენება „ამიერკავკასიაში საპარავო მი-  
მოსვლის მდგომარეობისა და „უკრვოზდუხბუტის“ საქმიანო-  
ბაზე, სადაც მან პრაქტიკულად დააყენა ახალი საპარავო ხა-  
ზის გახსნის აუცილებლობის საკითხი. იგი არა მარტო სა-  
კითხს სვამდა და მოითხოვდა მის განხორციელებას, არამედ

თვით უჩვენებდა საქმის პრაქტიკულად გადასაჭრელად საჭირო გზებსა და საშუალებებს.

ქართველი ავიატორის დაუცხრომელი შრომის შედეგად 1929 წლის თებერვალში საპარაზო ხაზი გაიხსნა მოსკოვ-ბაქოს შორის სოჭის, სოხუმის, ქუთაისისა და თბილისის გავლით. მისივე ხელმძღვანელობით „უჭრვოზღუსპუტის“ სამმართველომ ახალი საპარაზო გზა გახსნა: მოსკოვი-ორიოლი-თარკოვი-როსტოვი-არმავირი-პიატიგორსკი-ვლადიკავკაზი, მახაჩკალა-ბეჭლევი-თეირანი.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოში ჰაერნაოსნობისა და სამოქალაქო ავიაციის განვითარებას დიდი ამაგი დასდო მფრინავმა მიხეილ სერგის ძე მაჭავარიანმა. მან 1913 წელს დაამთავრა პეტერბურგის საავიაციო განყოფილების ჰაერნაოსან ოფიცერთა სკოლა. 1914—1918 წლებში მონაწილეობდა იმპერიალისტურ ომში. 1924 წლიდან მ. მაჭავარიანი მუშაობდა სამხედრო-საპარაზო ძალების უფროსის მოვალეობის შემსრულებლად. მისივე ხელმძღვანელობით 1929—1933 წლებში საქართველოში ჩამოყალიბდა საპლანერო სკოლა. აქტიურ მონაწილეობას იღებდა საპარაზო ხაზების პროექტების დამუშავებაში.

1933 წლიდან მ. მაჭავარიანი მუშაობდა საქართველოს სამქალაქო ავიაციის სამმართველოში ხაზების სასწავლო ნაწილის ექსპლოატაციის უფროსად და სამმართველოს უფროსის მოადგილედ. უნარიანი მუშაობისათვის მთავრობის მიერ არაერთხელ იქნა დაჯილდოებული. მიუხედავად წელთა სიმრავლისა, უხუცესი ავიატორი ახალგაზრდობას დღესაც სიამოვნებით უზიარებს თავის მდიდარ გამოცდილებას.

ბესარიონ ქებურიას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ 1928 წელს მან პირველმა მოაწყო საქართველოს ტერიტორიის საპარაზო ფოტოგადაღება. ამ ფოტოგადაღებამ შემდგომში დიდი დახმარება გაუწია საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებასა და გეოდეზიური სამუშაოების შესრულებას.

ბესარიონ ქებურია 1928 წელს საქართველოს სამოქალაქო ავიაციის საბჭოს გამგეობას სწერდა:

„სამოქალაქო ავიაციის განვითარება ძირითადად განტვირ-

თავს რეინიგზას. თვითმფრინავით მგზავრობა უფრო იყფი ხელმისაწვდომი იქნება, ვიდრე მატარებლით. ჩვენი გარეულებები ბელი ამოცანაა სამამულო წარმოებით ავაგოთ 3-4 ძრავიანი 20 ადგილიანი თვითმფრინავები“.

სამოქალაქო ავიაციის კავშირმა დაუყოვნებლივ განიხილა ავიატორ ქებურიას წინადაღება, სავსებით მოიწონა იგი და „უკრვოზდუხბუტის“ სამმართველოს დავალა ტექნიკურ თა-თბირზე შეემუშავებინათ შესაბამისი ღონისძიებები. საპარა-ხაზის უფროსს ტოპეს, ავიაკონსტრუქტორ კალინინს და ინჟი-ნერ კოროლიოვს უნდა შეედგინათ სამძრავიანი სამგზავრო თვითმფრინავის პროექტი.

„უკრვოზდუხბუტის“ სამმართველო დიდი პატივისცემით და გულისხმიერებით ეკიდებოდა ბ. ქებურიას წინადაღებებს. მისი დაუინებული მოთხოვნის შედეგად ამიერკავკასიის საპა-ერო ხაზზე შემცირდა სამგზავრო ბილეთების ფასი და ტვირთლირებულება. მან მოხსენებითი ბარათი წარუდგინა „უკრვოზდუხბუტის“ ამიერკავკასიის საპარა-ხაზზე არსებუ-ლი ტექნიკური მოუწესრიგებლობის თაობაზე. საპარა-ხაზზე ბშირად ხდებოდა ავარიები, რასაც ადამიანთა მსხვერპლიც სდევდა თან. ასე მაგალითად, 1929 წელს სოჭის ხაზზე ავა-რიის დროს დაიღუპა „უკრვოზდუხბუტის“ სამმართველოს ერთ-ერთი პასუხისმგებელი მუშავი, გამოჩენილი სამხედრო მოღვაწე იან ფაბრიციუსი, ხოლო სოჭუმში ავიაკტიასტროფის მსხვერპლი გახდა ცნობილი მფრინავი ზახაროვი; ზახაროვ-თან ერთად დაიღუპა ორი მგზავრი.

ბ. ქებურია გრძნობდა, რომ ეს ხშირი ავარიები მარტო ტექნიკური პერსონალის გამოუცდელობით როდი აიხსნებო-და. ამიტომ სამოქალაქო ავიაციის საბჭოს და „უკრვოზდუხ-ბუტის“ სამმართველოსაგან მოითხოვდა გადამჭრელი ზო-მები მიეღოთ მსგავსი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად.

1923 წელსვე შეიქმნა სააქციონერო საზოგადოება „დობ-როლიოტი“. საბჭოთა ავიაციის წინსვლის მესვეურებმა მი-ზანშეწონილად მიიჩნიეს, ეს ორი საზოგადოება ერთ ხელმძღ-ვანელ ორგანოდ გაერთიანებულიყო. ამ წამოწყებას მთელი მონდომებით უჭერდა მხარს ქებურიაც. მისი აზრით, „უკრვო-ზდუხბუტის“ „დობროლიოტთან“ შეერთებით მოისპობოდა



ას პარალელიზმი, რომელიც მანამდე არსებობდა მათ შეუძლია ინდაში. ამ სამართლიან მოსაზრებას იზიარებდნენ აგრეთვე ჭელმძღვანელი უკრაინელი ამხანაგები კოსიორი, ჩუბარსკი, ზასტინსკი და სხვები. მართლაც, 1930 წლის 20 იანვარს მოხდა ორი საავიაციო საზოგადოების „უკროზდუხპუტისა“ და „დობროლიოტის“ გაერთიანება. ახლად შექმნილ საზოგადოებას „დობროლიოტი“ ეწოდა. მისი საბჭოს წევრებად აირჩიეს საქართველოსა და აზერბაიჯანის სახეომსაბჭოს თავმჯდომარები — შ. ელიავა და გ. მუსაბეკოვი, ხოლო მფრინავი ქებურია „დობროლიოტის“ სამმართველოს ნამდვილ წევრად მიიღეს.

ბ. ქებურიამ ახალი სამმართველოს წინაშე დააყენა საკითხი საქართველოში ახალი საპატიო ტრასების შექმნის თაობაზე. მოითხოვა აგრეთვე, რომ ძველი ერთძრავიანი თვითმფრინავები, რომლებიც უკვე არსებულ საპატიო გზებზე დაფრინავდნენ, შეცვლილიყო 3—4 ძრავიანი საბჭოური ტიპის თვითმფრინავებით. ამიერკავკასიის საპატიო ხაზზე რეგულარული მიმოსვლისათვის მას შესაფერისად მიაჩნდა საბჭოური კონსტრუქციის „ანტ-9“ სამძრავიანი თვითმფრინავი და ამიერკავკასიის სახეომსაბჭოს სთხოვა, გაეღო ამ საქმისათვის მილიონ-ნახევარი მანეთი.

ამიერკავკასიის სახეომსაბჭომ მიიღო ქებურიას წინადადება და საპატიო ხაზის კეთილმომსახურების მიზნით „დობროლიოტის“ „საზოგადოებას გადასცა მილიონ-ნახევარი მანეთი. ამიერკავკასიის საპატიო ხაზზე, აგრეთვე მოსკოვ-თავრიზს შორის (ერევანზე გავლით) მიმოსვლა დაიწყეს საბჭოური სისტემის მრავალძრავიანმა თვითმფრინავებმა.

ქებურიას უშუალო მეცადინეობით საზოგადოება „დობროლიოტის“ ასობით ახალი წევრი შეემატა. მან შემოიარა ამიერკავკასიის თითქმის ყველა მხარე და ქალაქი, საღაც ამ საზოგადოების ფართო პროპაგანდას ეწეოდა.

ბ. ქებურიას ინიციატივით გაუმჯობესდა მფრინავების საყოფაცხოვრებო პირობები, მოქლე ხანში ააშენეს მფრინავთა საცხოვრებელი სახლები. გაფართოვდა და გამშვენიერდა ამიერკავკასიის აეროდრომები, მისივე ინიციატივით მოხდა სურამის უღელტეხილის რადიოფიცირება. ბ. ქებურიას უშუა-

ლო თაოსნობით ამიერკავკასიის სამოქალაქო ავიაციის სამართლებრივი რესტურანტის პროსპექტზე მდებარე ერთ-ერთ სახლზე დააშენეს მეხუთე სართული. იქ ამჟამად სამოქალაქო საპარტო ფლოტის სამმართველოა.

წლებს წლები მისდევდა, დღეებს დღეები... ბესარიონის თმა უკვე თეთრად ჰქონდა დათოვლილი, მაგრამ მყერდში კვლავ ჭაბუკური გული უცემდა. ალბათ ამაზე უთქვამო უამგამოვლილ — სპეტაკი გული სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ახალგაზრდული რჩებაო. ახალი ცხოვრება და ამ ცხოვრების დაიდი მიზანი კვლავ სამოქმედოდ იწვევდა ცის მამაც დამპყრობს. სამშობლოს კეთილდღეობისა და წარმატებისათვის იღვწოდა ღვაწლმოსილი ავიატორი და სამშობლომაც გულუხვად მიუზღო კუთვნილი პატივი. სამოქალაქო და საპარტო ფლოტის საკავშირო გაერთიანებამ და ამიერკავკასიისა და საქართველოს მთავრობამ 1930 წელს დიდი ზეიმით აღნიშნეს გამოჩენილი ქართველი ავიატორის, ქართული ავიაციის ფუძემდებლის ბესარიონ საველის ძე ქებურიას საავიაციო მოღვაწეობის 20 წლისთავი.

სამოქალაქო საპარტო ფლოტის საკავშირო გაერთიანებამ ქებურიას იუბილე აღნიშნა ქ. მოსკოვში, სადაც მას საბჭოთა ავიაციის განვითარებაში უდიდესი ღვაწლისათვის დამსახურებული ავიატორის წოდება მიანიჭეს. ქართველი მფრინავის იუბილე დიდი ზეიმით აღნიშნეს საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში. სახელოვანი ავიატორის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე ვრცელი წერილები გამოაქვეყნეს გაზეთებმა „პრავდამ“, „იზვესტიამ“ „ზარია ვოსტკამ“, „კომუნისტმა“, უურნალმა „კრასნაია ნიკამ“ და სხვებმა. ხოლო თბილისის ერთ-ერთ ქუჩას, სადაც 1911 წელს ქებურიას თვითმფრინავი ჩამოვარდა, ბესარიონ ქებურიას ქუჩა ეწოდა.

სამოქალაქო საპარტო ფლოტის საკავშირო გაერთიანებამ ამიერკავკასიის სახელმსაბჭოს წინაშე აღძრა შუამდგომლობა, რათა ბესარიონ ქებურიასათვის საავიაციო მოღვაწეობის 20 წლის იუბილესთან დაკავშირებით დაენიშნათ პენსია თვეში 300 მანეთის რაოდენობით.

თითქოს დრო იყო, ბობოქარი ცხოვრებით გადაღლილი და ქვეყნის წინაშე ვალმოხდილი აღამიანი მშევიდ ცხოვრებას

შესდგომოდა, ხანდაზმულობის წლები ოჯახურ სიტკბოებაში  
გაეტარებინა. მაგრამ ქებურიისათვის საზოგადოებრივი უწოდებული  
რებისაგან მოწყვეტა თითქმის არარსებობას ნიშნავდა და აი,  
ამიტომ ისევ აქტიურად მონაწილეობდა სამოქალაქო საპატიო  
ფლოტის საკავშირო გაერთიანების ყოველგვარ საქმიანობაში.

\* \* \*

1931 წლის გაზაფხულია. რუსეთიდან ახლად ჩამოსული  
ავიატორი თავისი სახლის აივნიდან გადასცერის თბილისის  
სანახებს და გული განუზომელი ნეტარებით უცემს. სად არ  
ყოფილა, საზღვარგარეთისა თუ რუსეთის მრავალი ნაქები  
ქალაქი უნახავს, მაგრამ, ნუ იტყვით, თბილის თურმე მაინც  
ვერაფერი შეედრება ამქვეყნად.

მზიანი დღე იდგა ქალაქში. მთაწმინდიდან მონაბერი სუს-  
ტი ნისვი ოდნავ არხევდა ჭადრის ფოთლებს. ბესარიონის მომ-  
ცრო მავიდაზე ნახაზები გაეშალა და გულმოლებინედ ჩაჰეკირ-  
კიტებდა.

— ბესარიონ, გეყოფა, გენაცვალე, ამდენი მუშაობა. სა-  
დილის წინ მაინც შეისვენე ცოტა! — ალერსიანად გამოსძახა  
ოთახიდან სოფიომ. ბესარიონის სახეს სიამის ღიმილი მოე-  
ფინა. სოფიო — აი, ვინ იყო მისი ერთადერთი, ბოლომდე ერ-  
თგული მეგობარი. აი, ვის სწამდა შეურყევლად მისი აზრები  
და წარმატებანი... „სოფიო რომ არა, ვინ იცის, სულაც ხელი  
ამეღო ჩემს საქმიანობაზე“, — გაიფიქრა ბესარიონმა და გამ-  
გონე ბავშვის კილოზე გაეხმიანა მეუღლეს:

— სულ ცოტა დამაცადე, ჩემო ძვირფასო, ერთი ნახაზიც  
დავამთავრო და მერე შენი ტყვე და ყურმოჭრილი მონა ვარ!

იცოდა სოფიომ მეუღლის ხასიათი — სანამ საქმეს არ  
მორჩებოდა, არც სადილი ეამებოდა, არც დასვენება. ძალა  
მღარ დაუტანებია, რას იზამ, მოუდრეკელი სულის ადამიანია,  
იმუშაოს, რატვან ასე ნებავს, მაგრამ ღია აივნიდან ნიავშა არ  
დაკრას, არ გაცივდესო, — სოფიომ თივთივის შალი გამოუ-  
ტანა, სიყვარულით მოასხა მხრებზე და თვითონაც იქვე  
მოშორებით ჩამოჭდა სკამზე.

— ბესო, გენაცვალე, კარგა ხანია სოფელში არ ჩავჭროვართ, მოდი, როგორმე მოვინახულოთ მოხუცები... ბესარიონმა თავი ასწია, სოფიოს ყურადღებით დაკვირდა და ბოლოს თითქოს მისი ნათქვამის აზრი მაშინდა გაიგოო, ერთბაშად აფუსტუსდა:

— მართალს ამბობ, ჩემო სოფიკო, სრულ ჭეშმარიტებას ბრძანებ. მომავალ კვირას აუცილებლად ვინახულებთ ჩვენებს, გვწერდნენ კიდეც, დედა შეუძლოდ არისო... წავიდეთ, აუცილებლად წავიდეთ...

ამ საუბარში იყვნენ, რომ ზარი აწყრიალდა. სოფიო კარი-საკენ გაემართა და მალე ერთ ჩხოროწყუელ გლეხს შემოუ-ძლვა.

გლეხმა დარბაისლურად მოიკითხა მასპინძლები და მერე ფრთხილად, მოკრძალებით შეაპარა საუბარში ეკას ავადმყოფობის ამბავი. ბესარიონს საველის გამოტანებული წერილი გადასცა. წერილის კითხვის დროს ბესარიონს მიტკალივით გაუფითრდა სახე.

— სოფიო, მოემზადე, ახლავე უნდა გადავფრინდეთ. ცუ-დად ყოფილა, ცოცხალს მაინც მივუსწროთ!

სოფიო და ბესარიონი იმავე დღეს გაფრინდნენ ქუთაისში, ჯეიდან კი მანქანით ავიდნენ ჩხოროწყუში.

ეკას საამქვეყნო პირი აღარ უჩანდა. ერთადერთი პირმშოს ნახვის სურვილიდა უნარჩუნებდა სიცოცხლის უკანასკნელ წამებს.

— დედა, დედაჩემო, — სასოწარკვეთილი ჩასძახა ცნობა-მიხდილ მშობელს ბესარიონმა, — მე ვარ, შენი ბესიკო, აბა, ერთი შემომხედე, ერთხელ შემომხედე, შენი ჭირიმე!

დაილოცოს დედა-შვილობის მადლი, მართალი უთქვამთ — შვილის ძახილი მშობელს საფლავიდანაც კი წამოაყენებსო. მომავდავი შეირხა, თვალი გაახილა, ერთხანს უსაგნოდ, გაკვირვებული შესჩერებოდა საწოლის წინ ჩახოჭილ ვაჟკაცს, მერე იცნო, დაბინდული მზერა გადაეწმინდა და თითქოს ამ წუთებისათვის შემონახული სიცოცხლის მცირე ნაპერწყალი კვლავ აენთო.

ბედნიერი იყო ეკა, უკანასკნელი ნატვრა აუსრულდა, მისი საფიცარი ბესარიონი დაუხუჭიავდა სხივჩამერალ თვალებს.

ძალაშოცემულმა მოკუმული ბაგეები გახსნა და ძლივს გადას გონი ხმით წაიჩურიანდა:

— გაგახარა, შვილო, მამაზეციერმა, როგორც ჩემი უკანასკნელი წამები დამიტყბე და დამიამე. ეჭ, ბარემ კიდევ მინდოდა თქვენი ბედნიერების ცქერა, მაგრამ...

უკა დიდი პატივისცემით მიაბარეს მიწას. ბესარიონმა ცოლ-შვილი დროებით მამის სახლში დატოვა, თვითონ კი სამსახურეობრივი დავალების შესასრულებლად მოსკოვს გაემგზავრა.

1932—1934 წლებში ბესარიონ ქებურია ძირითადად მოსკოვშია და სამოქალაქო საპარაზო ფლოტის საკავშირო გაერთიანებაში მუშაობს. მას ხან ლენინგრადში გზავნიან მივლინებით, ხან უკრაინაში, ბელორუსიაში, მაგრამ უფრო მეტწილად ციმბირსა და თურქენეთში უხდება ყოფნა. აქტიურ მონაწილეობას იღებს საერთაშორისო საპარაზო ხაზის გახსნის თეორიული საკითხების დამუშავებაში.

1935 წელს ბესარიონი ისევ მშობლიურ ქალაქს უბრუნდება, ქართული ავიაციის ბერმუხა კვლავ ვაჟკაცური შემართებით, მხრებგაშლილი უდიგას სათავეში სამამულო ავიაციის განვითარების საქმეს, ძალ-ღონეს არ იზოგავს ქვეყნის კეთილდღეობის სამსახურში.

ქვეყანა მშვიდობიანი მშენებლობისა და სამეურნეო აყვავების გზას ადგა, რომ მძიმე თალხად ჩამოიქცევა საბჭოთა ცა. 1941 წლის ივნისში ფაშისტური გერმანია მუხანათურად დაესხა თავს საბჭოთა მიწას და ომის ქარცეცხლში გაახვია.

დაიწყო დიდი სამამულო ომი. მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ქართველი ერიც მედგრად აღდგა ოქტომბრის მონაბორის დასაცავად.

სამშობლოს წინაშე მრავალგზის ვალმოხდილი ბესარიონ ქებურიაც, მიუხედავად ხანდაზმულობისა, კვლავ ჭაბუკური ენერგიით ჩაება ვერაგ მტერთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში. მართალია, 70 წელს გადაცილებულ მოხუცს აღრინდებურად აღარ შეეძლო იარაღისათვის მოეკიდა ხელი ან ცის ლაუვარდებიდან მტერს რისხვად მოვლენოდა, მაგრამ მასი საქმიანობა არანაკლებ პასუხსაგები და მნიშვნელოვანი იყო.



1942 წელს ბესარიონ ქებურიას ხელმძღვანელობით უკუნდობი და უკუნდობი ჩატარა ამიერკავკასიის ერთ-ერთი აეროდრომის მშენებლობას.

ჭალარა და ხანდაზმული ავიატორი დღე და ღამე მშენებლობაზე ტრიალებდა. ქართველი პატრიოტების შეუპოვარი. დაუღალვი შრომის შედეგად სულ მოკლე ხანში ჩვენს ქვეყანას კიდევ ერთი ახალი, კეთილმოწყობილი აეროდრომი შემატა.

ამავე დროს ფრონტის მოწინავე ხაზზე ფაშისტთა ურდოებს შეუპოვრად ავლებდა მუსრს ბესარიონის ოთხი ვაჟი-შვილი, მათ შორის ელიზბარ აბაშიძეც.

მაგრამ ბედმა უმუხლა ელიზბარ აბაშიძეს. საბჭოთა ჯარები მძაფრ შეტევით ბრძოლას აწარმოებდნენ. არაქათგამოცლილი მტერი უკან იხევდა, ელიზბარის სატანკო ნაწილი ფეხდაფეხ მისდევდა მტერს და შეუბრალებლად ავლებდა მუსრს... მტერმა ვერ გაუძლო შემოტევას და ფარ-ხმალი დაყარა. გამარჯვებული მებრძოლები საბრძოლო საჭურვლით დატვირთულნი მიიწევდნენ წინ. მხოლოდ ელიზბარს არ დასცალდა იმ დღეს. სასახელო გამარჯვებით დატკბობა. მტერის რამდენიმე „სვასტიკიანი ყვავი“ თავს დაესხა მის სატანკო ნაწილს და ცეცხლის წვიმაში გაახვია. როდესაც თავდამსხმელები მოიგერიეს, ელიზბარის ტანკი მწყობრიდან გამოსული და ახალგაზრდა გმირი მკერდდაცხრილული დახვდათ თანამებრძოლებს. უწყალო გამოიგა ბედის განაჩენი — უებროვაჟაცი, თავდადებული მამულიშვილი სამსონ აბაშიძე დაუნდობლად შეიწირა იმპერიალისტურმა ომმა, ხოლო მისმა სასახელო მემკვიდრემ მეორე მსოფლიო ომის დროს, საბჭოთა მიწა-წყლის დაცვისაოვის ბრძოლაში დალია სული.

ფაშისტი დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლის წმიდა საქმეს შესწირა სიცოცხლე ბესარიონის მეორე ვაჟმა, ახალგაზრდა მეცნიერ მეშაგმა გოგი ქებურიამაც. ნიკოლოზი და სერგო კი სამშობლოს წინაშე ვალმოხდილნი, ორდენებითა და მედლებით მკერდდამშვენებულნი დაბრუნდნენ შინ. ნიკო-



ლოზი ამჟამად ინუინერია, მუშაობს თბილისში, სერგო პატრიარქის პროფესია აირჩია და მოსკოვის ერთ-ერთ დიდ საწარმოში მუშაობს ინუინრად.

1945 წლის მარტში მთელმა ჩვენმა ქვეყანამ ზეიმით აღნიშნა ღვაწლმოსილი ქართველი ავიატორის, ქართული ფიიაციის დედაბოძის ბესარიონ ქებურიას დაბადებიდან 75 და სავიაციო მოღვაწეობის 35 წლისთავი. სამშობლომ მისი დამსახურება საბჭოთა ავიაციის წინაშე უმაღლესი ჯილდოთი — „ლენინის ორდენით“ შეაფასა.

იუბილარის სახელზე განუწყვეტელ ნაკადად მოდიოდა მოსალოცი დეპეშები მოსკოვიდან, კიევიდან, ხარკოვიდან, ლენინგრადიდან და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებიდან.

1946 წლის შემდეგ ბესარიონ ქებურია ხან თბილისში იყო, ხან ბათუმში, უფრო მეტ დროს კი მშობლიურ რაიონში ატარებდა. თანასოფლელებმა იგი რაიონული საბჭოს დეპუტატად აირჩიეს. ეს უდიდესი ენერგიის კაცი ცხოვრების ბოლო წლებსაც მამულის სამსახურში ატარებდა. იგი სისტემატურად თანამშრომლობდა საკავშირო და რესპუბლიკის უურნალ-გაზეთებში და ავიაციის თეორიულ საკითხებზე მეცნიერული ხასიათის წერილებს აქვეყნებდა.

გავიდა ხუთი წელი და კვლავ ახალი ჭილდო, ახალი დამსახურება არგუნეს ბესარიონს — 1950 წელს თბილისში, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში გაიმართა ქართული ავიაციის ქურუმის დაბადებიდან 80 და საავიაციო მოღვაწეობის 40 წლისთავის აღსანიშნავი საღამო.

თბილისთვის სახენათელი ბერიკაცი მოკრძალებით წარდგა ხალხმრავალი აუდიტორიის წინაშე. თურმე რა ტკბილი, რა სანუკვარია მრავალი წლის გარჯით მოწეული ჭირნახული, როდესაც საკუთარი თვალით უმშერ, რომ შრომას ტყუილუბრალოდ არ ჩაუვლია, რომ ასმაგად მოიმკე ნათესი.

იუბილარმა სძლია მღელვარებას, შეკრებილთ მაღლობა გადაუხადა ესოდენი პატივისათვის და თავადაც უთხრა სათქმელი:

„პატივცემულო საზოგადოებავ! პირველ რიგში უდიოფენა  
მაღლობას მოგახსენებთ, რომ პატივი დამდეთ და მოქარების დიდი  
დით ჩემი დაბადებიდან 80 და სავიაციო მოღვაწეობის 40  
წლისთავზე.

უნდა მოგახსენოთ, რომ ჩემი ცხოვრების 80 წლიდან სავ-  
სებით გამოვრიცხავ იმ 47 წელს, რომელიც ტანკვასა და წა-  
მებაში, წყეული ცარიზმის უღელქვეშ გავატარე. მე ახლა  
მხოლოდ 33 წლისა ვარ. მხოლოდ ამ ხნის განმავლობაში ვნა-  
ხე სიცოცხლე, სიხარული და ბედნიერება. ჩემი ცხოვრების  
33 წელიწადმა გამაახალგაზრდავა, გამაბედნიერა და დიდი  
საბჭოთა ქვეყნის მოქალაქედ გამხადა. თვალსა და გულს ახა-  
რებს, როცა ვხედავ ჩემი ქვეყნის გრანდიოზულ მიღწევებს  
სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში...

...ჩვენს დიად ეპოქაში, ავიაციაც ხალხის სამსახურშია ჩა-  
ყენებული. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყა-  
რების შემდეგ ჩემთვის ბედნიერი დღე დაღგა, საშუალება მო-  
მეცა განმეგრძო საყვარელი საქმე და ლირსეული წვლილი  
შემეტანა საბჭოთა ავიაციის განვითარების საქმეში...

ჩემი შრომისა და დამსახურების მაღალი შეფასებისათვის  
უდიდეს მაღლობას მოგახსენებ საბჭოთა ხალხს, რომელიც  
წარმატებით აშენებს კომუნიზმს. მაღლობას ვუძღვნი  
მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა მთავრობას და  
ი. ბ. სტალინს.

ეს მაღალი ჯილდო მავალებს მთელი ჩემი სიცოცხლე შევ-  
წირო საბჭოთა ავიაციის განვითარების საქმეს, ვემსახურო  
ჩემს მშობელ ხალხს“.

ბ. ქებურიას საიუბილეო საღამოები გაიმართა ბაქოში,  
ქუთაისში, ბათუმში, ფოთში, სოხუმში, ცხაკაიაში, სამტრედი-  
აში და საქართველოს ყველა იმ ქალაქში, სადაც ჭაბუკი ავია-  
ტორი ოდესაც სახელოვან, წარმატებებითა თუ დაბრკოლებე-  
ბით აღსავსე საავიაციო სარჩიელს ქმნიდა. მშობლიური ჩხო-  
როწყუც არ დარჩა ვალში და ძვირფას თანამემამულეს მეტად  
გულთბილი ზეიმი გაუმართა.

უამთასვლის ბორბალი კი შეუჩერებლად ბრუნავდა. საუ-  
კუნეს მიღწეული ჭარმაგი ბერიკაცი თითქმის ვერ გრძნობ-

და წლების სიმძიმეს. მუდამ უბერებელი, ჭაბუკური სულის მქონე, კვლავაც მხნედ, შეუპოვრად მიიკვლევდა სავალს კოროვად—გურის — ჩხოროწყუპესის მშენებლობას, რომლის ინიციატორიც ჩვენი სასიქადულო თანამემამულე გახლდათ. ჯერ კიდევ 1926 წელს, როდესაც ბესარიონი „უკრვოზდუხბუტის“ სამმართველოში მუშაობდა, მან წამოაყენა მდინარე ხობის-წყალზე ჰიდროელექტროსადგურის გამართვის იდეა. მფრინავის პირად არქივში ინახება ჩხოროწყუს სათემო კრების ოქმი, სადაც ნათქვამია: „1926 წლის 14 ნოემბერს სოფელ ჩხოროწყუში ჩატარდა სათემო კრება, რომელსაც 1300-ზე მეტი კაცი დაუსწრო. კრებამ ავიატორ ქებურიას ინიციატივით განიხილა საკითხი მდინარე ხობის-წყლის ოჩხომურში გაღადებით ჰიდროელექტროსადგურის აშენების შესახებ. სათემო კრებამ დაადგინა აშენდეს ჰიდროელექტროსადგური მდინარე ხობის-წყალზე და ეწოდოს მას ჩხოროწყესი“.

მაგრამ მფრინავის ოცნება მხოლოდ 30 წლის შემდეგ განხორციელდა. როდესაც ბესარიონი „ციდან მიწას დაუბრუნდა“, კვლავ დაუყენა ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის საკითხი. მის წინადადებას აღფრთოვანებით გამოეხმაურნენ რაიონის კოლმეურნები. თითქმის მთელი მოსახლეობა გამოვიდა მშენებლობაზე და გულდაგულ შეუდგა საქმეს. ამჟამად „ჩხოროწყესის“ მშენებლობა დამთავრდა და ილიჩის ნათურები ემსახურება მშრომელთა კეთილდღეობის საქმეს.

ბევრი კეთილი საქმე გაკეთდა ჩხოროწყუში ბესარიონ ქებურიას თაოსნობით, მაგრამ სოფლის თავკაცი არც საკუთარ კარ მიღამოს აკლებდა მზრუნველობას და მოვლას. მის კარ მიღამოსთან მგზავრი აუცილებლად შეჩერდებოდა და აღტაცებით შეავლებდა თვალს ხასხასა ბალახით დაფარულ ეზოს, უხვად დატოტვილ ხეხილის ბაღს, სათუთად მოვლილ ვაზს. მნახველის მშერას განსაკუთრებით აოცებდა თვით სახლის მოყვანილობა, რომლის ფასადიც თვითმფრინავის უზარმაზარ მაკეტს წააგავდა.

ძალზე საინტერესოა ერთი პატარა ეპიზოდი, რომელიც

მხცოვანი მფრინავის ახალგაზრდულ სიმკვირცხლესა და ოცარ ენერგიაზე მიუთითებს.

საქართველო  
მეცნიერებების  
აკადემია

შემოდგომის მზიანი ოქროსფერი დილა იდგა. ტექნიკურ აყოლილი ბესარიონი კალოზე გასულიყო და სათივე ზვინის აყვანას შესდგომოდა. მალე მაღლა, სულ მაღლა მოექცა, თივის სიმძიმისაგან გადახრილი ჭიგო აქეთ-იქით აქანებდა მოხუცს, ჭაღარა თმა-წვერი უფრიალებდა და სიკეთისა და ნაყოფიერების ღმერთკაცს მიაგავდა. სოფიო და რამდენიმე თანასოფლელი იქვე კალოზე ტრიალებდნენ. ქმრის შემხედვარე სოფიოს გული გადაუქანდა:

— ამას რას ეჩედავ, როგორ მოახერხე მაგ სიმაღლეზე აცოცება, შე აჯამო, შენა, — უთხრა ქმარს და ახლავე ჩამოდიო, შეევევდრა.

ბესარიონმა ზვინი შექრა და ის იყო შვეული კიბით ჩამოსვლას აპირებდა, რომ ჭიგომ ვერ აიტანა ზვინის სიმძიმე, შეირყა, მარჯვნივ გადაიხარა და ზვინიანად მიწას დაენარცხა. გულგახეთქილი ხალხი ზვინს ეცა. ყველანი აირივნენ, ახმაურდნენ, აწრიალდნენ — ზვინი გაშალეს, მაგრამ ადამიანის კვალი არსად ჩანდა. სახტად დარჩენილებმა უნებურად მაღლა აიხედეს და... ამას კი აღარავინ მოელოდა: ეშმაკურად მომზირალი, მოლიმარი ბერიყაცი მეზობელი ხის ტოტზე შემომჯდარიყო და არხეინად გადმოჰყურებდა აფორიაქებულ მახლობლებს. თურმე, როდესაც ზვინს გადაქანება დაატყო, მეზობელი ხის ტოტი მოზიდა და ყმაშვილურად ისკუპა. ეს სულ რაღაც წამებში მოხდა — ვერავინ შენიშნა, თუ როგორ „გადაფრინდა“ ბესარიონი. მეზობელ ხეზე და, რომ დაენახათ, ალბათ, არც დაიჯერებდნენ თითქმის ცხრა ათეულ წელს მიღწეული მოხუცისაგან ასეთ სიყოჩალეს.

მაგრამ როგორი რკინისებური ჯანმრთელობისაც არ უნდა იყოს აღამიანი, სიკვდილ-სიცოცხლეს მაინც თავისი კანონები აქვს. 1958 წლის 4 დეკემბერს ქართველი ხალხი ღრმა მწუხარებით გამოეთხოვა თავის სასიქადულო შვილს, ქართული ავიაციის ფუძემდებელსა და დედაბოძს, უანგარო მამული-შვილსა და სპეტაკი სულის აღამიანს ბესარიონ საველის ქებურიას. თბილისელმა მშრომელებმა მისი ნეშტი ვაკის სასაფლაოს მიაბარეს, ხოლო იმავე წელს მშობლიური რაიო-

ნის მშრომელთა თხოვნით იგი დაბა ჩხოროწყუში გადასცეს  
ნეს და მარადიული სავანე სოფლის ცენტრალური მუნიციპალიტეტის  
ერთ ლამაზ ხეივანში მიუჩინეს.

აღგილობრივმა პედაგოგიურმა საზოგადოებრიობამ და  
მოსწავლე ახალგაზრდობამ ავიაციის სახელოვან მებრძოლს  
ბრწყინვალე ძეგლი აუგო.

ნახევარ საუკუნეზე მეტმა ღრომ განვლო მას შემდეგ, რაც  
ჩვენმა სახელოვანმა თანამემამულებ საკუთარი კონსტრუქ-  
ციით შექმნილი უმარტივესი მონოპლანით პირველად შეარ-  
ხია მშობლიური ცის ლაუკარდი.

ბევრი რამ შეიცვალა და ბევრი სიახლე დაიბადა ამ ნახე-  
ვარი საუკუნის მანძილზე. არნახული გიგანტური ნაბიჯებით  
წავიდა წინ ავიაცია საბჭოთა ხელისუფლების დამყარების  
შემდეგ.

პირველმა საბჭოთა კონსტრუქტორებმა დ. პ. გრიგორე-  
ვიჩმა, ნ. ნ. პოლიგარპოვმა და ა. ნ. ტუპოლევმა შექმნეს ახა-  
ლი საუკეთესო კონსტრუქციის თვითმფრინავები.

ამ სახელოვან სამეულს თანდათან შეემატა პეტლიაკოვის,  
ილუშინის, იაკოვლევის, ლავოჩკინის, მიქოიანისა და სხვათა  
სახელები.

1956 წლიდან დაიწყო ახალი ერა საბჭოთა სამოქალაქო  
ავიაციის ისტორიაში. 15 სექტემბერს საპარაზო ზღუდეები და-  
იცყრო მსოფლიოში პირველმა რეაქტიულმა სამგზავრო  
ოვითმფრინავმა „ტუ-104“-მა; ხოლო 1957 წლის 4 ოქტომ-  
ბერს საბჭოთა ტექნიკის ძლიერება შორეულ პლანეტებსაც  
მისწვდა — გაშვებული იქნა მსროფლიოში პირველი დელამი-  
წის ხელოვნური თანამგზავრი, რითაც დასაბამი მიეცა ახალ  
ერას კაცობრიობის ისტორიაში — კოსმოსის პრაქტიკული  
ათვისების ერას.

ამ ღირსშესანიშნავმა ამბავმა ერთხელ კიდევ გამოუთქმე-  
ლი ნეტარებით აღავსო უკვე ჭავატეხილი, ავადმყოფობისა-  
გან სირეცელს მიზანული მხცოვანი ავიატორის გული. სი-  
ხარულის ცრემლმომდგარ ბესარიონს გრძნობით წარმოუთქ-  
ვამს: „დიდება შენ, ციოლკოვსკი, ხომ აღსრულდა შენი აზრი

და ოცნება. საბჭოების მამაცი არწივები მაღლე კოსმოსში შემოიტანა უზღუდავი ბატონ-პატრონები გახდებიან“.

მართალია, ჩვენს სასიქადულო თანამემამულეს სიკვდილმა არ დააცადა ამ ბელნიერი დღის სიხარულით დატკობა, მაგრამ ჭეშმარიტი წინათქმა სინამჟვილედ იქცა. მაღლე საბჭოთა აღამიანმა ვარსკვლავების კარიბჭე შეაღო.

მთელი მსოფლიო განუზომელი ინტერესით აღევნებდა თვალს ჩვენი მეცნიერების, კონსტრუქტორების, ინჟინრების, კოსმოსის დამპყრობი მამაცი აღამიანების გმირულ შრომას.

1961 წლის 12 აპრილს კოსმოსურმა ხომალდმა „აღმოსავლეთ 1“, რომელსაც პირველი კოსმონავტი, საბჭოთა კავშირის მოქალაქე იური ალექსის ძე გაგარინი მართავდა, რამდენჯერმე შემოუარა ჩვენს პლანეტას და უვნებლად დაეშვა დედამიწაზე. იური გაგარინის მიერ გაკაფულ გმირულ გზას თამამად მიჰყვნენ ჩვენი ქვეყნის მამაცი შევარდნები — გერმანე ტიტოვი, ანდრეი ნიკოლაევი, ვალენტინა ტერეშკოვა, ლეონიდ ბელიაევი, ალექსეი ლეონოვი, კოსმოსური ხომალდის „აისის“ მამაცი ეკიბაჟი: ვლადიმერ კომაროვი, კონსტანტინე ფეორქტისტოვი და ბორის ეგოროვი....

შორს აღარ არის ის დრო, როდესაც ყოვლისშემძლე საბჭოთა აღამიანი გამედულად დაადგამს ფეხს მთვარის დაღარულ ნაცრისფერ ზედაპირს, გაიხედავს ვენერას ღრუბლიან, მკვრივ საბურველში.

„დედამიწა გონების აკვანია, მაგრამ ხომ არ შეიძლება ულ აკვანში ყოფნა“, — წერდა დიდი რუსი მეცნიერი პ. ე. ციოლკოვსკი. მართლაც, ყოველთვის, როდესაც აღამიანები დიდებით მოიხსენიებენ გმირი საბჭოთა კოსმონავტების დიად სახელებს, იმათ უკვდავ ხსოვნასაც არ დაივიწყებენ, პირველად რომ სცადეს „დედამიწის აკვნის არტახებიდან“ თვის გამოხსნა, „მიუწვდომელ“ ცის სამყაროთა სივრცეების დაპყრობა.

ამ უკვდავ სახელებთან ერთად ქართველი ხალხი სიყვარულით მოიგონებს თავისი სამაყო შვილის ბესარიონ საველის ძე ქებურიას ნათელ სახელს.

2991  
6  
257...

Родонаиа Варлам Дзакуевич  
ПЕРВЫЕ КРЫЛЬЯ  
(На грузинском языке)  
Детюониздат Грузинской ССР  
«Накадули», Тбилиси, 1969

რედაქტორი ქ. ბაგრაძე  
მხატვარი გ. გილაშვილი  
მხატვარ. რედაქტორი შ. ღოლიძე  
ტექნიკური დ. ასათიანი  
კორექტორი ა. უშვერიძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 20/X-69 წ.  
ქაღალდის ზომა 84×108<sup>1</sup>/32  
ნაბეჭდი თაბაზი 3.25  
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბაზი 5.12  
უმ 00351. ტირაჟი 10.000, ფასი 23 კაპ., შეკვ. № 4577

გამომცემლობა „ნაგადული“, მარჯანიშვილის ქ. № 5  
Изд. «Накадули», ул. Марджанишвили № 5  
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის მთავარპოლიგრაფმრეწველობის სტამბა № 2 „ნაგადული“, ფურცელაძის ქ., 5  
Типография № 2, «Накадули», Главполиграфпрома Государственного Комитета Совета Министров Грузинской ССР по печати, Тбилиси, Пурцеладзе, 5

69-2921



721  
1969